90 сих

# ცისკარი

1865

ივნისი. 6.

წელიწადი მეშვიდე.

წიგნის შინაარსი:


I — მონაზონი. (რომანი). . . . ლავრ. არდაზიანისა.
II — ბერანჟეთ. (ლექსი) . . . . ანტ. ფურცელაძისა.
III — რანჩპერგის ლექსები (ნათ.) თ. ვას. მაჩაბელისა.
VI — ყოველ ვე მ. იმოგზაურ. შორიმითა.
(მოლიტერატურო კომედია) . . ლ. არდაზიანისა.
1. მოგონება (ლექსი.) . . თ. აკ. წერეთლისა.
2. ავთვილიგი (ლექსი). . . თ. აკ. წერეთლისა.
V — ლორთქიფ. სიმპეტ. ოტრანდერ. ალექსი ქებ. კაშისა.
სხვა და სხვა ამბავი.


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ნაწილი 4.

## სადამო ნიშნობის წინა დღისა.

მტაბის საათმა დაჰკრა ცხრა. იყო ბინდი.

მთაწმინდის უბანში, თეიმურაზის სახლის სიახლოვეს, ორი კაცი, ქართულათ ჩაცმულები, საიდუმლოთ დაპარაკობდნენ.

—შენმა სიცოცხლემ, ესტატე, იმ მამა დავითს გეფიცები, მიკვირს, ვსწუხარ და მწყინს! —ეუბნებოდა ერთი იმათგანი მეორესა: ჭეშმარიტათ, უბედურია ქალი! რასახით მებრალება, უნდა იცოდე, საწყალი ალექსანდრა! როგორ მოახერხა იმ კაცთ არა მზგავსმა!

—რატომ აქამდინ არ შაატყობინე კონსტანტინესა!— უპასუხა ესტატემ მესაუბრეს: ასეთ სიკეთეს უჩჳენებდი, გორყასში, რომ საუკუნოთ ვალად დაიწერდა ბიძაჩემი. ეხლა, აბა ეხლა რაღა ეშველება!

—თუ მოინდომებ, ესტატეჯან, ეხლაც ეშველება. მე კი, სწორე მოგახსენო, არ შემეძლო, არც შემიძლიან გავერიო ამ საქმეში. პირველში არ ვიცოდი—ეხლა თუმცა გავიგე, მაგრამ როგორ გაუბედავ კონსტანტინესა....
ნეტავი პატარა ადრე მენახე!

—სადა მნახავდი, ეს არის ეხლა ჩამოვედი სოფლიდამ, საკუთრად სანიშნობოთ. იმ დალოცვილებს ასე საჩქაროთ მოუხდენიათ ნიშნობა, თჳთქოს შინებოდათ არავინ შე-სცილებოდათ; და სიჩქარით კი ქალი დაუღუპავთ.

—ჯერ კიდევ ქალი დაღუპული არ არის, ესტატეჯან; შეიძლება ეშველოს.

—აბა როგორ?

—თუალები გაუხილოთ კოსტანტინეს და მარიამსა, თჳთონ ქალსაცა. ნუთუ არ გებრალება შენი ბიძაშვილი, მშუენიერი ალექსანდრა!

—შენმა სიცოცხლემ, გორჲასში, სარწმუნო უნდა იყო, რომ მე საშინლათ ვიტანჯები, მებრალება ალექსა-ნდრა და მზათა ვარ მოვშალო საქმე, თუ შევიძლებ.

—რატომ ვერ შეიძლებ ვითამ?

—ბიძა ჩემა კოსტანტინე და ძალუა ჩემი მარიამ ძლი-იერ გახარებულნი არიან; ეს კი, ალექსანდრა საშინელი მწუხარეა.

—მაშ, როგორცა სჩანს ქალს არა აქუს სურვილი.

—მგონია! მაგრამ როგორ უნდა დავარწმუნოთ კოს-ტანტინე და მარიამ, რომ თეიმურაზი ცუდი კაცია. მეც სრულიად არ ვიცნობ ამ კაცსა და როგორ ვიკისრო ვს-თქუა რამ მიზეზი ცუდი!

—გარწმუნებ, ესტატე. თეიმურაზ ცუდ კაცებზე უცუ-დესია. ღუთის გარეგანი ის არის, ანჩხლი, ბოროტი, უწყალო, ზვავი, დაუდეგარი, გარყვნილი, ვალით ყელამდე სავსე ის არის!

—მაინც მე კიდევ არ ვიცი.

—მე არა გიხოვ, ჩემ სიტყჳაზე დამყარდე. შენ ირწმუნებ ჩემ სიტყჳასა, როდესაც შენის თჳალით ნახავ. ხომ საკმაო იქნება, თუ გიჩჳენებ იმისს გარყვნილობის ნიშნებსა?

—საკმაო იქნება.

—მაშ წავიდეთ.

—რა უთხრათ?

—ვითამ შენ საქმე გაქჳს რომელიმე სასამართლოში, ტყუილათ მოიგონე; ვითამ ეს საქმე უსამართლოთ გადაწყჳტეს და შენ სთხოვ შემწეობასა.

—ეგ ადვილია.—საქმე, თითქმის ხუთიცა მაქჳს.

—მაშ წავიდეთ.

გორჯასპი და ესტატე შავიდნენ თეიმურაზის სახლში, საიდამაც მოისმოდა საზარელი ყრიამული გოგო ბიჭებისა. ესტატე შედგა და ველარ მიჴყჳა გორჯასპისა, ასე ეზრზინა იმას ყრიამული.

—ნუ გიკჳრს,—უთხრა გორჯასპიმ ესტატეს ყურში, ყოველ საათს ეს ამბავია ზევითაცა ბატონებისას, ქჳეითაცა—მოსამსახურებისას; შენ მამყევ მე.

და გორჯასპიმ აიყჳანა ესტატე კიბეზე.

—თეიმურაზ შინა ბძანდება? ჰკითხა გორჯასპიმ მოზდილ ბიჭსა 25 წლისას, რომელიც დახჳდა ბალკონზე.

—შინ არ გახლავს, მოახსენა ბიჭმა.

—სად არის?

—აბანოში.

—დილიხანია?

—ნახევარ საათი იქნება.

—მაშ ჩქარა მოვა. ამ ყმაწვილ კაცსა საჭირო საქმე აქჳს თეიმურაზთან და უთუოთ უნდა ნახოს. მანამ თეიმურაზი მოვა, ჩუჱნ აქ, იმისს ოთახში, მოუცდით.

—თქუჱნი ნებაა, ბატონო გორჯასპი, მოახსენა ღიმილით ბიჭმა: თქუჱნთჳს ამ ოთახის კარები ყოველთჳს ღია გახლავს,—ასე მაქჳს ნაბძანები ბატონისაგან. ზალა და გოსტინა კი დაკეტილი გახლავს და გასაღები თან აქჳს ბატონსა.

—ზალა და გოსტინა ჩუჱნთჳს საჭირო არ არის. წადი.

ბიჭი გავიდა. გორჯასპიმ წყნარა მიხურა კარი, და მიიყუანა ესტატე სამწერლო სტოლზე, რომელზედაც ეწყო მრავალი ნივთები.

—ჯერ ეს ბეჭედი გაშინჯე, ესტატეჯან, უთხრა გორჯასპიმ და ახადა: ხედავ?..

—გადაავლე, შენ გაზდას, გორჯასპი, სთქუა ესტატემ და პირი სახე დაიღრიჯა, თითქოს რაღაც ეზიზღა.

—ეხლა ვნახოთ ეს პრიესპაპიე...

—ფუ, შეგირცხჳა პატრონი,—შეჰყჳრა უსიამოვნოთ ესტატემ.

—ეს კიდევ არაფერი,—განაგრძო გორჯასპიმ ცივათ: აბა ჩახედე ამ მინას სანთელთან.

ესტატემ ჩახედა და მწარეთ დაიღრიჯა.

—აგხადოთ ამ ვერცხლის ყუთსა... ხედავ ჩემო ესტატე?...

—ბევრია კიდევ მაგისთანა სიბილწის მაგალითი?—

—რასაც ხედავ სტოლზე, ოცდა ხუთმეტი ნივთია,

ყოველ გვარი სიბილწეს დაგანახვებენ. მხოლოთ გალება, ანუ ახლა უნდა იცოდე. უჩემოთ შენ ვერას გაიგებდი.

—ვინ იცის რავდენი ფულის მაგეებში მიცემული?

—ძჳრფასსათ ყიდულობს, შენ მზეს ვფიცავ, ესტატე! სხჳა საქმე არა აქჳსრა, ამ დღით დაეთრევა და ამისთა-ნაებს ეძებს და დიდს ფულს აძლევს.—სხჳა მოწმებიც გიჩჳენო იმისს გარყვნილებისა?

—ნუ,ნუ,შენი ჭირიმე, გორჯასპი! მაგისიც მადლობე-ლი არავარ!

—ეს რა წიგნია აქა! წამოიძახა გორჯასპიმ და გადა-შალა წიგნი. პირველი ფურცელი ჩაიკითხა.

ბოლოს ეწერა: « სულ ათას-ექჳსასი თუმანი ვალი მაქჳს. »

—რას იტყჳ ჩემო ესტატე?

ესტატემ მხრები მაღლა აიწია.

—არ გიჩჳენო იმისი მათრახები, რომლითაც სცე-მენ მხოლოთ დიდ დამნაშავეთა?—აგერ კუთხეში აწყჳა. შეხედე?... მხოლოთ ბიჭებს არ ეკუთვნიან ეგენი, ქალებ-საც წილი უძევსთ!

—უჰ ღმერთო ჩემო!...წავიდეთ გორჯასპიჯან... გული შემიშფოთდა...

—თუ გსურს გიჩჳენებ იმისს საყვარლებსაცა, რომ-ლებზე, როგორც მე ჩემ ცოლზე ვერ ავიღებ ხელს, ისე თეიმურაზი ვერ აიღებს, გინა ალექსანდრაც შეირ-თოს.

—სად არიან?

—ქალაქში. ველის სახლი ვიცი.

—რა მხეცი ყოფილა!!

—შენ მზეს ვფიცავ, ესტატე, თეიმურაზს ალექსანდრა არ უყვარს და ვერც შეიყვარებს: ამასმა მადლმა (პირჯვარი გამოისახა გორჯასპიმ) თჳთან მითხრა. ისი ირთავს ალექსანდრას ანგარიშით.

—რა ანგარიში აქჳს?

—თქჳნ მიხვდით... მე ვერას გაგიბედავთ...

—წავიდეთ, თქჳა ესტატემ დაღონებით.

—წავიდეთ.

როდესაც გამოვიდნენ, ბიჭს უთხრა გორჯასპიმ:

—თეიმურაზს მოახსენე ჩემი აქ ყოფნა და, თუ არ მოგვიგვიანდა სადა ეხლა მივდივართ, კიდევაც მოვალთ ამაღამ. გაჭირებული საქმეა. მოახსენე ამასთან (ყურში უთხრა) არ აჩქარდეთქო... ფეხი დააჭირეთქო... ამ ყმაწჳლკაცისაგან ბევრი გამოიწურებათქო...

—ბატონი ბძანდებით...

—სხჳა გზით წავიდეთ, ესტატე, რომ თეიმურაზს არ შევხვდეთ.

—ძლიერ კარგი, გორჯასპიჯან!—უთხრა ესტატემ შეწუხებულის სახით: მე დარწმუნებული ვარ, რომ თეიმურაზი კაცი არა ყოფილა, მაგრამ როგორ გაუბედო უთხრა ბიძა ჩემსა და ძალუა ჩემსა! იქნება მტრობაშიც ჩამომართონ!

—შენ შენი ვალი აიყარე, გირჩევ.

—მეტი ღონე არ არის უნდა გავბედო; მაგრამ კონსტანტინეს და მარიამს ვერ გაუბედავ; ალექსანდრასკი ვეტყჳ ან ამაღამ, თუ დრო ჩავიგდე, თუ არა ხვალ.—

—თუ ნიშნობას მოვშლით, ხომ უკეთესი, და თუ ვერ მოვასწრით, ჯუარის წერაკი უთუოთ უნდა მოვშალოთ. შენ დაიწყე, მე შეგეწევი...

აქ საჭიროთ ვსცანით დაუმატოთ, რომ გორჯასპი ცდილობდა ჩაეშალა ეს საქმე არა იმიტომ, რომ მართლად ებრალებოდა ალექსანდრა, მხოლოთ ამიტომ რომ შურდა ალექსანდრა თეიმურაზისათჳს.

## თავი 2.

## გაგრძელება.

დავბრუნდეთ თეიმურაზის სახლში. თეკლე იჯდა გიბეზე, რომელიც იდგა ეზოში ძირიდამ ზევით ეტაჟამდის. წინ უდგა გოჩუნა, რომელსაც ხმა დაბლა და საიდუმლოთ ელაპარაკებოდა.

—საწყალო, გოჩუნა, რა სახით შებრალები, მაგდენ მწუხარებაში რომ ხარ! უთხრა თეკლემ ცბიერათ: ბატონისაგან ცეცხლის ალში იტანჯები. მოსამსახურები ხომ კეთილს არას გაყრიან. შე საწყალო, რა სიცოცხლე გაქჳს! იტანჯები, როგორათაც არავინ დატანჯულა! რა შებრალები!

—დიაღ, ქალბატონო,—მიუგო გოჩუნამ ხმა მაღლა: თქჳენი გოშიები უფრო ბედნიერები არიან ჩემზე.

—სუ, გოჩუნი; დაბლა ილაპარაკე, თორე ქოფაკ ძაღლებივით გამოგიცჳვდებიან და აგ დღეს დაგაყენებენ!

—ჰო, თქჳენმა მზემ, ქალბატონო,—ჰო დიაღ! რო-

გორც მელიას, ქოფაკოძაღლებივით მგვემენ, მკლამენ ცემით! არ ვიცი ყველას რათ ვეჯავრები!

—სულ შენი ბატონის მიზეზი. რასაც იმისას ხედვენ, მოსამსახურებიც ისე გექცევიან. უნდა კი სწორე გითხრა გოჩუნი, რომ თეიმურაზ უსამართლოთ გექცევა.

—ჰო, შენი ჭირიმე, ქალბატონო! დაუდევრაგია ჩემი ბატონი! ძალიან ჯავრიანია! საქმეს გაუკეთებ, მცემს, არ გაუკეთებ მცემს; სულ მცემს!

—შე საწყალო! შენი ბედი არავის შეშურდება!

—ჰო და მეთქი, ყურშა ძაღლსაც არა შურს ჩემი ბედი!

—არ გინდა ისეთი ბედნიერი იყო, რომ შენი ბედი ყველასა შურდეს?

—აი, ჩემო ქალბატონო! მაგ ბედს ჩემთჳს ვინ გამოიმეტებს!

—მე გამოვიმეტებ.

—შენ გადღეგძელოს ღმერთმა ქალბატონო! თუ მაგ წყალობას მოიღებ, პირდაპირ, სამოთხეში გამოიჭიმებით.

—რა უფრო გენატრება ქუჱყანაზე?

—რა?

—ჰო!

—ჰი, ჰი, ჰი!

—რას იცინი, გუჩუნი? სწორეთ გკითხავ. რა უფრო გენატრება ქუჱყანათაზე?

—არ გამიწყრები ქალბატონო?

—ნუ გეფიქრება!

—ჩემი ბატონი რომ ქალს ირთავს, იმას რო გოგო ჰყავს, მაყუჭარს.

—გინდა შეირთო?

—ჰო დიაღ, ქალბატონო. ბატონი რო მოიყვანს ცოლს, ის გოგო მოჰყვება.

—გიხარიან რო მოჰყვება?

—რა მიხარიან! სხჳანი წამართმევენ.

—სხჳა მაგაზე მეტი არა გენატრებარა?

—არა.

—გინდა შეგრთო ის გოგო?

—დიაღ, ქალბატონო,—ღრეჭით უთხრა გოჩუნამ.

—მე უთუოთ შეგრთავ. მაგრამ შენ ჯერ ერთი სა-ქმე უნდა დამავალო.

ბატონი ხარ, ქალბატონო, ბატონი ხარ!

—არავის ეტყჳ?

—არავის ვეტყჳ, შენმა მზემ ქალბატონო!

—არც ეხლა, არც კულავ?

—არავის ვეტყჳ, არც ეხლა არც კულავ, თუნდ ტყა-ვიც გამაძრონ.

—ერთი წიგნი უნდა მიუტანო შენ საყჳარელ გოგოს ქალბატონსა.

—მიუტან, ქალბატონო,

—ხვალ დილით, ასე რომ ვერავინ გაიგოს.

—შენმა მზემ, ქალბატონო, ისე წავალ, მივცემ წი-გნს და მოვალ, რო ვერა ვინ დამინახოს.

—თუ შენ ამას ამისრულებ, მაშინ მე ვიცი.... ათ-ორმაური—ხვალ იქიდამ რომ დაბრუნდე, მაშინ დალ-იე არაყი.

—მადლობელი ვარ, ქალბატონო,—უპასუხა გოჩუნამ,

რომელიც გამოუთქმელ სიხარულით აივსო.

—წადი, გოჩუნი, და პირი დაკეტილი გქონდეს. წიგნს ხვალ დილით მოგცემ.

გოჩუნა წავიდა.

—რახან თეიმურაზი ჩემი მტრობიდამ არ ამოვიდა და იმ ლჳთის გარეგანმა მცემა კიდეც მათრახითა, ამიტომაც მე აღარა მცხვენიან—უმტრო იმასა,—თქჳა თეკლემ, რომელსაც ცრემლები მოერია.

თავი **3.**

## მარიკოს განკარგულება.

ჩუენ დაუტევეთ ალექსანდრა საცოდავ მდგომარეობაში. ვალი გვაძევს განვაგრძოთ აქა ამ ქალის ისტორია იმ დღიდამ და საათიდამ, როდესაც დედამამამ გამოუცხადეს მას თავიანთი გადაწყვეტილება შესახებ იმისს შეუღლებისა თეიმურაზთან.

ამ დღიდამ ნიშნობის დრომდე ალექსანდრას კიდევ რჩებოდა ხუთი დღე და რავდენიმე საათი მოსაფიქრებლად და მისაღებად ღონისძიებისა, რომ აეცდინა თავისსგან როგორმე თეიმურაზი, რომელიც სრულიად არ ესიამოვნებოდა; მაგრამ ქალი არა რა ღონისძიებაზე არა ფიქრობდა.

ალექსანდრა, როგორც ნახა მკითხველმა, შავიდა თავის ოთახში გულმოსული ლოგინზე და გამწარებული მშობლების გადაწყვეტილებისგან. სიმწარე გულის ცხო-

ველათ ეწერა ქალს პირისახეზე.

მარიკო, რომელიც დახჳდა ოთახში, შეკრთა, გადაფითრდა შიშისაგან, რა დაინახა ქალბატონი ცუდ მდგომარეობაში.

ალექსანდრა დაჯდა, ანუ სწორეთ, დაეცა ვრესლაზე და თავ-ჩამოკიდებული მარცხენა ხელზე; მიეცა განუსაზღვრებელ და სულის მომწყვლელ ფიქრებსა. ქალს ჯერ მიხსაკო წარმოუდგა და მოაგონდა თავისი აღთქმა,—და გული გაეგმირა; მერმე წარმოუდგა უმგზავსის სახით თეიმურაზი თავისის მოუთმენელის და ბრანგულის ხასიათებით—და გული უფრო დაუწყლულდა.

მარიკო დგას გადანათებული, გაოცებული; შეჰყურებს ქალბატონსა, თუთქოს ჰკითხავს მწუხარების მიზეზსა და ვერა ჰბედავს; იტანჯება, გული უსუსტდება.

ალექსანდრამ გადახედა ცალის თჳალით საყჳარელ მოახლესა და—გადმოყარა ცრემლები!

—აქ მო, მარიკო! უბძანა ალექსანდრამ.

მოახლე დაუახლოვდა და სიყჳარულის გამომთქმელ სახით შეჰყურებდა ქალბატონსა.

—დაჯექ, მარიკო!

მმარიკო დაჩოქილი დაჯდა.

—არ გებრალები, მარიკოჯან!

—ვაი მე, ქალბატონო!—შეღრიალა მარიკომ სიმწარით: ღმერთი ხომ არ გამწყრომია! რევაზ. . . .

—რევაზს ჯჳარი სწერია, მარიკო! იმაზე ნურას ფიქრობ! ჩემზე იფიქრე: მე გამწყრომია ღმერთი!

—ვუი, შენ ჩემო თავო! ნეტავი თჳალი და ყური და-

მდგომოდა და არ გამეგონა!... განა.... თქჳენი ჭირიმე, მიბძანეთ!..

მარიკოს ასე ეწყინა ალექსანდრას სიტყჳა, რომ სრულიად გადირია და არ იცოდა რას ამბობდა. მუხლები და თავ-პირი ცემით გამოითქჳა.

ალექსანდრამ მწარეთ ამოიკჳნესა, გეგონებოდათ, თჳთქოს გული ამოეგლიჯა.

ამ ამოკჳნესამ უფრო გადარია მარიკო, რომელიც კინაღამ იქვე გადიქცა.

—ნეტავი შენ, მარიკო!—უთხრა ალექსანდრამ შეწუხებულის სახით: შენ მე მჯობიხარ. შენ ჩემზე ბედნიერი ხარ!

—როგორ, თქჳენი ჭირიმე!—ცრემლით მოახსენა მარიკომ: მაგას რას მიბძანებთ! თუ თქჳენ იქნებით უბედური, მე როგორღა ვიქნები ბედნიერი! რათ მინდა ის ბედნიერება, თუ ჩემი საყუარელი ქალბატონი იქნება უბედური. არ ვინდომებ, არ ვინდომებ, თქჳენი ჭირიმე, კეთილ დღესა; მეც თქჳენთან უნდა ვიტანჯო! მიბძანეთ, აგრეც გენაცვლებათ მარიკო, რა მოხდა!

—არ იცი, მარიკოჯან!... და ალექსანდრამ ვეღარ განაგრძო, ასე იყო შეწუხებული!

—თქჳენ სახელს გენაცვალე, თქჳენი ჭირიმე, მიბძანეთ!

—მე ხომ მათხოვებენ!—ოჰ, რა მწარეა ამ სიტყჳს თქმა! სთქჳა ალექსანდრამ და თავი გადაავდო კრესლის ზურგზე.

—ვის გაძლევენ, თქჳენი ჭირიმე?—ჰკითხა მარიკომ

და შიშით ინძრეოდა საწყალი, რომ უსიამოვნო კაცის სახელი არ გაეგონა.

—არ იცნობ?...

ალექსანდრამ ველარ დაასრულა, რადგანაც ეზრზინებოდა თეიმურაზის სახელის თქმა.

—ვისა, თქვენ გენაცვალე?

—იმ მხეცს თეიმურაზსა...

—დიაღ, თქვენი ჭირიმე, ვიცნობ.

—იმ მხეცს თეიმურაზს მაძლევენ ჩემი მშობლები!

—ვაი მე!... შეჰყვირა მარიკომ და ჩამოიკაწრა ხელის ფრჩხილებით ლოყები.

—რა ბოროტმა სულმა შემოიყვანა აქა! ჩემთან რა ხელი ჰქონდა! ოჰ—მე!...

მარიკო თჳთქოს გამოფხიზლდა და დაფიქრდა.

—ოჰ, ღმერთო! —განაგრძო ალექსანდრამ და გულით შემუსვრილით აიხედა მაღლა: ოჰ, ღმერთო! მრწამს შენი განგება. ნეტავი შენის განგებით ამცდეს თეიმურაზი!

—რამ აგონათ, ქალბატონო, ჩემ ბატონებსა! განა სხვა ველარ ვინ იპოვეს?

—ეგ მითხარ, მარიკოჯან! ლიფსიმეს, იმ ცბიერ, იმ თითლიბაზ ლიფსიმეს მოუხდენია! ხედავ, მარიკო, როგორი ხალხის ქვეყანაზე! საიდამ სად ვის გადაჰკიდებენ, თავიანთ სარგებლობისათჳს! ოლონდ თჳთან ისარგებლონ, რას დასდევენ, თუ ან ქალი, ან ვაჟი დაიღუპებიან! ვინა სთხოვა, —მე გამათხოვოს! ჩემთჳს რათა ზრუნავდა! ჩემთჳს რათ უნდოდა ქმარი, თუ ბოროტი სულია და თუ კეთილი სულია, მით უმეტეს, რათა მაუ-

ბედურებს!

—ნუ გეფიქრებათ, ქალბატონო!—მოახსენა მოახლემ, რომელიც წამოდგა და გამხნევდა რაღაცა იმედით: ნუ სწუხართ! მე მაგ საქმეს მოვშლი! თავს მოვიკლავ და თეიმურაზსცა არ შევართვევინებ!

—რა გწადიან, მარიკო? ჰკითხა გაოცებულმა მარიკოს ქცევით ალექსანდრამ.

—თქჳენმა სიცოცხლემ, მოვშლი? უპასუხა გულმოსულობით გამდელმა.

—როგორ?

—გამოუცხადებ ბატონებსა თქჳენ უსურველობასა.

—რა საცოდავი ხარ, მარიკო! განა ეგ შეკი არ შემიძლიან! განა არ შემიძლიან უარზე დავდგე!

—მაშ რაღა გაყოვნებთ?

—ჩემმა დედმამამ თავიანთი ნება უნდა აღასრულონ, და მე წინააღმდეგი არ შემიძლიან, ამიტომ რომ მხოლოთ უარის თქმით დედმამას ვერ გადავათქმევინებ სიტყჳსა და ისინი თავიანთ ნებას აასრულებენ, მაშასადამე სჯობს ისევ დავებონო.—გეუურება მარიკო!

—მეუურება თქჳენი ჭირიმე.

დიაღ ვერც წინაუდგები დედმამასა, ვერც თეიმურაზს შავირთავ; სიკჳდილი მიხსნის ორივესაგან!

—ღმერთმა დაგიფაროსთ, ქალბატონო! და კიდეც დაგიფარავს, ამიტომ რომ იმისს შემწეობით მოვშლი.

—მარიკო!—ბძანებლობით უთხრა ალექსანდრამ: ერთი სიტყჳა არ გაბედო!

—მაშ, თქჳენი ჭირიმე, უნდა დაიღუპნეთ!

—რათა. არ შეიძლება, ვიპოვოთ ისეთი ღონისძიება, რომ თჳთან ჩემმა მშობლებმა მოშალონ ეს ჩემი სიცოცხლის გამამწარებელი საქმე?

—მაგდენი აღარ მესმის!

მაგრამ მარიკო დაფიქრდა. უცებ იმას გაუელვა გონებაში რაღაცა ბრწყინვალე აზრმა და იმედი დაეწერა სახეზე; ალექსანდრასკი არ გამოუცხადა. შიშით, რომ იმას არ აეკრძალა მოხმარება ახლად მოფიქრებულის ღონისძიებისა. ამიტომაც დამშჳდებულის და მხიარულის სახით მოახსენა ქალბატონსა.

—ნუ სწუხართ, თქვენ მშვენიერ თავს ვენაცვალე, ჩემო ტკბილო ქალბატონო! გული დაიმშჳდეთ: იმედი მაქვს ღვთისაგან, საქმე მეორე გვერდზე გადატრიალდეს, თეიმურაზს იმედი მოეშალოს, დღე დაუბნელდეს, თქვენკი გაგინათლდეთ და თქვენ სურვილს მისწვდეთ.

—ხომ არას აპირებ, მარიკო?

—არაფრისთანა არაფერსა! თქვენ კარგა მოგეხსენებათ, მე ბატონებს ვერას გაუბედავ და ისინიც ჩემსას არას გაიგონებენ. საქმე უფრო დაშავდება, თუ ვიტყჳ რასმე!

—ეგრე, ჩემო მარიკო! ნურას გაუბედავ ბატონებსა. მე დარწმუნებული ვარ, თუ ეს საქმე ღვთისაგან არ არის, ჩაიშლება ან ჩემის სიკვდილით, ან სხვა...

—ნება მიბოძეთ მცირედ ხანს გიახლო გარეთ.

—წადი, მარიკო და ჩქარა მამხედე; მარტო ამ მდგომარეობაში, ვერ გამიძლია.

მარიკომ ხელი დაუკოცნა ქალბატონსა, გულმხურვალე-

თა სითხოვა, გადეყარა სკვდა, და თჳალის დახამხამებამდინ დაუტევა ქალი.

---

ბარონის ქუჩის ბოლოს დგას მიკიტნის დუქანი, მგზავრების მისამართი და სადგური. ამ დუქნის წინ იდგა ცხენი შეკმაზული და სავსე ხურჯინით დატჳრთული და ალვირით ბოძზე გამობმული. შიგ დუქანში იყო თეთრჩოხიანი, დაიარაღებული გლეხი კაცი, რომელმაც, ანგარიშის შემდეგ, მიუთვალა მიკიტანს ფული სასმელ საჭმელისათჳს, რომელიც მოსდომოდა თჳთ გლეხ კაცსა და და იმისს ცხენსა.

ამ დროს მოაქროლებდა ამ დუქნისკენ დროშკა, რომელშიაც იჯდა ახალგაზდა ქალი და რომელიც დადგა დუქანთან. ქალი გადმოხდა და შევარდა დუქანში.

—შერმაზან აქ არის? ჰკითხა მიკიტანს ქალმა, რომელმაც ვერ დაუნახა პირისახე გლეხკაცსა.

—აა, მარიკო! უთხრა სიცილით გლეხმა კაცმა: აქა ვარ. როგორ ვერ დამინახე!

—მზისგან მქონდა თჳალი აჭრელებული და ბნელაში ვეღარ გაგარჩიე. რას აპირებ, მისდიხარ?

—აი, ეს არის ეხლა მივდივარ. აგერ ცხენიც შეკმაზული მყავს. წიგნი ხომ არა გაქჳს?

—ერთი ფეხით არ მოისწარ, შერმაზან! უთხრა გახარებულმა მარიკომ შერმაზანსა: აი წიგნი, რომელსაც გაუტარებ ბარბარესა. ხომ იქით გაივლი?

—დიაღ.

— ხვალ რა დროს მიხვალ?

— საუზმის დროს.

— შენ გენაცვალოს მარიკო, შერმაზან, ეს წიგნი უთუოთ შენის ხელით მიართუ ბარბარესა.

— რა თხოვნა მინდა. უთუოთ მივართმევ.

მარიკო მერე გაექანა დროშკითვე ფოჩტაში,

— რა გნებავს, ქალო? ჰკითხა ერთმა ჩინოვნიკთაგანმა, რომელიც იყო აქაური.

— წიგნი მაქვს გასაგზავნი ოსმალოში, ალექსანდროპოლისაკენ, სადაც ჩვენი ჯარები დგანან.

— დრო აღარ არის მიღებისა.

— რას მიბძანებთ! ძალიან საჭირო გახლავს! არ შეიძლება დარჩეს!

— მაშ ერთი ორათ ფასი უნდა მისცეთ.

— ბატონი ბძანდებით; მოგართმევთ.

— დაუბეჭდავი რათ არის? სტახოვოით ხომ არ გინდათ გაგზავნოთ?

— დიახ, დიახ.

— რატომ კანვერტზე არ აწერია ადრესი?

— მე რუსული არ ვიცი. თქვენ დაწერეთ, თქვენ სადღეგრძელოთ.

— მიიხარით, მე დავსწერ რუსულათ.

მარიკომ დააწერინა:

«მისს. . . .

. . . დრაგუნის პოლკის მაიორს. . . . რევაზს. . . .

— სად არის ეს ყმაწვილი? ჰკითხა ჩინოვნიკმა მარიკოს.

— ალექსანდროპოლისაკენ რომ ჯარებია, იქა.

და ჩინოვნიკმა კანვერტზე დააწერა

**Въ Главиый дѣйствующій отрядъ на границѣ азіатскои Турціи.**

მარიკო მხიარულათ წავიდა შინ. იმისი სახლიდამ გასვლა და წიგნების წაღება ვერავინ გაიგო.

---

იმ დროს როდესაც მარიკო გავიდა სახლიდამ წიგნების გასაგზავნათ, ალექსანდრას მოესმა ზალაში ფეხის ხმა და დედა ეგონა. აშიტომაც საჩქაროთ თვალები მოიწმინდა და მიიღო დამშვიდებული და მხიარული სახე.

წარმოიდგინეთ ალექსანდრას შეწუხება, როდესაც ამან დედის მაგიერ მიიღო ლიოვსიმე. ქალი თრთოდა უსიამოვნობისაგან და შეშფოთილებისაგან.

—ოჰ, ნეტავი შენგი არ დამენახვებოდი და რაც უნდა მამისვლოდა!—სთქვა გულში ალექსანდრამ.

მაგრამ ქალმა მიიღო ლიოვსიმე, როგორც დარბაისლობის კანონი მოითხოვდა, მხოლოდ წარბი არ გაახსნა და არც სახე მოიმხიარულა.

—როგორა გხედავ, ალექსანდრაჯან, შენი ჭირიმე!—შეჰყვირა პირ მოთნეობით ლიოვსიმემ: რა დროს ჭმუნვაა, რა დროს ფიქრია! არ იქნა ფიქრებისაგან ველი ვერ აილე. ეხლა უნდა თამაშობდე, გამხიარულდე, გული გაიხავარდო,—შენმა სიცოცხლემ!

—რათა, ბატონო! ეხლა რა მომმატებია?

—როგორ თუ რა მოგმატებია!—შეჰყვირა ლიოვსიმემ თითქმის წყრომით: ბედნიერება, ისეთი ბედნიერება,

რომელსაც ბევრი ქალი ვერ ეღირსება.

—დიახ, თქჳენმა მზემ! მე ისეთი ბედნიერება მეწჳ-რომელიც ბევრს ქალს ასცდება,—უთხრა ირონიით ალექსანდრამ.

—დიდი ბედნიერი ხარ, ალექსანდრაჯან, შენმა გაზდამ! ისეთ კაცს ირთავ, რომ ქართველებში იშჳათია! აი ბედი! ეხლა იტყჳან ბედი არ არისო! რავდენი ქალი ეძლეოდა და ბედმა შენკი მოგაგნო!

—თქჳენა მადლობელი უნდა გახლდეთ, ჩემო ბატონო, თქჳენი ჭირიმე!—უპასუხა გულმოსულობით და იმავე ირონიით ალექსანდრამ: თუ არ თქჳენ, აბა ვინ მაღირსებდა ამ ბედნიერებასა!

—მე რა შემიძლიან!—წამოიყჳრა ლიზისიმემ სიამოვნებით. სწორე მოგახსენო ცდა ჩემი იყო, საქმის დაბოლოვება ბედისაგან ალბათ შუბლზე ეგ გეწერა! ნამდჳლად ბედნიერება, ალექსანდრა, შენ უნდა დაიგჳრხო!

—დიაღ, დიაღ, ჩემო ბატონო,—თქჳა ალექსანდრამ და მსუბუქად ამოიოხრა: თქჳენ რომ არა ცდილიყავით მე ამ ბედნიერებას ავცდებოდი, ამიტომ რომ შუბლზედ არ მეწერა.

—რას მიბმარებ, ქალო! შენ სულ, მეტის ცოდნით, გადარეულხარ! როგორთ შუბლზე არ გეწერა! რატო არ იცი, რომ კაცს რაც გადახდება, შუბლზე აწერია.

—მე მაგაზე არ აგიხირდებით, თქჳენი ჭირიმე, ჩემო ბატონო; მხოლოთ მოგახსენებ განმეორებით, რომ თუ თქჳენ არა, თიმურაზს ჩემ დღეში ვერ შევირთავდი.

თავის ქება, თავის მტვრევააო, იტყჳან გლეხები,—

უთხრა ლიფსიმემ გულის გმაყოფილებით და ატაცებულ სიხარულით, ამიტომ რომ იმან შარდაშირ გაიგონა ალექსანდრას ირონია: არ მინდა თავი მექო, მაგრამ... მე გულიანო ისეთი ჭკვიანი ხარ, რომ არა აგცდებარა. დიაღ-ალექსანდრავან, მე ვითავე და მევე დავასრულე. მძლიერ მოხარული გახლავარ, რომ საქმე ასე კეთილად დასრულდა.

—მე რომ არ მითხოვნია, თქვენ თავათ რათ ინებეთ ამ საქმის დაწყება და შესრულება!

—საქმეც ეგ არის, რომ მე ჩემ თავათ დავიწყე და გავარიგე, ასე რომ ჩემი შარიამ აღარ გვესარჯება.

—დიაღ, ღრმა საიდუმლოება იხმარეთ და მასამ საქმე არ გადაწყდა, მე ვერა გავიგე რა. მრავალს მადლობას მოგახსენებთ, თქვენი ჭირიმე!

—ღირსება მეამავალისა იქიდამ იცნობება, ქალო, თუ ასე საიდუმლოთ დააბოლოვებს საქმესა, უპასუხა ლიფსიმემ, რომლის მხიარულება მისწვდა უკანასკნელს ხარისხსა.

—იქნება მე არა მსურდა, თქვენ თავათ რათა ინებეთ?..

—მე ვიცოდი, რომ ეს დიდი ბედნიერება გიამებოდა და უცების გამოცხადებით მსურდა გამეხარებინე.

—დარწმუნებული გახლავარ, რომ თქვენ ჩემთვის ცუდს არ მოინდომებდით, მაგრამ იქნება არ მომეწონა თქვენგან არჩეული ვაჟი?

—შენ მოწონებას და დაწუნებას ვინა გკითხავს, ქალო! შენი საქმე ის არის, ვინც აგირჩიონ, შეირთო!

—სწორეს მოგახსენებ, თქვენი ჭირიმე. სხვისი მოწონებული ვაჟი თუ ქალი, არა მგონია, მოეწონოს და იამოს იმასაც, ვისთვისაც' თავიანთ გულში. ამზადებენ

იმ ვაჟსა თუ ქალსა.

—სხვას რას ელოდე, ალექსანდრაჯან! შენ ხომ მოგწონს და გიხარიან ის ბედნიერება, რომელიც მე ჩემის მრავალის და ენით აუწერელის მეცადინეობით უცებ, უფიქრელად კარზე მოგაყენე!

—ეს ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ გახლავს.

—როგორ თუ არ არის გადაწყვეტილი, ქალო?— ჰკითხა ლიფსიმემ გაოცებით.

—არც მიხარიან, არც თუ მეშინია თქვენთან არ-ჩეული ჩემ საქმროთ თეიმურაზისა; მე ვწუხარ, რომ ეს საქმე მოხდა, მე მეტის უწყალობელისა თქვენი თეიმურაზი, მე უნდა დედასთან ვნახო ჩემს თავსა.

—ვაი შენ, ჩემო თავო! დადევ ყურები, და ნუღარ გაიგონებ! ეს რა მესმის!—შეჰყვირა ლიფსიმემ გაკვირვებით და მიხლებს რახარუხი აყენა ხელებით: დაილოცოს მშვიდი დრო! მაშინ ქალს ვინ რასა ჰკითხავდა!

—უწინ, ჩემო ბატონო, მაწყებს ათხოვებდნენ, და მამასადამე ვერც დაეკითხებოდნენ. ეხლა სხვა დრო გახლავს. მგონია ჩვენდენა ქალმა უნდა იცოდეს, ვისაც აძლევენ.

—ეხლა ხომ იცი?

—დიდ ალარ არის! ჩემი მშობლების სიტყვა უნდა აღსრულდეს! კარგი იყო, რომ ჩემი მშობლები არ შეგეცდინათ; ეხლა, რადგან შეაცდინეთ, მეც თანახმა გახლავარ სრულის მორჩილებით აღვასრულო მათი ნება. მე თქვენ ბედნიერით, და არა მშობლებსა.

ლიფსიმე მოგვქონდა ბუდეში და სიბრაზით თრთოდა.

—ვინ მოგცათ თქუჱნ ჩემზე უფლება!—განაგრძო ალექსანდრამ მტკიცეთ: ვინა გითხრათ, რომ გაგეთხოვებ-ნეთ და მიგეცეთ ისეთ კაცსა რომელსაც თქუჱნ აარჩევდით! რომ არასა გავს! რომ აზრი რა გამოდის თქუჱნს მოქმედებაში!

—მე მსურდა შენი ბედნიერება,—უპასუხა ლიფსიმემ ტივკათ და არევით.

—მრწამს. მაგრამ მე უნდა მცოდნოდა და თუ დავი-ნახავდი ჩემ ბედნიერებას. ჩვენ მიიღებდით ჩემგან გემ-უამავლათ. და რადგან თქუჱნ თავათ ითამაშეთ ტირანსა-ობა და მიმათხოვეთ თოჯასა, მე უბედურად ვხახი ჩემს თავსა; მე საუკუნოთ დავიღუპე.

—რათ დაიღუპე, ქალო ალექსანდრა! იცი, რა საუცხ-ოვო კაცს ირთავ?

—გეტყობათ თჳთან თქუჱნ არ იცნობთ თეიმურაზსა, ანუ იცნობთ და მე მეიდით,—უფრო ცუდი! მე კი დაა-ხლოვებით ვიცნობ: იმაზე უცუდესი არა მგონია იყოს ვინმე კიდევ.

—მაშ წავალ, ვეტყვ მარიამსა, რომ შენ არა გსურს თეიმურაზის შერთვა,—უთხრა შეწუხებულის სახით ლიფსიმემ.

—მაგ მაზეზით რომ მოიშლებოდეს საქმე, მე თჳთან მოვახსენებდი დედასა; მაშასადამე ამ შემთხვევაში მე და დედას შორის შუა კაცი საჭირო არ გახლავს. თუ ჩემ-თჳს კეთილი გსურსთ, დედა დაარწმუნეთ, თქუჱნათ, რომ შეიტყეთ თეიმურაზის ცუდკაცობა და ურჩიეთ მოშლოს საქმე, მაშინ უთუოთ მოიშლება, და მე ნამდჳ-

ძალად გავბედნიერდები.

—არა. ეგ მე არ შემიძლიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ თეიმურაზ საუცხოვო კაცია.

—მაშ გიხოვო, დედას ნურას გაუხსენებთ. იქნება მე ვცდები. არა მინდ იოტისოდენად ვაწყენინო ჩემ დედამამასა, ამიტომ რომ მე იმათგან ჯერ წყენა არა მინახავს. ისევ ვამჯობინებ, მე დავიტანჯო, ვინემ დავტანჯო ისინი. დიაღ, მე თანახმა გახლავარ...

—ბატონო ხარ ალექსანდრე, არას ვეტყვ მარიამს; ამიტომ რომ შენი აზრი თეიმურაზზე უსაფუძვლოა და ჩაგონებული სხვისგან მტრობით ბოლოს კი დამიმადლებ და დამლოცავ.

## თავი 4.

### კაცი განიგულებს ღმერთი აჰკარგავს.

კონსტანტინე და მარიამ ძლიერ იყვნენ გახარებულნი და ემზადებოდნენ სანიშნობოთ. მარიამს მონდომებით სამაგალითო ნიშნობა უნდა გადეხადათ, ისე რომ ქორწილის თანასწორი ყოფილიყო. მარიამ იყო დედაკაცი მეტად დიდური და ამ შემთხვევაში ცდილობდა გამოჩენილიყო სანაქებოდ და შესაბამ თავისის მდგომარეობისა, რომელიც ეჭირა საზოგადოებაში. ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად, მარიამმა, არა დაიშურა—ხარჯი მიიღო ძლიერ დიდი. ოთახები დაალაგებინა და მორთო როგორც კი შეიძლებოდა უკეთესად; ორას სულამდის ვაჟები და

ქალები მიიწვია და იმათ სახიამოვნოთ მოიპატიჟა საზანდარო მუზიკა და საზანდრები; სასმელი და საჭმელი მზა-მზადებისა ფრანცუზის კანდიტერისა. დღე არა ჰქონდა მოსვენება და აძლევდა განკარგულებასა, ღამე არ ეძინა და ფიქრობდა, ასე პლანებს აწყობდა, რომ არამც ნაკლულევანება და უკმეხობა არ ყოფილიყო. კონსტანტინე დაემონა მეუღლესა და იმისს სურვილს ასრულებდა სიხარულით.

არა თუ მთელ ქალაქში, მთელ საქართველოშიაც კი საჩქაროთ გაიხმო ეს ამბავი. ყველა პირში ულოცავდა კონსტანტინესა და მარიამს ქალის გათხოვებასა, პირიქით კი იბრალებდა ალექსანდრასა და ჰკიცხავდა სამეტნაკათ მარიამსა, რომ ეს საუცხოვო ქალი მიუცდო ზრანგვს კაცსა.

ალექსანდრას კი ყოველი განკარგულება დედისა, ყოველი მოქმედება სახლში, ყოველი სამზადისი და სიხარული, რომელსაც ხედავდა მშობლებში, ლიფსიმეში და მოსამსახურებში, გულს უკაწრავდნენ, უქეჯნიდნენ, შეუბრალებლად უწყლულებდნენ; მალა წაერია, უძილობა დაერთო, ღონე მოეღო, გონება მწუხარებისაგან დაუბნელდა. ნუგეში არსად უჩნდა, სახე მოეღლა, თვალები ჩაუცვივდა, დღე სიცოცხლისა უმოკლდებოდა.

მარიამ ხედავდა ხორციელის თვალებით ქალის საცოდავ მდგომარეობასა და გონების თვალით კი ვერა ხედავდა, ამიტომ რომ გართული იყო დიდს საქმეში.

მარიკო მხიარულათ, სიცილით, თამაშობით ეწეოდა მარიამსა ყოველ საქმეში; ალექსანდრასაც ნუგეშსა სცე-

მდა, მხიარულათ ეჩუჩნებოდა, რომ ის გაემხნევებინა და გაემხიარულებინა.

მაგრამ მარიკოს ნუგეში ვერ მოქმედებდა ალექსანდრაზე; ამიტომ რომ ქალი ხედავდა ყოველ წამს სანიშნობო სამზადისსა. ქალს ნამეტნავათ სტანჯავდა ის აზ-ზრი, რომ დიდ სამჯავროში უნდა მოსდგომოდა გვერდით იმ კაცსა, რომელიც, ვინ იცის, იქნება ყველასა სძაგდა; მამასადამე ყველასი გასაკიცხავი და სასაცილო შეიქნებოდა. განა არა ალექსანდრამ რავდენჯერმე სთხოვა დედასა, რომ ნიშნობა მოეხდინა საიდუმლოთ; მაგრამ მარიამმა არ ინება, და ასე უთხრა ქალსა:

—ერთი ქალი მეევხარ და კარგა იცი, ჩემი სიცოცხლე შენა ხარ. დედამჯლობ!ს, რაღა დედა ვიქნები, თუ შენ შესაბამ ნიშნობასაც არ გადავიხდი! ნუ იფიქრებ, რომ მე შენს ნებას ავყვე. ჩემ დედაკაცობას დავლებ და შენ ღირსეულ პატივ'ა გცემ. მე ერთი სიტყჳს პატრონი ვარ, რომელსაც ვერავინ ვერ გადამათქმევინებს, მანამ არ დავინახავ ჩემ შეცდომას; და როდესაც დავინახავ ჩემ შეცთომას, მაშინ ვერავინ ვერ აღმასრულებინებს ჩემს სიტყუჷსა.

ამასობაში დრომ გაირბინა და რავდენიც ნიშნობის დღე დაახლოვდა, იმდენი ალექსანდრა დნებოდა მწუხარებით.

ერთიც ვნახოთ ლიივსიმე უცებ შევარდა ქაქანით შემდეგ მისა, ნიშანი რომ გაშინჯა თეიმურაზისას და დიდის სიხარულით ჩამოუთვალა ნიშანი, რომელიც მოემზადებინა თეიმურაზსა. იმას ეგონა ამითი ძლიერ ასია-

მოვნებდა მარიამსა; მაგრამ მარიამმა ცივათ მიიღო და იწყინა კიდეც.

—რაც უნდა მოართვას თეიმურაზმა ჩემ ქალსა ნიშანი მე არ გამიკვირდება და გარწმუნებ, ლიფსიმე, ისეთ ნიშანსაც ვერ მოართმევს, რომ ალექსანდრას საკადრისი იყოს, უთხრა მარიამმა ლიფსიმეს უკმაყოფილობით.

ლიფსიმეს შერცხვა.

ალექსანდრას თავათ შეამაყალის დანახვა სრულიად ეჯავრებოდა; ეხლაღა, როდესაც გაიგონა იმისგან ჯამბაზობით ჩამოთვლილი ნიშანი, ყოველი იმისი სიტყვა ეცა დახვარივით გულსა...

მარიკოკი იდგა მოშორებით, როგორღაც მოუთმენლათ იყო, რაღასაც ანგარიშობდა და ჯამი ვერ დააყენა.

—ქალბატონო! —ჰკითხა მარიკომ, ცალკე, ალექსანდრეს: ალექსანდრეპოლიდამ როდის მოდის ფოშტა?

—არ ვიცი. რათ კითხულობ?

—როსტომის წიგნს ველი.

ალექსანდრას მოაგონდა მიხაკო და ყვითელმა ფერმა გადაჰკრა...

უკანასკნელ გათენდა ნიშნობის დღე, ის დღე, რომელიც ლიფსიმეს, თეიმურაზს, ეკატრინეს, მარიამს და კონსტანტინეს სულ მოკლეობით ესწრაფებოდათ და რომელიც სიმწარით ეჯავრებოდათ ალექსანდრას, მარიკოს და თეკლეს.

ყველანი საჩქაროდ წამოდგნენ და გულმოდგინედ შეუდგნენ საქმესა; მხოლოდ ალექსანდრას ენატრებოდა რომ არ გათენებულ იყო; და როდესაც თვალი გაახილა

და ნახა ნათელი დღისა, მწარეთ ამოიკვნესა საცოდავმა.

ქალი წამოდგა მეცხრე საათზე და გრძნობდა უქეიფობასა. გული დაეხურა, უღონდებოდა, თავბრუ ესხმოდა, ბარბაცებდა. მაინც როგორც იყო ალექსანდრამ შეიმაგრა თავი, ტანთ გადიცო,—რის ტანჯვით! თავი დაიხურა მოდუნებულ ხელებით, მაგრამ ვეღარ იჯდოცა,—ასე ცუდათ იყო!

მარიკო ხედავდა ქალბატონსა ცუდ მდგომარეობაში და ესწრაფებოდა წიგნს ალექსანდრეპოლიდამ, რომელიც იმის ფიქრით გამოიტაცებდა ქალს და უღხინდა. ამიტომაც მოახლემ თავი დაანება ავათმყოფსა, საჩქაროთ გაიქცა ფოჩტაში, მოიკითხა წიგნი, და რადგანაც არ დახვდა წიგნი, ფული აჩუქა ფოჩტალიონს და სთხოვა იმავ წამს მიეტანა სახლში წიგნი, რა წამსაც მიიღებდნენ ფოჩტაში

—სად ხარ მარიკოჯან! ძლივ-ძლივ უთხრა ალექსანდრამ მარიკოსა, როდესაც ისი დაბრუნდა ფოჩტიდამ, და გადიქცა ქალი გულშემოყრილი.

—ქალბატონო, შენი ჭირიმე! შეჰყვირა მაღალის ხმით მარიკომ და თავპირში წაიშინა: მიშველეთ!.. თქჳნი ჭირიმე, მიშჳლეთ!.. ქალბატონო!...

მარიკო, მაგიერ მისა რომ ალექსანდრა მოებრუნებინა, საცოდავი თმებს იგლეჯავდა, ღრიალებდა უგუნურათ და თვითონაც არ გაეგებოდა რას ამბობდა.

მარიკოს ღრიალზე შეცვივდნენ მარიამ, კონსტანტინე, გამდლები და მოსამსახურები.

მარიამი იქვე წაიქცა გულშემოყრილი.

კონსტანტინე სტიროდა უნუგეშოთ.

რისყოფით, რის ამბით მოაბრუნეს დედა და ქალი.

—როგორა ხარ, შენი ჭირიმე, ალექსანდრაჯან. შესტირა მარიამმა ქალსა, რომელსაც მობრუნდა: შენ სახელს ვენაცვალე, შვილო!.. ღმერთი რაზე გამიწყრა!.. ეხლა რაღა ვქნა!.. მიშველეთ!..

—შენი სახელის ჭირიმე, ალექსანდრა, ქჳთქჳთებდა კონსტანტინე მდუღარის ცრემლით: ბედნიერება გეწყინა, შვილო!..

—დედა, დედა. თქჳნი ჭირიმე, როგორ ბძანდებით? ჰკითხა ძალდატანებით ალექსანდრამ, რომელსაც შაეშინდა დედის ავათმყოფობისა, ამიტომ რომ უთხრეს როგორ გული შემოეყარა.

—კარგათა ვარ, შენი ჭირიმე; შენ როგორღა ხარ!..

—არა მიშავსრა, თქჳნ გენაცვალე?

—ჩქარა ექიმები მოაყვანინე,—უთხრა მარიამმა კონსტანტინეს და გაგზავნეთ ყველგან კაცები, შეატყობინონ, რომ ნიშნობა აღარ გვექნებათქო.

კონსტანტინე გავიდა ბძანების მისაცემად.

უკანასკნელი სიტყუა მარიამისა: ნიშნობა აღარ გვექნება, ალექსანდრას იამა, ასე იამა, რომ გული შეუმსუბუქდა, შეუმაგრდა, ძალა მიეცა: სნეულების წამალი იყო, რომელიც მაშინვე მიესწრო და რომელმაც ხრულის ძალით იმოქმედა; აღარა უჭირდარა: იმას დაუბრუნდა სიცოცხლე, ელფერი მოუვიდა, და ქალი თუმცა იყო გამხდარი, მაგრამ დამშჳდნდა თავისებურათ: ჭმუნვას აღარა გრძნობდა.

კონსტანტინე და მარიამ წინ უსხდნენ საყვარელ ქალსა, შეჰყურებდნენ და შიშით ილეოდნენ, რომ ავათმყოფი უფრო ძლიერ არ შექმნილიყო ავად. კონსტანტინეს შესახედაობა საცოდაობით აავსებდა კაცსა. მწარეთ გა-დაფითრებული დაჰყურებდა შვილსა და რომ გეკითხათ იმ დროს ისი რასა ფიქრობდა, პასუხს ვერ მოგცემდათ, ასე იყო შეწუხებული! ხშირათ უკოცნიდა ავათმყოფს თვალებსა, ტუჩებსა, ხელებსა და მამობრივის სიყვარუ-ლით უალერსებდა. მარიამ ქმარზე მომეტებულათ იყო გადარეული შვილის ავათმყოფობით,

ალექსანდრა თანდათან მობრუნდა, და ეხვეწებოდა მშო-ბლებსა, ისინიც დამშვდებულ იყვნენ.

მარიკო ხშირად შადიოდა და გადიოდა. ისი მოელო-და ფოჩტიდამ წიგნსა და ექიმებსა. მაგრამ ყველაზე მხ-ნეთ ის უფრო იყო, რადგან მაატყო უკეთესობა ქალ-ბატონსა.

—ალექსანდრაჯან, შენ გენაცვალოს დედა, ნუ იძინებ! უთხრა მარიამმა შიშით, რომ ძილში გული არ შეღონებოდა.

—რატომ, დედაჯან?—ჰკითხა ალექსანდრამ ნაზათ.

—სუსტათ ხარ...

—ძილი მარგებს, თქვენმა მზეი!

—ნეტავი მიირთო რამ. ჩაი ხომ არ გნებავს, ალექსან-დრაჯან?—ჰკითხა მარიამმა: სუსრით ჩაი გულს დაგი-ყენებს.

—მიბოძეთ თქვენი ჭირიმე. მაგრამ თუ თქვენ არ დამშვდდებით, მე უფრო ავათ შევიქნები.

ავათმყოფს ჩაი იამა და მერმე ჩაეძინა.

კონსტანტინე, მარიამ და სხჳანი ისე გაუყუჩდნენ, თი-თქოს იქ არავინ იყო. ძილში ავათმყოფს ტუჩები გა-უსწორდა, ლოყები შეუბროწავდა, გული მცირედაც არ უცემდა, კოკორი ოფლი წამოადგა.

მარიამმა ნახა კარგი ნიშანი, ანიშნა ქმარსა და ორ-ნივე გამხიარულდნენ.

ერთ საათის უკან ალექსანდრამ გამოიღვიძა და ნაზათ გაუღიმა დედამამას.

კონსტანტინე და მარიამ სიხარულით აივსნენ, ასე ეგ-ონათ საწყლებს, ხელმეორეთ დაებადათ ალექსანდრა,— სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდათ.

—ნუღარას ვეფიქრებათ რა, თქჳენი ჭირიმე მამა, დე-და, თქჳენ სასჯელს გენაცჳალე, გული დაიმშჳდეთ: მე აღარა მიჭირსრა,—უთხრა ალექსანდრამ დედამამას სიტ-კბოებით და დამშჳდებულის სახით.

—შენ კი გენაცჳალოს დედა, შჳლო! თქჳა მარიამმა დედობრივის გულმტკივნეულობით.

—არა, შჳლო! ჩჳენ აღარ გწუხართ; შენ ჩჳენთჳს ნუ ჰფიქრობ,—უთხრა კონსტანტინემ დამშჳდებულის და მხიარულის სახით.

—ეგრე, თქჳენი ჭირიმე,—თქჳა ალექსანდრამ: თქ-ჳენი მწუხარება მე შემაწუხებს, და თუ გნებავსთ ჩემი ჩქარა წამოდგომა, სრულიად გადიყარით ჩემზე ჯავრსა. ჯავრი მავნებელია კაცისა: აღონებს გულსა, ჰქეჯნის სუ-ლსა, აბნელებს გონებასა.

როდესაც დედმამა ქალს, და ქალი დედმამას ასე ნუ-გეშსა სცემდნენ, მარიკო, დაფიქრებული, ბოლოთასა სცე-

მდა ზალაში. უცებ მოახლემ შენიშნა ზალის კარებში გოჩუნა.

—რა გინდა?—შეტევით და ხმა დაბლა ჰკითხა მარიკომ გოჩუნას.

გოჩუნა სალოკი თითით უძახდა მარიკოს.

—რაგინდა შე რეგვენო? გაჯავრებით ჰკითხა მარიკომ.

გოჩუნამ ამოიღო უბიდამ წიგნი და მისცა.

მარიკოს გაუკვირდა და არ უნდოდა გამოერთო წიგნი; მაგრამ როდესაც გოჩუნამ უთხრა საიდუმლო არისო, მაშინ მოახლემ გამოართო.

—ვისგან არის?

—ჩემი პატარა ქალბატონისაა, თეკლესი არის,—უთხრა ჩუმათ ბიჭმა: არავის უჩვენო ალექსანდრას გარდა.

მარიკომ წაიკითხა ზედ წარწერა:

«მისს. . . .

. . . .ალექსანდრას..—

საკუთარ ხელში. საიდუმლოთ»

მარიკო გაჰკვირდა და დაფიქრდა. ეჭვში იყო: თუ მიეცა ალექსანდრასათჳს გაუხსნელი წიგნი—ვინ იცის რა შესაწუხარი ამბავი ეწერა და ქალს გული უფრო გაუსქდებოდა; თუ უკანვე დაუბრუნებინა, იქნება ისეთი რამ ეწერა, რომელიც იხსნიდა მას განსაცდელისაგან თუ თან გაეხსნა და წაეკითხა—ეზრზინებოდა. მაგრამ რადგან იმდღეინდელი გარემოება უფრო ძჳარ მსხვერპლს მოითხოვდა ოღონდ ალექსანდრას ღხინებოდა, ამიტომაც მარიკომ საჭიროთ დაინახა გაეხსნა წიგნი და შეეტყო, კარგი თუ ცუდი ამბავი ეწერა იმაში.

წიგნში ეწერა:

»უსაყვარელესო ჩემო და
ალექსანდრა,

მოწყალეო ჴელმწიფევ.

»რასაკჳრველია თქვენ დარწმუნებული იქნებით, რა ბედნიერება იქნება ჩემთჳს, თუ ვეღირსები თქვენ რძალობას. მაგრამ თქვენი სიყვარულით, რომელიც მაქვს, მე ჴელი ამიღია ჩემის ბედნიერებისაგან და სიცოცხლისაგან. ჩემი რჩევა გახლავს: ბედნიერი იქნებით თუ მოახერხებთ და ასცდებით ჩემ ძმას თეიმურაზსა, რომელიც არის ღვთის გარეგანი, ტყის ნადირი, მხეცი, ყოვლის ფრით უუცუდესი (ხასიათებით). ამასთან ესეც იქონიეთ მხედველობაში, რომ თეიმურაზს აქვს დიდი ვალი, ორიათას თუმნამდინ.

«უმორჩილესად გთხოვ, დაო, ეს საიდუმლო საიდუმლოთ დარჩეს საუკუნოთ და თქვენ გარდა არა ვინ იცოდეს.

თქვენი და თეკლე.»

მარიკო სიხარულით აივსო და მსთანვე რაღაცა აზრები დაებადა მას. ის ხან გოჩუნას უყურებდა, ხან წიგნს დაჴყურებდა, ხან ფიქრობდა. როგორც ეტყობოდა, რაღასაც აპირებდა და პლანებს აწყობდა.

ჩემო საყვარელო, აღარ გიყვარვარ?—ჰკითხა ალერსით მარიკომ.

—შენი ჭირიმე გოგოჯან, როგორ არ მიყვარხარ!—უპასუხა გოჩუნამ და თავი გვერდზე გადაგდო მოკვდინებით.

— მაშ დღეს სადილათ მეწჳე, დრო ერთათ გავატაროთ.

— ბატონი რო გამიჯავრდეს?

— თჳალიც გახეთქია შენ ბატონსა. შენი ჭირიმე, მოდი სადილათ.

— ჩემი ჭირი შენი არა, მე შენი ჭირი. მე უნდა გენაცჳალო შენ და არა შენ მე. გიახლები სადილათ.

— უთუოთ გელი. გოჩუნა წავიდა.

თავი 5

## შედგომილება მარიკოს განკარგულებისა.

სამი ექიმი ერთათ მივიდნენ. მარიკო დახუდა, ამათ გარეთ და ერთს იმათგანსა, რომელიც იყო ჩჳმნებური დაწვრილებით უამბო იმან მიზეზი ალექსანდრას ავათმყოფობისა და სთხოვა: წამალი არ მიეცათ, მხოლოთ დაერიგებინათ კონსტანტინე და მარიამ, რომ ქალისთჳს არა ეწყენინებინათრა.

ჩჳმნებურმა ექიმმა გადასცა დანაშთენ ორ ექიმსა მარიკოს ნაანბობი.

მართალიადაც ექიმებმა სხუა მიზეზი ვერა იპოვეს ალექსანდრას ავათმყოფობისა, გარდა წყენისა; ამიტომაც უთხრეს კონსტანტინეს და მარიამსა ერთის ხმით:

— თქუენ ქალს სიცხე არა აქუს, სახე აქუს დამშჳდებული და სიმრთელის გამომაჩინებელი. ნუ სწუხართ. ქალს გულის ერა მოსვლია წყენისაგან; დიაღ, ძლიერ რაღაცა სწყენია. ბედნიერნ ბძანდებით, რომ ამ შემთხჳევაში ძლიერს ენერგიას შეუნახავს თქუენი ქალი; მაგრამ უფრთხილდით, რომ კიდევ აღარა ეწყინოსრა, თორე

საეჭო იქნება ამისი მორჩენა: ამიტომ რომ ამისი გუ-
ლი ნაზია როგორც ყვავილი.

ამის შემდეგ ექიმები წავიდნენ.

—ალექსანდრაჯან, რა გეწყინა, შენი ჭირიმე! მე რა-
ტო არ ვიცი! რატომ არ მითხარ!—ტირილით უთხრა
მარიამმა და მაგრა ჩაიკრა ქალი გულში.

ალექსანდრასაც ცრემლები მოერია და სიყვარულით
დაუკოცნა დადას გული.

—არა მწყენიარა დედაჯან!

—ვისგან რა გეწყინა, ეს გამაგებინე!

—ვინ მაწყენდა, ბატონო, თქვენი ჭირიმე.

—მე ანუ მამამ ხომ არა გაწყენინეთრა?

—რას მიბძანებთ, თქვენ გენაცვალე!...

—ექიმებმა რომ თქვეს?

—ექიმებმა ბევრი იციან! თუ ყველა, დაუჯერეთ ექი-
მებსა, წყალში გადავცვივდებით

—არა, არა ექიმები არ შესცდნენ. შენ ნამდვლად
გწყენია რაღაცა! უთხრა დაღონებიით მარიამმა: ნეტავი ვი-
ცოდე, ვისგან და რა გეწყინა!

—დამშვიდდით, თქვენ სახელს გენაცვალე, დედა! რათ
იტანჯებით! მეც ხომ მტანჯავთ მაგ სახით რომ უნუ-
გეშოთ ბძანდებით! უპასუხა ქალმა და გულში ჩაეკრა
დედას.

—მანამ არ გავიგებ, ვერ მოვისვენებ, შენმა გაზდამ
მკლოს; შეტყობა საჭიროა, რომ კვლავ გავფრთხილდეთ.

—მე მოგახსენებთ მიზეზსა —უცებ შეჰყვირა მარიკომ
და მიართო თეკლეს წიგნი მარიამსა: ამ წიგნიდამ შეი-

ტყობთ მიზეზსა. ალექსანდრას გულში წინათ იგრძნო-რა ცუდი დღე დაადგებოდა თეიმურაზისაგან და ღონება დაუწყო ქალსა, რომ ასცდენოდა კაცო არა მგზავსსა.

ასე მოახსენა მარიკომ, მიტომ რომ ალექსანდრას სახე-ზე წაიკითხა, რომ იმისი საიდუმლო შესახებ თეიმურა-ზის უნდომლობისა არავის უნდა გაეგო.

მარიამ როგორც კი გაშეშდა, გაშტერდა, სრულიად მოიშალა.

კოსტანტინე ვერას მიხვდა და ითხოვდა შეეტყობი-ნებინათ წიგნის ძალა.

—ვინ მოიტანა ეს წიგნი?—ჰკითხა მარიამმა განკვირ-ვებით მარიკოსა.

—იმისმა საკუთარმა ბიჭმა,—მოახსენა მარიკომ

—სად არის ბიჭი?

—გახლებათ სადილათ. მე მოვიწვე. რადგანაც საჩქა-როთ დავინახე იმისი მოწვევა. მოახსენა მარიკომ ღიმი-ლით მარიამსა, რომელსაც მერე ყურში უთხრა: ალექსან-დრას გამოტაცება ეჩქარება; ამიტომაც ის ბიჭი მოვიწ-ვიე სადილათ, რომ ქალბატონი გაეცნოს და გაამხიარუ-ლოს.

—განა მაგდენი შეუძლიან?—ჰკითხა მარიამმა.

—თქვენ დარწმუნდებით,—მოახსენა მარიკომ.

—მაგრამ კიდევ ეჭვში ვარ. იქნება გაკეთებულია ეს წიგნი!

—ღვთისა და ბატონის რისხვა არა მქონდეს! რას მიბძანებთ, ქალბატონო! მიზეზი რომ არ იყო წიგნის გაკეთებისა!

ამ დაპარაკში შეესწრო ქსტატე, ალექსანდრის ბიძაშვილი, კონსტანტინეს ძმისწული.

ქსტატე გაშტერდა. რა დაინახა ალექსანდრა ლოგინში, და სხვანი დალრომილები.

— რა ამბავია! რატომ ეგრე ბმანდებით, ძალო? ალექსანდრავან. რათა სწევხარ ლოგინში? ჰკითხა გაკვირვებით ქსტატემ.

— უცებ ავათ გავხდა ქსტატევან, — შეხედა მწუხარებით მარიამმა.

— ნიშნობა? — ჰკითხა ქსტატემ.

— ნიშნობას მოგეშალოთ, ქსტატევან ვ ი ს ახლოეს ნიშნობა? — იქნა მარიამმა და ამოიოხრა, თითქოს სწყინდა, რომ იმოდენი შრომა და ხარჯი ჩაუფუჭდა.

— ეხლა როგორა ხარ, ალექსანდრევან? — ჰკითხა ქსტატემ, რომელიც გვერდით მოუჯდა ქალს.

— კარგა გახლავარ, ქსტატევან! — სადა ხარ, ყმაწვილო! გუშინ ერთივე დაგვეხანკე და აღარ გამოჩნდი ეგერე უნდა! რატომ ჩვენსას არ ჩამოხველ? უცხონი ხომ არა ვართ! — უთხრა ალექსანდრამ ალერსით და მასთანავე ასეჯის სახით, რომელიც გამოხატავდა სამდურავსაც.

— დრო არა მაქვს გავიგონო საყვედური და თავი ვიმართლო, — უპასუხა ქსტატემ მხიარულად ბიძაშვილს. მერმე მიუბრუნდა მარიამს და კონსტანტინეს, რომელთაც ღიმილით და გაბედვით უთხრა: ვმადლობ ღმერთას, რომ დღეს ნიშნობა მოგეშალათ! ამას იქით მე ჩავდგები თქვენ და ალექსანდრას შუა და ქალს აღარ მიგაცემინებთ თეიმურაზსა.

— რას ბძანებ, ყმაწვილო? — ჰკითხა მარიამმა, რომელსაც გაუკვირდა ესტატეს ქცევა.

— თქვენმა სიცოცხლემ, ძალო, წუხელისაც და დღეს დილითაც ვაპირებდი მომეხსენებინა, რომ ალექსანდრა არ მიგვეცათ თეიმურაზისათვის იმ მიზეზისგამო, რომელიც მე ვიცი, მაგრამ ვერ გავბედე, — უპასუხა ენერგიით ესტატემ; მიზეზი დიდ შესაწუხარებელი გახლავს, რომელზედაც არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ; მაგრამ ეჭვში გახლდი, სწორეთ მოგახსენოთ, იქნება...

— რა მიზეზი გახლავს, შენი ჭირიმე, ესტატევ? — ჰკითხა მარიამმა მოუთმენლობით.

— მოისმინეთ ჩემო ბატონო, თქვენი ჭირიმე! — უპასუხა ესტატემ: თეიმურაზს მე სრულიად არ ვიცნობდი და კიდევაც არ ვიცნობ. ერთმა მეგობარმა, რომელსაც მოეწონა ალექსანდრას დანიშნა თეიმურაზზე, გუშინ ბინდისას ეს კაცი ძლიერ მიძაგა. შევწუხდი, იქამდის შევწუხდი, თქვენი თავი არ მამიგონდება, რომ კინაღამ გონებიდამ გადავირიე. მაგრამ, მერმე დავფიქრდი და ეჭვ დამებადა მეგობრის სიტყვს სიმართლეზე; მაშინვე თქვენ მომაგონდით და გულში ვთქვ: ძია და ძალუა არ შესცდებოდნენ მეთქი. მეგობარმა შემამცნია ორჭოფობა და წამიყვანა თეიმურაზისას, რომ ჩემის თვალით დავრწმუნებულ ვიყავ ყოველს მაზე, რაც მითხრა. გიახელ, ვნახე, დავრწმუნდი, და — თქვენ უმორჩილესად გთხოვ, საყუვუნოთ ამოიღოთ გულიდამ თეიმურაზის სიძეობა. თუ ჩემ თხოვნას პატივს არა სცემთ, ალექსანდრას გაგიუბედურდებათ და მე ჩემს სიცოცხლეში არ შეგირიგდებით.

—შენ გენაცჳალოს ძალუა, ესტატეჯან, მიანზე რაცა ნახე,—ვედრებით სთხოვა მარიამმა.

ალექსანდრამ და მარიკომ ყურები აცქვიტეს და ყური დაუგდეს ესტატეს განაბულებმა.

—კარებში-ვე,—განაგრძო ესტატემ: კარებშივე შემომესმა საშინელი ყრიამული, ყვირილი, ხხუბი, ცემა, ტირილი,—სული შემივიწროვდა და დავაპირე შინ დაბრუნებულვიყავ. მაგრამ მეგობარმა წამავლო ხელი და ამიყჳანა ზევით. თეიმურაზ შინ არ დაგვიხვდა. შავედით იმის ოთახში. ოჰ ღმერთო, რა სანახაობა ვნახე! რა გჳარიც კი წრიდამ გასულ გარყვნილ კას შეუძლიან მოისაზროს სიბილწე, ყოველი გჳარი სიბილწის მაგალითი ეწყვა სტოლზე, რიცხვით ოცდა თხუთმეტი. სწორეს მოგახსენებთ, რავდენიმე ნივთი გავშინჯე და სხჳსის გაშინჯჳა შემეზიზღა. არა თუ თქჳენთან, საკუთრათ ჩემ თავსაც ჳერ გავბედავ აუწერო ის ნივთები!—მერმე მაჩჳენა ერთი კონა მათრახები, რომლებიც თეიმურაზს გაუცვეთია მოსამსახურების და თჳთქმის ქალების ბეჭებზე. შემდეგ ჩემა მეგობარმა აიღო წიგნი, რომელშიაც, თჳთან ჩემის თუალებით ვნახე,—სწერს თეიმურაზ: ათას ექჳსასი თუმანი ვალი მაქჳსო, და ეს ვალი დაწვრილებით იყო აწერილი. მეგობარი მარწმუნებდა, რომ თეიმურაზი გარყვნილიაო იქამდინ, რომ ალექსანდრა არ ეყჳარებაო, დაუდერაგი და აწჩხლიაო და ღარიბიო,—ყოველივე ამისი კჳალი და ნიშნები ვნახე. თქჳენ იფიქრეთ, ძალოჯან, ამ კაცს უნდა კიდევ მისცეთ ალექსანდრა?

ჯერ ესტატეს არ დაესრულებინა, რომ მსახურმა მოახსენა კონსტანტინეს: «ფოჩტალიონი გახლავსო.»

მარიკო შეხტა სიხარულით, ელვასავით გაქრა ერთ წამს და იმავე წამს წიგნი მიუძღოდა ფოჩტალიონს ბატონებთან ფოჩტალიონმა მისცა კონსტანტინეს წიგნი.

—საიდამ არის ეს წიგნი?—ჰკითხა კონსტანტინემ ფოჩტალიონსა.

—ალექსანდრეპოლიდამ,—უპასუხა ფოჩტალიონმა: ესტაფეტით მივიღეთ და მაშინვე მოგართვით.

ფოჩტალიონი გავიდა მხიარულად, რადგანაც უხვათ დასაჩუქრდა.

—ვისი გახლავს ეგ წიგნი?—ჰკითხა ქმარს მარიამმა.

—მგონია რევაზისა გახლავს.—ესტატე, წაიკითხე: მე თვალი არ მიჭრის.

—შენ კი გენაცვალოს დედა, რევაზ!—შეჰყვირა სიხარულით მარიამმა და გულში ჩაიკრა.

—შენი სახელის ჭირიმე, რევაზ?—იქვე გახარებულმა ალექსანდრამ და ეგრეთვე გულში ჩაიკრა

ესტატემ წაიკითხა:

«საყვარელნო მშობელნო.

«თქვენი წიგნი მივიღე, რომლითაც მაცნობეთ ალექსანდრას გათხოვება. სწორეს მოგახსენებთ: მეწყინა. ვინ შეგაცდინათ? როგორ მოგაგნოთ თეიმურაზმა? როგორ გაბედა ალექსანდრას თხოვნა! მე დაახლოვებით ვიცნობ ამ ტყის ნადირს თეიმურაზსა. ამ კაცთ არამგზავსის ამბებს შემდეგში დაწვრილებით მოგწერთ, ეხლა კი საჩქაროთ გწერთ და, თუ გიყვარვართ, პატივი ეცით ამ ჩემს

თხოვნასა: თუ ამ წიგნმა ნიშნობამდის მოგისწროსთ. რა დროც გინა იყოს, ნიშნობა მოშალეთ, და თუ ვერ მოგისწროსთ, ჯვარი აღარ დასწეროთ, გაამშვებინეთ, თორე ჩემ სიცოცხლეში ვეღარ დამინახავთ.

ალექსანდრას მე აუხსნე საქმე, საუცხოვო ყმაწვილი კაცი, უკეთესი ძნელათ იშოვება; ეს არის ჩემი გულითადი მეგობარი — მიხაკო. მიხაკოს პირდაპირ გამოუცხადე ჩემი აზრი და ყმაწვილი კაცი, არა თუ თანახმა არის, სიხარულით გადირია. უნდა დაახლოვებით იცნათ მიხაკო, რომ ამისი ფასი შეიტყოთ. თუ თქვენი ნება იქნება და ალექსანდრასი (ვკითხეთ ჩემ დასაც), რა დროსაც მიბძანებთ, მე და მიხაკო გიახლებით ჯვარის დასაწერათ...

თქვენი რევაზ.»

—ნახევარ საათს სრული მდუმარება იყო, კონსტანტინე და მარიამ ერთიანეთს უყურებდნენ მუნჯათ, თვითქოს სცხვენოდათ თავიანთ შეცთომისა,

ალექსანდრა და მარიკო ერთმანეთს შესცქეროდნენ და მიხვდნენ ერთმანეთის აზრსა—ორივეს გასაოცრად უხაროდათ. საქმე რომ ასე, როგორც მარიკომ წინასწარ თქვა. მეორე გვერდზე გადაბრუნდა, ალექსანდრას დღე გაუნათლდა, თეიმურაზს კი დაუბნელდა. ალექსანდრა მიხვდა, რომ ამგვარი წიგნი რევაზისა იყო შედგომილება მარიკოს განკარგულებისა და სრულით გულით ესწრაფებოდა ჩაეკონა გულში მარიკო.

ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში რომ იყვნენ ალექსანდრას დედმამა, უცებ ჩვენი ზარზარე შავიდა.

ყველას გაუოცდა იმისი უცები გამოჩენა, მარიკოს

გარდა, რომელიც მოუთმენლათ ყოველ წამს მოელოდა.

—ოჰ, ბარბარე! შეჰყჳრა ყველამ ტაშის გჳრით.

ალექსანდრა აითრთო სიხარულით. თჳთქოს ბარბარეში ხედავდა მხსნელსა და მფარველსა, რომელიც მასთანავე დასჯიდა თეიმურაზსა მოტყუებისათჳს იმისს დედმამისა.

—სადამ? როგორ გაჩნდი, ბარბარეჯან?—ჰკითხა მხიარულათ მარიამმა.

ბარბარე მოესალმა მარიამსა და ალექსანდრასა. უკანასკნელმა მოხჳა ბარბარეს ხელი, ჩაიკრა გულში, ათჯერ გულიანათ და ყოვლის ძალით აკოცა და უთხრა ხმა მაღლა:

—გენაცვალოს, ალექსანდრა, ბარბარეჯან, რომ მხსნელათ გამომიჩნდი!

—ქალო. ბარბარე! შეჰყჳრა ალერსით კონსტანტინემ.

—რას მიბძანებთ თქჳენი ჭირიმე? უპასუხა ბარბარემ, რომელიც თავისს მხრითაც იყო სიხარულით ატა-ბული, რომ ასე ესიამოვნათ იმისი დანახვა.

—ასე მალე! წასვლა რა იყო, მოსვლა რაღაა! განაგრძო კონსტანტინემ.

—მე გიახელი ნიშნობაში, თუმცა არ გახლავარ მოპატიჟებული, და გიახელ თქჳენთან საომრათ. ოში ჩემი სასტიკი იქნება და საქმე იქამდის მივა, რომ მე იძულებული ვიქნები ჩემ სიცოცხლეში ვეღარ დაგენახოთ თუალით. მაგრამ ჯერ მიბძანეთ, თქჳენი ჭირიმე, ალექსანდრა რათა წევს?

—ალექსანდრა, დღეს, უცებ. ძლიერ ავათ გაგვიხდა, უპასუხა მარიამმა: ეხლაკი, ღჳთის მადლით, კარგათ

მყავს. ახლა გვიბძანეთ მიზეზი ამისა, რომელსაც გვი-ქადი.

—დროკი აღარ გახლავს, რადგანც საქმე გათავებულია და ნიშნობაც დღეს გაქუ̂თ, მაგრამ მივიღებ კადნიერე-ბას შეგაწუხოთ უდროოს მოხსენებით. შეცთომისათჳს კაცი უნდა დაისაჯოს, დიახ ერთი კი დაგსჯით, მე-რე მშჳდობით.

—ეგ შესავალია ამისა, წამოიძახა კონსტანტინემ.

—თქუ̂ენმა სიცოცხლემ, მარიამ, ალექსანდრა არ მო-მიკუ̂დება, ათი ქალი რომ მაჴვდეს, ერთი ერთმანერთზე გონჯი და საცოდავ. ვერც ერთს ვერ გამოვიმეტებ მივ-ცე თეიმურაზსა. მიხუ̂დით, ჩემო ბატონო?

—მივხუ̂დით განაგრძე.

—იცნობთ თეიმურაზსა?—ჰკითხა ბარბარემ მარიამსა.

—ვიცნობ.

—მაშ როგორღა გამოიმეტეთ ალექსანდრა და მიე-ცით იმ მხეცსა?

—მე კარგ კაცათ ვიცანი, ბარბარე, თეიმურაზი, და შენ არ დაგეჯერება, ამიტომ რომ იქნება მტრობა გაქუ̂ს იმასთან,—სუმრობით უთხრა მარიამმა.

—მართალია არც მოყუ̂არე გახლავარ თეიმურაზისა,—ჩუ̂ენ ერთმანერთს არა ვკადრულობთ,—მაგრამ, სწორეს მოგა-ხსენებთ, ამ შემთხვევაში საკუთრად მახსოვს ალექსანდრა და მებრალება. ნამდჳლის თქმისათჳს მზათ გახლავართ მივიღო თქუ̂ენი წყრომა.

—მაინც რასა ხედავთ ცუდს თეიმურაზში?

—არც ერთ კარგ ხასიათსა. ის არის გარყუნილი,

სწორი არა ჰყავს; ის არის უგუნური ამპარტავანი: ღჳ-თის რისხჳა ანჩხლი, მეშფოთარი ყოველს ადამიანთან; ის არის უზდელი, უსწავლელი, საზოგადოებაში გამოუ-სვლელი; ის არის ვალით ყელამდინ სავსე. ალექსანდრა ერთ კჳრასაც ვერ გაუძლებს. ბოლოს ინანებთ და სინა-ნულით ველარას უშველით.—უკაცრავათ, ალექსანდრაჯან, რომ ქმარი ცუდათ აგიწერე! ეხლა მშჳდობით. მე მეტი გახლავარ აქა. მგონია ეკალივით მიგაჩნივართ. მშჳდობით. მე მხოლოთ ჩემი მოვალეობა ავასრულე. ღმერთმა გაგაბედნიეროს, ალექსანდრაჯან!

და ბარბარე გადაეხჳა ალექსანდრას.

ბარბარე ასე ოსტატურათ მოიქცა განგებ, რომ, რო-გორც მისწერა მარიკომ, ეჭჳ არავის აელო ალექსანდრა-ზე, და ვითომ თჳთან თავისის სურვილით ჩამოსულა ქალაქში საკუთარათ თეიმურაზის მოსარყვნელად.

—მოითმინე, ბარბარე,—მხიარულათ უთხრა მარიამმა: შენმა გაზდამ, ბარბარე, ასე მიყვარხარ, რომ როგორც უნდა აძაგო თეიმურაზი, მე შენზე ცუდ გულს არ ვი-ქონიებ, მაგრამ მაგისთჳს ჩამოხველი ქალაქში? თუ სხჳა საქმე არაგაქჳს. ტყუილათ გასჯილხართ: განა არ შეგე-ძლო წიგნით გეცნობებინა.

—სხჳა საქმე არა მაქჳსრა; და გიახელ საკუთრათ იმ აზრით, ეგების მომეშალა ნიშნობა.

მარიამს აუდუღდა გული. ბარბარეს უკჳრდა, რომ მარიამმა და კონსტანტინემ სიყუარულით მიიღეს და ბრძოლა არ აუტეხეს.

—გმადლობ. შენი ჭირიმე, ბარბარე, რომ ეგრე გი-

ეყუარვართ! უთხრა მარიამმა ბარბარეს, რომელსაც მოეხვია და დაჰკოცნა: დიდად გმადლობ დიდ სიყუარულისათჳს. ნუ სწუხარ, ჩემო საყუარელო დაო ბარბარე, ნუ სწუხარ! შენი სურვილი ასრულდა. ნიშნობაც მოვშალეთ, ალექსანდრესაც აღარ ვაძლევთ თეიმურაზსა, იმ კაცსა, რომელსაც ყველა ასე აძაგებს.

—მართალი, თქუენი ჭირიმე! შეჰყჳრა ბარბარემ სიხარულით და ტაშისკვრით.

—რაღა მეშველებოდა, რომ ალექსანდრე მიმეცა მხეცისთჳს!!.. ოჰ, ღმერთო, გმადლობ შენ კურთხეულ განგებასა!... შენმა სიცოცხლემ ალექსანდრე, ღმერთმა საკუთრად შენ შეგიბრალა!.. ხომ დავიღუპებოდი, ჩემი შეცოომა ასე რომ არ გასწორებულიყო!.. დიაღ მე შევცდი. რამ შემკრა, რამ მომიდო გონება! ავყევ ერთ დედაკაცის სიტყუასა და—მეგონა ქვეყნის უღირსი ბედნიერება მაადგა მეთქი ალექსანდრესა. გარწმუნებ ბარბარე, გუშინ რომ გეთქო რამე ცუდი თეიმურაზზე, ცუდათ მოგეპყრობოდი,—ასე ვიყავ დარწმუნებული იმისს კარგ კაცობაზე! იფიქრე ქალო, იქამდინ შევიყვარ, რომ არ მინდოდა ალექსანდრეს გაგო. უცებ, მოულოდნელად ვაპირებდი დანიშჳნას. საკჳრველია, რომ არც ჩემ რევაზს დავეკითხე! ალექსანდრაჯან შენი ჭირიმე, შვილო! რატო ჯოჯოხეთში ჩავაგდებდი!.. არა, მე არ მამწონს ჩემი ხასიათი. რასაც ვიტყჳ, ვეღარავინ ვერ გადამათქმევინებს, და კინაღამ ამ ჩემის ხასიათით არ დავღუპე შვილი!.. ეხლა ჴელმეორეთ დამებადა შვილი! მკჳდარი აღმიდგინა ღმერთმა შვილი! ოჰ, რა განსაცდელს გადავრჩით! ჭემმა-

რიტათ გვმართებს ლხინი და სიხარული! მაგრამ ჩემ სი-ცოცხლეში არ გავატიებ ჩემ თავს ამ შეცთომას. გულავ გავფრთხილდები —ბარბარეჯან, შენი ჭირიმე, რომ ჩუენი გულისთჳს დაუტევე ქმარშჳლი და სახლკარი, და სიყუა-რულით აღძრული ჩამოეშველე ჩემ ალექსანდრას! ღმერ-თმა სიყუარულისათჳს სამაგიერო გადაგიხადოს ჩემ სი-ცოცხლეში არ დავივიწყებ ამ სიკეთეს!„

სადილობამ მოატანა ალექსანდრა წამოდგა, მოირთო და მხიარულათ შედიოდა და გადიოდა, თჳთქოს ავათ არ ყოფილიყო. მწუხარება ნაღველი და ჭმუნვა გადეყარა ქალს.

მარიკომ ზალის კარებთან დასო გოჩუნა, ძლიერ და-ათრო, თჳთან გვერდით მოუჯდა, ექილიკებოდა და და-აროშჳნა ყოველივე რაცკი იცოდა ბიჭმა ცუდ კაცობა თეიმურაზისა და რაცა თჳთან ჰქონდა გულში აზრები შესახებ მარიკოს შერთჳსა.

ალექსანდრამ, ეგრეთვე სხუათაც მრავალი იცინეს თეი-მურაზზე და იმისს ღირსს მსახურზე.

ბოლოს მარიამმა გაიყენა ქალი და უთხრა:

—შე ძალიან მამწონს მიხაკო; თუ შენც მოგწონს, შეგრთავ, შჳლო.

ალექსანდრამ დაუკოცნა დედას გული და უპასუხა:

—თქუენი ნება გახლდეს.

. . . . . . . . . . .

ლ. არდაზიანი.

დასასრული.

(ბერანჟეით.)

ჭიაფერს უგავს ლოყები,
ტანთ იცვამს ფარატინებს;
დაივიწყებია დარდები
და შესტრფიალებს ღვინოსა.
თუ რომ ფული აქვს მთლათ მიჰფშვნეტს,
არა აქვს—არას ინაღვლის,
პირ იქით ბევრსაც იცინებს:
«აბა რას ბძანებთ იძახის!...» იძახის
«აბა რას ბძანებთ!..» იძახის
«რა სეირია უყურეთ!
ვაიმე გული დედილო!...
ვაიმე გული დედილო!...
სიცილით მოვკვდი... მიშველეთ!»

დაეთრევა ყოველ—ღამე.
აჭმევს ქონებას ქალებს
და იმავ ხოჭიჭიდამა
შემოსჩვევია ვალებსა.
პოლიცია სულით ეძებს
ციხეში ჩასმას ექადის—
ის კი თავისთვის ხარხარებს:

«აბა რას ბძანებთ! . . .» იძახის,
«აბა რას ბძანებთ! . .» იძახის,
«რა სეირია... უყურეთ! . . .
ვაიმე გული დედილო!..
ვაიმე გული, დედილო!..
სიცილით მოვკვდი... მიშველეთ!»

ამძვრალა მაღლა ჩარდახზედ
ცა და დედამიწას შუა,
დროს ჭყლუპავს გარხალალოზედ
და ძაგძაგებს ზამთარშია.
არცკი გაიბდერტავს ყურსა
როცა წვიმა თავზედ დასდის:
შესცივა—ასტეხს კანკალსა...
«აბა რას ბძანებთ! . . .» იძახის,
«აბა რას ბძანებთ! . . .» იძახის,
«რა სეირია... უყურეთ!
ვაიმე გული, დედილო!..
ვაიმე გული, დედილო!..
სიცილით მოვკვდი . . . მიშველეთ!»

ამისი უმაწვილი ცოლი
ტანთ იცომს ფარჩის კაბებსა,
ყველას იმაზედ აქვს თვალი,
გზას ვერ აუბცევთ იჭვებსა,
მთელს ქალაქს მოედო ჭორი,
წელდგან ამის ძრახვა ისმის; —

ამან გაიქნია ხელი:
«აბა რას ზმანებთ!.. » იძახის,
«აბა რას ზმანებთ!...» იძახის,
«რა სეირია... უყურეთ!...
ვაიმე გული, დედელო!...
ვაიმე გული, დედილო!..
სიცილით მოვკვდი . . . მიშველეთ! »

მოსვლია სიკვდილის ჟამი:
სნეული ქვეშაგებს ჰგდია;
ველარ დუხუჭავს თვალი:
ჩჰფსება მოლანდებია:
ეშმაკთ ხროვა თავს დასჩხავის,
ცოცხლივ მიაქვთ ჯოჯოხეთში;
ის მაინც ამ ცუდს ბურანში
«აბა რას ზმანდბთ!..» იძახის
«აბა რას ზმანებთ!.. იძახის,
«რა სეირია უყურეთ! . .
ვაიმე გული, დედილო! . .
ვაიმე გული, დედილო! . .
სიცილით მოვკვდი . . . მიშველეთ! . .

ანტონ ფურცელაძეს.

## ლექცია X.

### კვება. სხჳა და სხჳა საჭმელ სასმელი.

ცოცხალ კაცის სხეული ყოველთჳს იცვლება. ყოველ საათს, ყოველ მინუტს სხეულიდგან ისეთი ნაწილები იყოფებიან, რომელნიც სრულებით დაძველებულნი და უვარგისნი არიან, იმათ ადგილასვი სხჳანი იჭერენ. კაცის სხეულში მუდამ მუშაობაა: გული სცემს, საჭმელი ნელდება, ფილტვები სუნთქვენ, სისხლი ძარღჳებში მდინარებს, ტჳნი ფიქრობს,—ეს ყველა მუშაობს, იძვრის და რასაკჳრველია გაუწყვეტელის მუშაობისაგან ყველაფერი ძველდება და უნდა კაცმა გაიახლოს, ოთახში რომ დათბეს უნდა ბუხარი გაახურონ. შეშა რო დაიწჳს, ოთახს ათბობს და სიცივეში ყოველდღე ბუხარი უნდა დაანთონ, თორემ ოთახში სითბო არ დარჩება და გაცივდება. ესრეთ სხეულისათჳს უნდა ყოველთჳს საჭმელი, რომ კაცმა იცოცხლოს, და ღონე გაიმაგროს, რომელიც მუშაობაში დაღალულა. უვარგისი დაძველებული ნაწილები, სხეულისაგან გამოდიან ტენთან, შარდთან, ფილტვებთან და იმათ მაგივრათ საჭმელ სასმლისაგან სხჳა ახალი ჩნდება. აი რისთჳს კაცმა საჭმელი ყოველ დღე უნდა ჭამოს, ვინც ცოტასა სჭამს და დიდხან მარხულობს ძალიან ხდება, და თუ კაცი უსაჭმლოთ დარჩა ავათ გახდება და შიმშილით მოკჳდება. შიმშილით კაცი რომ კჳდება საშინლათ იტანჯება.

რამდენიც კაცი ყმაწვილია, რამდენიც მეტი მოძრაობა აქჳს და რამდენიც გული ჩქარა უცემს, სისხლი მალე უმდინარებს, უნდა მომეტებული საჭამოს. ვინც სულ მი-ნა ფის უფრო ცოტასა სჭამს და მოხუცებულისათჳს ერთი ჯერი საკმაოა. კაცმა რომ არა სვას რა ჭამსი დღის მეტი ვერ გაძლებს და თუ მარტო წყლის მეტი არა სჳა და არა სჭამა თვრამეტს დღეს გასძლებს ამაზე გვიან კვდარ გასძლებს, და ამისგამო კაცმა იმას არ უნდა და-უჯეროს, რომელიც ამბობს, რომ უჭმელ უსმელი კაცი რამდენსამე კჳრას ანუ თვეს გასძლებსო. ამისთანა ზღა-პრები ბევრია, მაგრამ ნამდჳლადთკი ვერავინ ვერ არწმუ-ნებს. მარტო ავათმყოფობაში კაცი უჭმელობით დიდ-ხან გასძლებს; ავათ მყოფს პური ისრე ძალათი არ უნდა აჭამონ, როგორც უბრალო ხალხი ჩადის, რომელნიც ფიქრობენ, რომ როდესაც კაცს მადა არა აქვს და საჭმლის ჭამა არ შეუძლიან, უნდა ძალათი აჭამოთო: ავათ მყო-ფი უჭმელობით არ მოკჳდება, როდესაც მოარჩება საჭ-მელს მაშინ შეისრულებს.

მშიერს, ჯერ ორი სამი დღე პურის ჭამა ძალიან უნ-და, მაგრამ მერმე ეს ნდომა დაეკარგება, ტანი გაუხდება კაცი ვერ მოძრაობს, მუცელი გლეჯას და ტკივილს და-უწყებს, პირი, ენა და სხჳა შინაგანი გაუშრება, ძილი დაეკარგება, როტვას, შეიქს თჳალები ჯერ უბრწყინავს, მერმე აემღჳრევა და მოკჳდება. როგორც წინათ მოგახსენეთ, ეს სიკჳდილი ძალიან საზარელია, თუ დამშეულის შვე-ლა გინდოდეთ, უნდა პირველ შემთხვევაში, რაც შეიძ-ლოთ ცოტა აჭამოთ, უმეტესად თხელი საჭმელი. ერთი-

ბაშათ ბევრი საჭმელი, მომეტებული მაგარი დამშეულ კაცს მალე მოკჭლავს, ამიტომ რომ იმის კუჭი გადაჩვეულია საჭმელსა, იმაში არც ლოჩწოა, არც წვენი, და ამიტომ ვერ მოინელებს და როგორც ქვა ისრე დაუმძიმდება და აწუხებს ამისთანა კაცს, ყველამ იცით, რომ თუ ახალ გახსნილების დროს კაცმა მომატებული სჭამა ხორცი ანუ მსუქანი საჭმელი, ისრე მალე გახდება ავათა, რომ ექიმის წამლობა უნდა.

უსმელი კაცი უფრო ცოტას ხანსა სძლებს, მინამ უჭმელი, ე. ი. თუ კაცი მშრალს ჭაერში სცხოვრობს, სიცხეში ან ძალიან თბილს ოთახში. უსმელი კაცი უჭმელზედ მალე მოკვდება, ამიტომ რომ ჩვენ ტანს წყალი საჭმელზე მომეტებული უნდება ამისათვს, რომ ყველა სხეულის ნაწილში წყალი ბევრი უნდა იყვეს: სისხლსა, კუთებსა, შინაგანსა და ძვალსაც წყალი აქვთ, და თუ წყალი მთელ სხეულს მოაკლდა, გაშრება და მოკვდება. შიმშილით სიკვდილზედ, წყურვილით სიკვდილი უფრო ძნელია. კაცს რომ ძალიან სწყუროდეს, როგორათაც ზაფხულში ჩვენ, გვწყურიან ხოლმე, ცივის წყლით კაცი კარგათ წყურვილს ვერ მოიკლავს, ეს მგონია ყველას გამოუცდია. წყურვილს კაცი უფრო თბილის ჩაით მოიკლავს, თბილით წყლით ანუ თუ შეიძლება ყინულის შოვნა პატარ პატარა ნამტვრევები პირში უნდა ჩაიდოს, რომელიც პირში, დადნება, გათბება და მერმე კუჭში ჩავა. ცივი წყალი იმიტომ არ ვარგა, რომ იმისაგან, როგორც იცით, კანში და დუყის გარსში სისხლის ავარდნა მოხდება ხოლმე, სისხლის ავარდნაც პირში და კუჭ-

ში სითბოს უმატებს და ამის გამო წყურვილიც ემატება, წყალი მალმალე და მომეტებულათ უნდება.

რომელი საჭმელი კაცისათჳს უფრო მარგებელია? არიან ისეთნი ცხოველნი, რომელნიც მცენარით იზრდებიან მაგალ. ცხვარი, ცხენი, ძროხა და სხ. არიან ისეთნიც, რომელნიც მარტო ხორცით იზრდებიან მაგალით. მგელი, აფთარი, გუგული და სხ. კაცი მცენარესაც ხმარობს საჭმელათ და ხორცსაც. როგორც იცით, იმას კბილები იმ რიგათ აქჳს დაწყობილი, რომ იმასაცა ღეჭს და იმასაც. მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი რომ საჭმელში უნდა იყოს ის ნაწილები, რომელნიც ტანისათჳს საჭიროანი არიან, — და მართლათაც მცენარეშიაც ისეთი ნოყიერება არის, როგორათაც ხორცში, მაგრამ ძალიან ცოტაა, — ამისათჳს კაცი უხორცოთაც გასძლებს, როგორათაც ხორცი, რძე, . კვერცხი, — მაგრამ მცენარე ხორცზედ უფრო ბევრი უნდა იხმაროს, თქჳნ თჳთან იცით, მარხვაში როგორ ბევრი პური უნდება კაცსა; სამარხო სადილის შემდეგ, კაცს გიევ მალე მოშივა. ავათმყოფს ექიმა უნდა დაუნიშნოს საჭმელი, თორემ ავათმყოფი შესცდება და ვერ გაიგებს რა მავნებელია და რა სასარგებლოა: გარგათ-მყოფმა კაცმა კი რაც უნდა ის უნდა ჭამოს, — აქ წესი არაფერი არ უნდა, გარგათ მყოფ კაცისათჳს ის არის მარგებელი, რაც უყჳარს: აქ თითონ ბუნება აჩვენებს რომელი ამოირჩიოს, კაცმა ბუნებას უნდა დაუჯეროს და არ მოიგონოს ვითომ ხორცზედ ფქვილის საჭმელი გარგია და ფქვილიანზედ რძიანიო, როგორც ბებერი დედაკაცები ჩადიან, სიმრთელიან ბავ-

შჳებს და ხნიან კაცებს ძალას ატანენ, რომ რაც თჳთონ იამებათ ის აჭამონ: ყველას თავის სტომაქი და ბუნება აქჳს. ზოგი კაცი უხორცოთ ვერ გასძლებს და ზოგს კი თვალით დასანახავათ ეჯავრება, ისინი მხოლოდ ფქვილის საჭმელს ხმარობენ და კარგათაც ცხოვრობენ. ზოგს მაგრათ მოხარშული კვერცხი სიყაბზეს მოგვრის და გაათვალარათებს, აქ წინათ კაცი ვერას გაიგებს, მხოლოდ რაც ბუნება მოითხოვს იმას დაინახავს: ბუნებას რო გადასცილდეს და თავის ქეიფზედ იაროს არც ის უნდა.

არც ის შეიძლება, რომ გაიგონ რამდენს წონა საჭმელს კაცი დღეში ხმარობს. საჭმლის რაოდენობა ბევრ მიზეზებზედ არის დამოკიდებული: ტანის სიდიდეზედ, მოსუ ობაზედ, სხვა და სხვა გვარ ცხოვრებაზედ, ჰავერზედ, რომელშიაც კაცი სცხოვრებს. ჰასაკი მოხუცზედ მომეტებულსა სჭამს, ქართველი, რომელიც თბილ ქვეყანაში ცხოვრობს, ერთი პატარა პურით და კიტრით გაძღება, რუსის იზვოშჩიკსკი, ზამთარში, რამდენიმე ჯამში შჩი და ორი გირვანქა პური ერთ ჯერათ არ ეყოფა. ვისაც რამდენი სურს, იმდენი უნდა ჭამოს, რუსული ანდაზაა «გულს თავისი ზომა აქჳსო,» გონიერი კაცი იმდენს არ შესჭამს, რომ ავათ გახდეს,—და არც გაუჭირებლივ დაიმშევს თავსა და იმარხულებს: ერთიცა და მეორეც სიმრთელისათჳს მავნებელია.

---

პირველ დასაწყისი კაცის საჭმელი რძეა. რძე მარტო სითხეე არ არის; იმაში არის სხვა და სხვა ნივთიერება,

რომელნიც ისრე არეულნი და შემკულნი არიან, რომ ერ-თიბაშათ კაცი ვერ შეატყობს. ყოველ რძეში არის წყალი, სიმსუქნე, ხაჭო, შაქარი და რამდენიმე სიმლაშე. რძის შედგენილობა ძალიანა ჰგავს სისხლის შედგენილობასა; მხოლოდ რძეში ის ჯირკვლები არ არიან, რომელიც მუდამ სისხლშია, ამას მერმე გაიგებთ. რძე ძალიან მო-სანელებელია და მთელი რძის საჭმელი სხეულის საჭირ-ოებათ იქცევა: უვარგისი ნაწილი რძიდგან ცოტა გამოდის.

დედაკაცის რძე პირველ დღეებში ყმაწვილს რომ მოა-ბს, ძალიან თხელია, იმაში სიმსუქნე ცოტაა, წყალი და მლაშე კი ბევრი,—ეს რძე აფაღარათებს, რომელიც მართლაცა ისრე უნდა, თუმცა დედის მუცელში ბავშვი საჭმელს არა სჭამს, მაგრამ წელებში გროვდება სისხლი-საგან უწმინდურობა; ამის გამო დაბადების შემდეგ, მა-შინვე ყმაწვილს უნდა წელები გაუწმინდოს, რომ როგორ-ც უნდა ისრე გაიზარდოს,—და დედის რძე მართლათა-აც სწმენდს, შემდგომ რძე გასქელდება და აღარ აფაღა-რათებს და რიგზედა ჰკვებს ბავშვსა. ბავშვისთვის ყვე-ლაზედ კარგი თავის დედის რძეა, ვისაც დედას შვილი უყვარს და იმის სიკეთე უნდა, უნდა ბავშვს თავის ძუ-ძუთი გაზარდოს.

შეიძლება, რომ დედამ ვერ შეიძლოს წოვება. და არც აწოოს. ეს მიზეზები ამ გვარათ მოხდება: ბევრ დედა-კაცს ძუძუები დაუმჭაჭდება და დაუსკდება, ეს ნახეთქები არა რჩებიან, თუმცა ბევრსა წვალობენ და წამლობენ, საწყალი დედა ტკივილისაგან იტანჯება, ბავშვც კარგათ ვერა სწოვს და ვერა ძღება, ამისაგამო ხდე-

ბა.(*) მაშინ სჯობს, რომ დედამ აღარ აწოვოს ზოგი ერთ, დედაკაცს რომელიც დიდი ხნის და მძიმე შესაყარი სნეულება სჭირს მაგალით. სიჭლექე. დიდიხნის ციება, არა წმინდა ავათმყოფობა და სხჳა. არ უნდა აწოვოს, თორემ რძე არამთუ ყმაწჳლს გაზრდის, და პირიქით გადაედება იმის ავათ მყოფობა.

ამ მიზეზების გარდა. ყმაწჳლისათჳს მავნებელია სრულიად ჯანიანი დედის რძე ე. ი. თუ დედა ძალიან ჯავრობს რაზედმე, შფოთობს ანუ სწუხს იმდროს როდესაც ბავშჳს ძუძუს აწოვებს, — ამ მდგომარეობაში დედა უნდა უფრთხილდეს, რომ შჳლს არ აწოვოს, ჯერ უნდა დამშჳდდეს, დაისვენოს შფოთიანობისაგან და მერმე აწოვოს. თუ შჳლის წოვების დროს დედა დაორსულდა, უნდა წოვებას თავი დაანებოს, თორემ ბავშჳს კუჭი წახდება, დაორსულებული დედის რძე იმისათჳს აღარ ვარგა.

თუ დედას არ შეუძლიან შჳლის წოვება, ძიძას იყვანენ ანუ ყმაწჳლს ასმევენ რქით პირუტყვის რძესა.

ძიძა, რომ ამოარჩიოთ; მრთელი და მშჳობიანი დედაკაცი უნდა იყოს, ამას გარდა იმის რძე ყმაწჳლის დედის რძეს უნდა ჰგვანდეს, ე. ი. ისეთი ძიძა უნდა ამოარჩიოთ, რომელიც თითქმის იმ დროს დაწოლილა, როდესაც ბა-

(*) ძუძუების დახეთქილობაზედ ხმარობენ არაყსა ანუ რომსა, რომლითაც ყოველ-დღე ძუძუებს იბანენ, აგრეთვე ნუშის ანუ კარგს ზეითუნის ზეთს წმინდა სამთელში ჩაუშვებენ და მჩვრით ძუძუზედ დაადებენ. დაბანის ანუ ჩაშვების დროს ყმაწჳლს ძუძუ არ უნდა აწოვოს.

ვშვის დედა, თორემ იმის რძე ყმაწვილს სულ არ გამო-ადგება. ძიძა მშვიდობიანი უნდა იყოს და კაი საჭმელი უნდა იხმაროს. რასაც ისინი სჭამენ და სვენ ყმაწვილი რძეში სწოვს და რაც საჭმელი დედისათვის მავნებელია ყმაწვილისათვისაც ისრეა. ექიმები, რომელიც სწამლობენ ბავშვებსა, წამალს ძიძას ასმევენ,—და ბავშვი რომ ძუძუსა სწოვს, მერე რჩება: ეს ნიშნამს, რომ წამალი რძეში გადის და იქიდგან ბავშვი სწოვს.

თუ მოხდა, რომ ბავშვს ძროხის რძეს ასმევენ, უნდა პირველ თვეებში ნახევარი თბილი წყალი გაურიონ, მერე მესამედი წყალი და ორი წილი რძე და მეხუთე თვეს შეიძლება მარტო ძროხის რძე ასვან.

ძროხის რძე ამიტომ უნდა შეაზავოს წყლით, რომ ძალიან სქელია, და დედაკაცის რძეზედ მაგარი და მსუქანია.

ყველა რძეზედ ვირის რძე უფრო ჰგავს დედაკაცის რძესა: ის ყველაზე ყმაწვილისათვის სიმრთელიანია; ამის; შემდეგ თხისა და მერმე ცხვრისა და ძროხისა. აქლემის რძე მომეტებულად სქელია და ბავშვს სრულებით არ დაელევა. ხნიანი კაცები ხმარობენ რძესა ხან საჭმელათ ხან წამლათ. საჭმელათ, რომ გინდოდეთ, უნდა ეცადოთ რომ არ დამჟავდეს, ეს რომ რძეს არ დაემართოს უნდა აადუღონ, ან რძის ჭურჭელში ერთი ჩაის კოვზი ნახშირ მჟაველი სოდის პარამოვა (Углекислая сода), ჩაყარონ რომელიც ყოველთვინ იაფია და ურეცეპტოთაც ჰყიდიან.

ამ სნეულებებში წამლათ ხმარობენ:

1) სიჭლექეში. ჭლექიანებს ურჩევენ, რომ ყოველ

დილას დალიონ რამდენიმე სტაქანი თბილი უმი რძე, მ. ი. იმავ საათში მოწველილი; ძროხისა, თხისა ანუ ვირისა. უკეთესი თხისა და ძროხის რძეა. მხოლოთ იმათ უნდა იხმარონ, რომელთაც არ აფაღარათებთ, კუჭის დაშლა რომ შეიტყონ, მაშინვე უეჭველად რძე აღარ უნდა დალიონ. კალმიკები და სხვა ქვეყნის ხალხი, ჭაკის ცხენის რძისაგან აკეთებენ კუმისსა; ეს სასმელი გულსუსტიანებისათჳს ძალიან მარგებელია. კარგს კუმისს ორენბურგის გუბერნიაში ამზადებენ, სადაც ჭაკი ცხენები სძოვენ დიდ ბალახიანს მინდვრებში. სხვა კუმისსები ისრე კარგათ არა რგებენ, როგორც ორენბურგის გუბერნიისა.

**2**) წყალმანკობაში. აქ უნდა ბევრი რძე დალიოს კაცმა, ასე რომ **5—6** ბოთლამდინ და სხვა ამის მეტი არა სჭამოსრა; მხოლოდ ამით ეს სნეულება გაივლის, რომელზედაც მერმე მე კიდევ მოგელაპარაკებით.

**4**) ბუასილში, ხშირის და დიდიხნის სიყაბზეს შველის ერთი ნაწილი რძე, შრატი. შრატს ამ რიგათ ამზადებენ: რძის ჭურჭელში ჰყრიან ერთ ჩაის კოვზს ღჳნის მარილს (Кремертартара) და ცხელ ბუხარში ზდებენ, რძე დამჟავდება ხაჭოს გაასცალკავებენ, შეყველებულ რძეს სხვა ჭურჭელში გადაასხმენ; ანუ შეიძლება კიდევ რძე ყველათ შეადედონ: უნდა რძეში ჩააგდონ ხბოს კუჭის ნაჭერი, რომელსაც ამისთჳს კარგი ყასბები განგებ სწმენდენ და ჰყიდიან, და მერმე გახურებულ ბუხარში უნდა ჩადგან. მაგრამ ყველა მჟავეთი შეიძლება შრატი მოამზადონ, მაგალით ძმრით, ლიმონით, მოცხარის წვე-

ნით და სხ. ხბოს კუჭი იმიტომ ამჟავებს, რომ იმაში კუჭის წვენია, რომელიც წარსულის ლექციიდგან იცით ის წვენი ყოველ ცხოველის კუჭშია და მომჟავო თჳსება აქჳს. ბუასილის დროს ან სიყაბზეში შრატი დილით უზმო ერთის სტაქნიდგან სამს ოთხს სტაქნამდე უნდა დალიოს.

---

ყველამ იცის, რომ ხორცი ძალიან მოსანელებელია და კაცისათჳსაც ნოყიერია. რამდენიც ხორცში მეტი სისხლია, იმდენი უფრო ნოყიერი და სამჯობინარო. ამისათჳს დიდრონი საქონელი, როგორათაც ხარი, ცხვარი, სჯობს ისრე მოკლან, მინამ რომ დაკლან. როდესაც საქონელსა ხოცვენ, ბევრ სისხლს აქცევენ, რომელიც ტყუილად იკარგება, ამისგამო ხორცი გაშრება და როგორც უნდა ისრე მოსანელებელი აღარ იქნება. ყმაწჳლი საქონლის ხორცი კუჭში უფრო ჩქარა ნელდება, მინამ ბებრისა, ამისათჳს ავათ მყოფს უნდა ის ხორცი აჭამონ. ხორცისაგან სხჳა და სხჳა წჳნსა და შემწვარს აკეთებენ შემწვარი, რომ კარგათ გამოვიდეს, უნდა დიდ ნაკვერჩხალზედ და ჩქარა შეიწვას; მაშინ ხორცი თავის წვენითვე შეიწვის და არაფერი ტყუილათ არ დაიკარგება. ამის მსგავსად ჩჳრნ, კავკასიაში სწვენ წვადსა, რომელიც თუ კარგათ შეიწვა ძალიან მარგებელი და მოსანელებელი არის.

ხორცის ე ი, კუთების გარდა; საჭმელათ ვხმარობთ მხეცის სხჳა და სხჳა შიგნეულსა, ყველაზე უკეთესი არის

ხაში, გუჭში დაჭრილი პატარპატარა ნაჭრებათ და მოხარშული; ეს ნოყიერი და ძალიან მსუბუქი საჭმელია,— ამის ჭამა ვახშმათ კარგია: ტვინი ძალიან მძიმე საჭმელია და სცდებიან, რომელნიც ამბობენ, რომ ტვინი მარგებელია მოსარჩენლებისათჳს. ის ჯანიანი კაცისათჳსაც ძალიან მძიმე და მოუნელებელია. ღჳძლი და თირკმლებიც მძიმე და უვარგისი საჭმელია, თირკმლებიც უნოყიერონი არიან, თუმცა კაცი ადჳლათ ინელებს. ღორის ხორცი მაწყინარია, იმისათჳს კაცს მაგარი სტომაქი უნდა ჰქონდეს, ერთობ ყველა მსუქანი საჭმელი მაწყინარია მომეტებულათ თუ ქონი შემწჳარია, მაგალით: ერბოში შემწჳარი თევზი, შემწვარი ბატი, ძალიან ძნელი მოსანელებელნი არიან. ძეხვებს ღორის ხორცისაგან აკეთებენ, მაშა სადამე ისიც მძიმე საჭმელია; ძველი ნადები ძეხვები კაცისათჳს საწამლავია, გირჩევთ, რომ წამხდარ ძეხვებს ერიდოთ, იმაში ხან ისეთი საწამლავი არის ხოლმე, რომელიც კაცსა ჰკლავს. ამისთანა საწამლავი დიდხნის, წამხდარ ყველშიაც არის, ამასაც უნდა ერიდნეთ: (*)

კვიცისა და ჩოჩორის ხორციც გემრიელი, წმინდა და ნოყიერია, როგორათაც ძროხისა, მაგრამ ჩჳენ იმიტომ არა ვხმარობთ, რომ ცხენები და ვირები ჩვენთჳნ საჭირონი არიან, როგორც მუშაობაში, ისრე საჯდომათ;

---

(*) ჩჳენი ოსური ყველი კი ძალიან კარგია, ამიტომ რომ დაჩვრეთილია იმაში ჰაერი შედის და ყველსა სწმენდს. ვ. მ.

მაგრამ როდესაც ჩჳენში რკინის გზები გაიმართება და ცხენით ისრე საჭირო აღარ იქნება სიარული, მაშინ იქნება იმათი ხორცი ვიხმაროთ, და გირჩევთ, როდესაც შემთხვევა მოგეცათ, იმაზე უარი არა ჰქმნოთ.

ხანდისხან წვრილად დაჭრილს უმ ხორცსა სჭამენ ეს ძალიან მაწყინარია. უმის ხორცისაგან კაცს წელებში ჭია გაუჩნდება.

მცენარისაგან, პურის გარდა ხმარობენ, კარტოფილსა კომბოსტოსა, მუხუნდოსა და სხჳა და სხჳა წჳანილსა და ხილსა.

კარტოფილი ისრე ნოყიერი არ არის, როგორც უნდა, რომ კაცი იმითი გაძღეს უნდა ბევრი სჭამოს, ყველაზე კარგი დაფხვნილია, მაგარი მაწყინარია; კარტოფილი ყლორტით საწამლავია, კარტოფილის ყლორტებში არის საშიშო ჯანისათჳს ნივთიერება. კომბოსტო და მუხუნდო მარგებელია, მაგრამ ყოველთჳს კაცმა კიარ უნდა იხმაროს, იმისგან კაცი იბერება, ე. ი. ქარებს იჩენს რომლისგამო კაცს მუცელი სტკივა. ბოლოკი სამძიმოა, სტაფილოკი ძალიან მარგებელი და მსუბუქი საჭმელია. ხახვი ნიორი, დანძილი კარგია იმათთჳს, ვინც ბევრსა მუშაობს, იღალება, აგრეთვე სურავანდიანებისათჳს, ულონოებისათჳს და ზანტიანებისათჳს. სალათებს დანძილი უყჳართ და მართლადაც ხახვზე და ნიორზე უფრო მსუბუქია.

ხილისაგან ყველაზე მსუბუქი ყურძენი და საზამთრო, და მძიმე ნესვი და გოგრა. სოკო ყოველთჳს მძიმე საჭმელია, საკუთრივ როდესაც ერბოში სწვენ.

საჭმლის სანელებლათ ხმარობენ, მდოგვსა, ხრენსა, პილპილსა. ესენი მაწყინარნი არ არიან, მაგრამ ყმაწჳლობის დროს კაცი არ უნდა დაეჩვიოს, პატარა ბავშვებს კი სულ არ ეჭმებათ, მჟრით საჭმელი კარგია, ამიტომ რომ სიმჟავეს კუჭში უმატებს, რომელიც საჭმლის ჩქარა მოსანელებლათ საჭიროა: კუჭის წვენიც ხომ სიმჟავეა; მაგრამ ბევრის ხმარება კი არ ვარგა, როგორც ხანდიხან პატარა ქალები განგებ ჩადიან, რომ ფერი მოუვიდეთ: თუ ძმარი კაცმა ბევრი იხმარა კუჭს აუშლის და სიჭლექეს გაუჩენს,

მერმე გაიგებთ, რომ ჩვენ სისხლში სხჳა ნივთეულებთან საჭმლის მარილიც ბევრია. მარილი ყველა სხეულის ნაწილში გადის და ძალიან საჭიროც არის იმისთჳს, რომ საჭმლის გათხელებას შველის, და სისხლსაც არ უშვებს, ძარღვებში გასქელდეს. ამის ახსნას დიდი ხანი მოუნდება მაგრამ თქჳნ თითონ იცით, რომ უმარილოთ არც ერთი თავი საჭმელი გემრიელი არ არის, და თუ კაცმა დიდხანს უმარილო საჭმელი სჭამა, მალე გახდება ავათ ბუასილით და სხჳა მძიმე სნეულობით. მარილი თუმცა არა სჩანს, მაგრამ ყველაში რასაცა ვჭამთ, არის, როგორც პირუტყვში ისრე მცენარეში,—მაგრამ იმათში საკმაო არ არის და ჩვენც უნდა მიუმატოთ, ე. ი. ყველა საჭმელს მარილი უყოთ. მარილი, როგორც იცით, არის ქვა, მინერალი, რომელიც იპოვება მარილიან ტბებში, წყაროებში, და აგრეთვე ზღვის წყალში, რომელშიაც, თუ ბევრი მარილია, ეს წყალი დიდხან რომ ადუღოს კაცმა და დანამოს, ჭურჭლის ძირში

მსხვილი პარაშოკით მარილი დარჩება. კარგ მარილს უნდა წმინდა და თეთრი პარაშოკის ფერი ჰქონდეს, ასე რომ თუ თბილის წყლით სამსე სტაქანში გაცმა ჩაყარა და აურია, მაშინვე უნდა გადნეს და წყალი არ უნდა აამღვრიოს. ცუდ ფერი მარილი, (*) რომელიც ამღვრევს წყალსა და ქვიშას ძირში დებს, მაწყინარია, ხან საწამლავი ნივთიერება ურევია, რომელიც მიწაშივე აერევა. ამგვარი მარილი ნამით უნდა გაწმინდოს, რომელიც ყვე-ლას შეუძლიან თავის სახლში გააკეთოს, ამისათჳს უნდა მარილი წყალში გაადნოს და აადუღოს. ადუღების დროს, მსუმბუქი ტალახი პირზედ მოექცევა, და კოვზით მოი-ხდება, მძიმე ქვიშას კი ძირში დალექავს; თითონ მარი-ლი კი დამდნარი წყალში რჩება, რომელსაც ზეით ტა-ლახს მოხდიან, მაშინ წყალს სხვა ჭურჭელში ფთხილათ გადაასხმენ, რომ ძირის ტალახმა არ აამღვრიოს, და მაშინ გარდასხმულ წყალს კიდევ იქნამდინ ადუღებენ, სა-ნამ სულ ერთიან ნამათ არ ამოვა და ბოლოს წმინდა მარილი ჭურჭელში დარჩება.

ყველაზე მარგებელი და კაი სასმელი კაცისათჳს, რა-საკჳრველია წყალია. ამ ლექციის თავში მოგახსენეთ რომ წყალი არამთუ მარგებელია, და პირიქით ჩვენის სხეუ-ლისათჳს ფრიად საჭიროა; უწყლოთ სამდღესაც ვერ გა-ვსძლებთ. ყველა წამლებზედ წყაროსი და მდინარისა უფ-

(*) ტფილისში ჭყიდიან მოშეტებულ ნაწილს ცუდ მარილს, რომელიც ყოველთჳს უნდა გაიწმინდოს.

რო კარგია, ამიტომ რომ ყოველთჳს მოძრაობს, და ამ-ისათჳს ადვილათ არა ხდება სხუა და სხუა უვარგისი ნივთის შერევისაგან, რომელიც მიწიდგან ანუ ჭაერიდგან ხუდება; ერთ ადგილას დამდგარი წყალი კი, ტბისა, ჭი-სა ყოველთჳს ხდება დამპალ ხის გადანარჩენისაგან, ცხო-ველისაგან და კიდევ სხუა და სხუა მინერალისაგან — გაი-წყალი, თუმცა გემოთი მტკნარია, მაგრამ იმაში ყოვე-ლთჳს მარილია, რომელიც იმის თჳსებას სულ არ უშ-ლის. დაწმენდილი და ნამით გაკეთებული წყალი კი, ე. ი. რომელშიაც მარილი სრულიად არ არის, — სასმე-ლათ არ ვარგა, როგორც მღურიე და უწმინდური წყალი, წმინდა წყალი კაცისათჳს არის ყველაზე უკეთესი სასმე-ლი, და მე თქუენ გირჩევთ, რომ ავათ მყოფს კაცს როგორაც ავათ მყოფობა უნდა სჭირდეს, — წყალი უნ-და გაზედვით დაალევინოთ, ოღონდ კი სასმელი წყალი მალიან ცივი არ იყოს. ზოგნი ჰფიქრობენ, რომ, როგ-ორც კაცი ავათ არ გახდება და მოსწყურდება, მაშინვე ცხელი წყალი ანუ სხუა ქერის ან პურის ნახარში უნდა ასვანო: ეს სრულებით მართალი არ არის: ყველა ნახარ-ში, როგორაც ცხელი წყალი, უბრალო ახალ წყალზე მარგებელი არ არის.

მდინარე წყალიც, მაგალითათ ჩუენს ტფილისში, ხში-რათ მღვრიეა ხოლმე და ამისგამო მაწყინარია: ამგვარი წყალი უნდა გასწმინდოთ, რომ მღვრიე წყალმა ცოტ-ცო-ტაობით უჩინრათ ჩუენა სიმრთელე არ მოშალოს, არ-ის ბევრნაირი წყლის დასაწმენდი ღონისძიება; მაგრამ ყველაზე უკეთესი ნახშირით დაწმენდაა ე. ი. დაასხას ზედ

ნელნელა წყალი, რომლისგამო ყველა უვარგისი შერეულობა იმაზედ დარჩება და სუფთა წყალი კი შუაში გავა წყალს დანაყილის შაბითაც სწმენდენ, რომელსაც ჭურიან წყლით სამსე ჭურჭელში: ეს ღონის ძიება მართალიც არის და უწყინარიც. (*)

სამინერალო წყლებს (**) იმათ ეძახიან, რომელშიაც არის შერეულობა სხვა და სხვა მინერალებისა. ამგვარი წყალი მიწაში, რომ არის, მინამ დედამიწიდგან არ გამოვა, გზაზედ ისეთ მიწასა და ქვებს ხვდება, რომელთაც ადნობს და დედა მიწიდგან გარეთ გამოაქჳს; ამ რიგათ წყალი ჩუჱნი ტფილისის აუზებისა, არის გოგირდის შეზავებულება, რომელსაცა ვგრძნობთ არამთუ გემოთი, არამედ სუნითაც. არის წყალი გალა—ქვიანი და მარილის პარამოვიანი, მაგალით ბორჯომში და ესენტუკში, ჟელეზნოვოდსკში და სხ. ამისთანა წყლების დანიშვნა ავათმყოფისათჳს ექიმის საქმეა.

წყლის გარდა ჩუჱნა ვსვამთ ყავას, ჩაის, ღჳნოს და ოდკას.

ყავა და ჩაი მარტო სასმელნიკი არ არიან, ამათ უფრო საჭმელი უნდა დაუძახოს კაცმა, იმიტომ რომ იმით

(*) თიხის ჭურჭელში წყალი არ უნდა შეინახოს, უხილავათ მიწა ერევა წყალსა და კაცსა სწყენს, ამას ჩუჱნ ვერ ვიგებთ, ყველაზე უკეთესი წყლისთჳს მინის ჭურჭელია. (**) ჩუჱნი სალდათები ყველა სამინერალო წყალს, ცხელ წყალს ეძახიან, თუმცა მდინარეზედაც ცივი, რომ იყოს.

ხანდისხან კაცი შიმშილს იგდავს, როგორც იმათ მეზავე-ბულობაში არის ნოყიერება, ერთ გვარს ჩაის, რომელიც არის კალმიკის, წამლათ ხმარობენ, რომელიც გულსუს-ტიანებისათჳს ძალიან კარგია. კალმიკის ჩაი ფილაქნით ისყიდება ტფილისში სომხების დუქნებში, ამ ფილაქნის ნაჭერს ქოთანში სდებენ, წყალს ასხმენ, და როცა წვე-ნი ისრე იხარშება, მერმე მარილს უშერებიან, ერბოსა და კარგ ნაღებსა. ეს წჳნი პურით უნდა სჭამონ; ჯერ ცოტა საზიზღარია, მაგრამ ბოლოს კაცი ძალიან ეჩვევა და მე თითონ მინახამს ისეთი კაცნი, რომელნიც გულ-სუსტიანები და სნეულნი ყოფილან, მაგრამ ამ სასმელს ისრე მოურჩენია და დაუსუქებია, რომ კაცი ველარ იც-ნობდა.

აქაური ჩჳნი ღჳნო, თუ კარგის ყურძნისაგან არის შემდგარი და შეღებილი არ არის, უწყინარია: მაგრამ აქაური მავიტნები წითელ ღჳნოს საწამლავ ლურჯს ქჳას ურევენ ანუ სპილენძიან არჯასპს, რომ ღჳნო უფრო სქე-ლი და მავარი დადგეს. ყოველთჳს. იაფი ფასის წითე-ლი ღჳნო, თუ ძალიან მავარია და თითქო პირსა გრავს, ძალიან საეჭვოა, თეთრი ღჳნოკი საფრთხილებელი არ არის.

არაყი ეს სასმელი მუშისათჳს მარგებელია და აგრე-თვე სალდათებისათჳს, რომელნიც დიდიხნის ომებში არიან. მაგრამ იმათთჳს, რომელნიც ცოტას მოძრაობენ წიგნზე სხედან, სწერენ კითხულობენ, არაყი მავნებელია: ის უმატებს სისხლის ავარდნასა თავში, ფილტვებში, ამისთანა ხალხს უიმისოთაც ხშირი აწიებს. აქეთ. ავათმ-

ყოფს ხომ სულ არ დაელევა. დაჭრილ სალდათებს გაუგონიათ, რომ ვითომ არაყი ყოველთჳნ იმათი მარგებელია, და უიმისოთ ცხოვრება არ შეუძლიანთ. ამ აზრს თავის დღეში იმათ თავიდგან კაცი ვერ გამოუღებს; ამიტომ, რომ, როცა კარგა დალევენ ტკივილს ვერა გრძნობენ; თქჳენ თჳთონ მიხჳდებით; ამისთჳს ისინი ვერა გრძნობენ, რომ სიმთვრალეში სხჳაც არაფერი ესმით და არცა გრძნობენ, ტკივილიკი აქვთ და სნეულება უფრო და უფრო უძნელდებათ, ამას გარდა სისხლი არაყისგან ხდება, მთელი სხეული იმლება და ჩჳენი დაჭრილი სალდათები, ატსტავკაში რომ გამოვლენ, მომეტებული ნაწილი სასნეულოში წვებიან და იხოცებიან წყალმანკიერებით, თითონვე ლოთობით ძალათ თავებს იხოცვენ, რომელიც ხან წყალმანკით გათავდებიან და ხან საოფლით.

ლოთობა, მეტის მეტი მუდამ არაყის სმა, სნეულობა არის, რომელსაც წამლობა უნდა. დედაკაცები და სოფლის ექიმები ჰკისრულობენ ლოთობის მორჩენასა, მაგრამ ძჳრათა შველიან. იმათი ღონის ძიება ხშირათ მავნებელია ანუ, მაინც, უსარგებლოა. ხანდისხან შეიძლება ლოთი სიმთვრალეს გადაეჩჳოს, თუ რომ დიდხანს ლოთს ყოველ საჭმელში არაყი გაურიონ, რომელსაც ისა სჭამს ამისგამო ბოლოს არაყი მობეზრდება. სამკურნალო სწავლაში არის ბევრი ღონის ძიება სიმთვრალეზედ. იმათი განწესება ექიმის საქმეა; მაგრამ მომეტებულ ნაწილს ისინიც ვერა შველიან და ლოთები თითქმის კვდამდინ ყოველთჳს იხოცებიან, თითონაც ჭბეზრდებიან და სხვა-

საც აბეზრებენ.

შემთხვევით კაცი, რომ დაითვრეს და იმისი გამოღჳძება მოინდომონ, უნდა ცივი წყალი დაასხან, ნიშადურიანი სპირტი ასუნებინონ, უნდა პირის სასაქმებელი ანუ სქელი შავი ყავა დაალევინონ. სასარგებლოა, რომ მთვრალს მსუბუქად კუპრიანი პარკი წაუსვან, რომლისგამო ძალიან სველდება და ხან ჩქარა გამოფხიზლდება. თუ კაცი ძალიან მთვრალია, უგრძნობელად გდია, არ მოძრაობს, წითელი ანუ ძალიანი ყჳთელი პირის ფერი აქჳს, უნდა უეჭველად საექიმო წამლობა, ამიტომ რომ, სიკჳდილი მოახლოვებულა.

## ლექცია XI.

სისხლი. სისხლის ბრუნვა. გული. სისხლის ძარღვები. სისხლის გამოშვება.

ამ ორის ლექციის წინათ, თქჳენ გაიგეთ, რომ წვრილ წელებში საჭმელი ორ ნაწილად განიყოფება: უვარგისი ნაწილი, რომელიც ტანისათჳს საჭირო არ არის, სქელი მსხჳლ წელებში გადადის და შემდეგ გამოიყრება; მეორე ნაწილი თხელი და თეთრი როგორც რძე უნდა ძარღვებში შევიდეს, სისხლათ იქცეს და მთელ სხეულში ირბინოს, რომ ტანი ჰკვებოს. ამაზედ წინა ლექციაში დავლექი და ეხლა მოგახსენებთ, ეს თეთრი სითხეე ძარღვებს როგორ ხვდება, სისხლათ როგორ იქცევა და ძარღვებში როგორ დარბის.

აიღეთ ახალი ნაჭერი წვრილის, ე. ი. გუჭის ახლო-წელისა, რომლის ცხოველისაც გინდათ ვთქჳათ ღორი-სა, უკუღმა გადმოაბრუნეთ, როგორც ხელთათმანის თი-თი, და თბილის წყლით გარეცხეთ წყლის შინა პირი. მერე ნახამთ, რომ ამ პირს დუჟის გარსი აკრავს, რო-მელიც კიდეც იცით ჩემის უწინდელი ლექციებითგან, რომ ეს გარსი ადგილ ადგილ შეერთებულია და ყოველ-თჳს დუჟისაგან სველია, რომელიც სწჳეთს ცოცხალ კა-ცში. სხჳას ვერაფერსა ნახავთ და ვერც შეიგნებთ:

გარსი პტყელათა და სწორეთა სჩანს, და იმის გაწყო-ბილობის მეტი სხვა არა ჩანს რა მაგრამ თქჳენ იცით, რომ ამრიგათ არ არის მოიგონეთ, რომ გარსზე სწვეთს ლორწო და ეს ლორწო პატარა ბუშტებიდგან ანუ ჯი-რკვლებიდამ გამოდის; რომელიც ისრე არიან დუჟის გა-რსში, რომ თვალით არა სჩანან ამ ჯირკვლებს მაშინ დაინახავთ, როდესაც გადმობრუნებულ წელს დიდათ მა-ჩვენებელ მინით გაშინჯამთ, რომელიც აჩვენებს, რომ მთელი დუჟის გარსი ამ ჯირკვლებით სამსეა. მაგრამ ჯირკვლებს გარდა, დიდათ მაჩვენებელ მინაში ვნახამთ სხვა—მასალაებსა, რომლებზედაც ეხლავე მოგელაპარაკე-ბით,—ჩჳენ იმაში ვნახამთ, რომ დუჟის გარსი ისეთი პტყელი და სწორე არ არის, როგორც უბრალო თვალ-ითა სჩანს; იმაში ჯირკვლებს გარდა არის რამდენიმე ხაოები, როგორც გამოდის ხაო, ეს ხაოები ძალიან წვ-რილები წელ შუა არიან გამომშვერილნი იმ ალაგს, სადაც საჭმელი წელებში გადის,—და თუ მინა ძალიან აჩვენებს, ისინი გვანან კელთათმანის თითებსა ანუ ძროხის ძუძუ-

ებსა. აი ეს ხაოები, არ დაგავიწყდეთ, არიან ორსავ წვრილ წელების მხარესა, და როგორც წურბელა, სწოვენ ამ სითხელეს, რომელიც საჭმლიდგან იყოფება, ისინი სწოვენ და მერმე უშვებენ დუქის და გარეთ გარსის ქვეშ წელებსა (*) ამ ადგილას მდებარებენ წვრილი ძარღვები; ისინიც აქვე ძარღვებთან გროვდებიან ერთს ადგილას და ასხმენ დიდი ძარღვში სითხელეს.

დიდი ძარღვი მუცლიდგან ზეით მიდის, გადის გულის ფარში და გულში, მარცხენა ფერდის მკალთან, რომელიც მდებარებს მარჯვენ ფერდის წიბოს ზეით, სითხელეს მეორე დიდ ძარღვში ასხამს, და იქიდგან გულში მიდის. ამაობით დარბის მთელს გულისა და მუცლის მინავანში, რჩება ცოტას ხანს ღვიძლში, ელენთაში, ფილტვებში, აქ სისხლათ კეთდება და მხოლოდ მაშინ დავარგდება ჩვენ ტანის საზრდელათ. ახლა როგორც ხედავთ, ჩვენ წოდებულს მინავანში, კეთდება ერთი საჭმლის ნაწილი, და საწარმოების დაუდგრომელი და ხურხაანი მუშაობა, მაგრამ ამ მუშაობაზედ ბევრს არას გეტყვით, ამისათჳს, რომ კარგათ გაიგოთ, ენდა სხჳა მეცნიერებანიც იცოდეთ ამათ გარდა, რომელსაც მე მოგახსენებთ. თქჳნთჳს საკმაო, მხოლოდ იცოდეთ, რომ წელებში საჭმლიდგან გამოდის თეთრი სითხელე, რო-

(*) წელის მილი სამ კანისაგან არის შედგენილი რომელნიც ერთი მეორეზედ მაგრა აწყჳა ზეით ხორცისა, მერმე წვრილი, ხვრელოვანი, და შუაში დუქისა. ისინი შეიძლება, როგორც წებოთ მიკრობილნი ქაღალდები ისე გაიყვნენ.

მელიცა გავს რძესა; ძარღვებში და სხვა შინაგანებში ამ რძიდგან სისხლი კეთდება, კიდევ გიმეორებთ, რომ ეს მუშაობა ძნელია, მაგრამ ისეთი საოცარი კი არ არის, რომ კაცმა ვერ გაიგოს,—მხოლოდ კიდევ სხვა უნდა იცოდეთ, ამას გარდა, რასაც მე მოგახსენებთ (*)

ეხლა ვნახოთ რა არის სისხლი ანუ რა განსხვავება აქვს იმ თეთრ სითხესთან, რომლისგანაც თვითონ შესდგა.

როგორც დედაკაცის რძე, ძროხისა, ვირისა და სხ, არ არის უბრალო სითხე, და შედგენილია ბევრის მასალებისაგან, რომელიც ისეა შეკრული, რომ არა სჩანან, აგრეთვე სისხლში არიან ბევრი სხვა და სხვა ნაწილები. ყველა ტანის ნაწილები სისხლში ჰპოულობენ თავისთვის საჭმელსა: კუთები, ძვლები, კანი, აფსკები და სხ.,—მაშ სისხლში უნდა იყოს, და მართლათაც ყველა რაც სხეულსა ეჭირება არის, მაგრამ ყველა იმ რიგათ არის, რომ მარჯვეთ გადის სისხლის ძარღვებს შუა სხეულის ნაწილებთან. კაცის სისხლს თავის სუნი აქვს, რომელიც იმა-

---

(*) ჭარხლისაგან შაქარი კეთდება, პურის და კარტოფილისაგან არაყი. ძვლებისაგან ფოსფორი; ჰგავს, რომ ჭარხალში შაქარია, პურში და კარტოფილში არაყი, ძვლებში ფოსფორი, მაგრამ იმაში, როგორ არიან, ანუ იქიდგან, როგორ მივიღოთ, ყველა ამას გვასწავლის, საკუთარი მეცნიერება—ხიმია, აი ეს მეცნიერება კაცმა უნდა იცოდეს, რომ კარგათ გაიგოს, თუ საჭმლიდგან როგორ იყოფება ისეთი ნივთიერება, რომელიც ჩვენის სხეულისათვის საჭიროა.

სავე ოფლის სუნსა გავს, — და ყველა ცხოველის სისხლისთჳს საკუთარი სუნი აქუს, რომელიც კაცისა და სხუა ცხოველის სუნს არა გავს. თუ სისხლი გამოიშო კაცმა და თეფშზედ დაასხა, შეყვედდება, როგორც რძე, და ორ ნაწილათ გაიყოფება: მაგარი და თხელი. თხელ ნაწილში ბევრი წყალი იქნება ხოლმე ე. ი. ერთი წვეთი წმინდა სისხლი რომ იყოს, **780** წვეთი წყალი, დანარჩენი სხუა ნივთიერება არის, ე. ი. ცილა, რომელიც კვერცხის ცილასა გავს, სიმსუქნე საჭმლის მარილი, გაჯი ფოსფორი და რბილი ძარღვი, სისხლის სიწითლე ძარღვზედ არის დამოკიდებული, თუ რბილი ძარღვი და სხუა მაგარი მასალები სისხლში ცოტაა, — მაშინ ის ძალიან გაწყალდება, გათხელდება, კაცი გაყვითლდება, და პირზე არავითარი სიწითლე არ ექნება და წყალი იმის სისხლიდგან სხუა და სხუა სხეულის ფოსოებში გავა. გულში თავში, მუცელში. აი ეს იქნება წყალმანკი. საკუთრივ ხშირათ კაცს მაშინ აქუს, როდესაც ციებისაგან და აგრეთვე სხუა დიდი ხნის და მძიმე ავათ მყოფობისაგან მორჩება, როგორათაც სიჭლექე, ბუასილი, მუცელა და სხ,

შედგენილობით სისხლი იმ თეთრ სითხესა ჰგავს, რომელიც საჭმლისაგან წელებში განიყოფება, და მხოლოდ წითელის ფერით აქუს განსხვავება; და როგორც სისხლის სიწითლე რბილ ძარღვზედ არის დამოკიდებული, იმისათჳს საჭმლის სითხეს სისხლისაგან იმით ირჩევა, რომ ეს რბილი ძარღვი არა აქუს, რომელიც სისხლში ყოველთჳს არის.

სისხლი, რომ ყველა სხეულის ნაწილებში დარბის,

იმათა ჭკვებს. ეს ჯვება ესრეთ სწარმოებს: როდესაც სისხლი რომელისამე ნაწილს უხლოვდება, მაშინ ეს ნაწილი სისხლიდგან ძარღვებს შუა იწვევს იმ მასალას, რაც თითონ უნდა: ძვალი თავის მასალას იწვევს, კუთი თავისასა და სხ. სისხლი სხეულს გამოსადეგ მასალას აძლევს. და ამის სანაცვლოთ, რაც სხეულს არ ეჭირება, და დაძველეული გამოაქვს კანზედ და ფილტვებზედ ორღანების გარეთ. ამგვარათ სისხლი, რომ სხეულსა ჭკვებს, უვარგისს და უწმინდურ ნაწილს იზიდავს, ხდება და უნდა გაიწმინდოს სისხლი, როგორც მერე გავიგებთ, იწმინდება ფილტვებში, აგრეთვე ღვძლში და ელენთაში ამისათვის, რომ სისხლი წმინდა იყვეს, ე. ი. მრთელი. უეჭველად უნდა რომ ეს მინაგსები კარგათ იყვნენ, სხვა და სხვა წამლებით სისხლი არ გაიწმინდება, და თქვენ ნუ უკვერებთ იმათ, რომელნიც გარწმუნებენ რომ არის წამალი, რომლითაც სისხლი გაიწმინდება. შეიძლება რომ სნეული კაცი მოარჩინოს, აგრეთვე სისხლი უკეთეს მდგომარეობაში მოიყვანონ, როდესაც კაცი სხვა და სხვა ორღანოების სხეულისას არჩენს მაშინ, სისხლის გაწმენდა არ შეუძლიან.

---

სისხლი, როგორც გითხარით, მთელს სხეულში დარბის; იმას ვინ რეკს, ვინ ექაჩება ისრე ძრიელ, რომ ერთს მინუტში თავშიაც მოირბენს, ხელებში და ფეხის ბოლოებშიაც ერთის სიტყვით ყოველ სხეულის ნაწილში? ამ კითხვაზედ, მე მგონია, თქვენც მაშინვე მამიგებდით,

რომ გულით; მაგრამ ეს როგორ სწარმოებს, ეხლავ მოგილაპარაკებთ.

გულის შეკუმშულობა და ფორმა თქუჱნ იცით: კაცის გული სრულებით გავს დიდ მხეცების გულსა, როგორ-ათაც ლომისას, ხარისას, ცხენისას და სხ. სიდიდით ხარის გულზე უფრო პატარაა. (*) გული კუთია და შიგნიდგან ცარიელი. ის შუაგულში მთელ სიგძეზე მაგარის ჯანით ორ-ნახევრად იყოფება, მარჯუჱნა და მარცხენა, ასე რომ ერთმანერთში არაფერი შეერევა არა აქჱთ, და სისხლიც ერთის ნახევრიდგან მეორეში ვერ გადავა და აგრეთვე იქიდგან.

გული ძარღვებზედ ჰკიდია მკერდის სიღრმეში, მკერ-დის მარცხენა მკლავის ახლოს, სწორეთ მესამე მეოთხე და მეხუთე მარცხენა მხარის წიბოებ ქვეშ, განის პაკში, რომელიც ჭოგრავს ყოველ მხრიდგან გული. გაცს მუდამ უცემს. ე. ი. განიერდება, რომ სისხლი მიიწოვოს, და იკუმშება, რომ სისხლი თავისგან გადმოასხას მთელს სხე-ულში; გულს, სისხლის მისასვლელად ანუ იქ დამ გამო-სასვლელად აქჳს რამდენიმე ნახვრეტები, რომელნიც ერთვიან დიდ ძარღვებსა. ზეით თავში მარჯუჱნა მხარეს გულსა აქჳს ერთი ნახვრეტი, რომელშიაც ორი დიდი ძარღვი ასხამენ სისხლსა, ერთი ზეით მკერდიდგან და სხუა ტანის ნაწილებიდგან, მუცლიდგან და ქვეით კიდურებიდგან.

შუა გულის მარჯუჱნა მხარეს არის კიდევ დიდი ნახვ-

(*) მთელ კაცის გულს პატარა მუშტის სიდიდე აქჳს.

ვრეტი, საიდგანაც კიდევ იწყობა ერთი დიდი ძარღვი, რომელიც ფილტვებში მიდის. გული, რომ გაგანიერდება სისხლის მასაწყევათ ორის დიდის ძარღვისაგან—მარჯვენა გულის ნახევარი მისწრაფლად შეიკუმშება, რომ სისხლი გარეკოს იმ ძარღვში, რომელიც ფილტვებში მიდის, და ამაობით სისხლი, რომელიც მარცხენა გულის მხარეს სულ არა ხვდება, ჯერ ფილტვებში იყოფება, სადაც დიდი ძარღვი, რომლითაც სისხლი ფილტვებში მოვიდა, იყოფება პატარა პატარა ნაწილებათ, და როგორც ბადე ისრე იფანტებიან მთელ ფილტვებში. ეს ძარღვები ფილტვებში კიდევ ერთდებიან დიდ ძარღვებათ, რომელნიც ასხამენ ზეით გულის მარცხენა მხარეს სისხლსა, რომელსაც, როგორც მარჯვენას ჰქონდა, ისე იმასა აქვს რამდენიმე ნახვრეტი ზეით ბოლოს და ერთიც შუაში. მარცხენა გულის ნახევარიც განიერდება, როგორც მარჯვენა ნახევარი, რომ ფილტვებიდგან სისხლი შეიწოვს, და იკუმშება, რომ სისხლი იმ ნახვრეტში გარეკოს, რომელიც შუაშია (*). ამ ნახვრეტიდგან იწყობა კიდევ დიდი ძარღვი. ეს ძარღვი, გულის პირკიდგან, რომ გამოდის, იქვე ორ ძარღვებათ იყოფება: ერთს მიაქვს სისხლი ზეით ტანის ნაწილებთან, და მეორე, ჩადის მუცელში, მუცლის ფარს

(*) ყველა ადგილს, სადაც გულიდგან ძარღვები იწყებენ, იმათ შუა კანის ფარდები არიან, ეს ფარდები მაშინ ჩამოეფარებიან, როდესაც სისხლი გულიდგან ძარღვებში მიდის და უკან აღარ უშვებენ.

შუა, და მოელ ქვეით ტანის ნაწილებს სისხლს აწოდებს. ეს ორი ზეითი და ქვეით მარღვი, რომლენსაც გულს მოარდება, იმდენი უფრო და უფრო, როგორც ხეზე ტოტები, იმ რიგათ ნაწილდება, და ბოლოს ისეთ წვრილ მარღვებათ საწილდება, რომ თუ არ დიდად მაჩვენებელ მანაშია, ისრე უბრალო თვალით არა სჩანან ამ პატარა მარღვებს ჰქჳანთ თმოვანი მარღვები, მაგრამ ყველა თმაზე უფრო წვრილები არიან და ამ მარღვებიდგან გადის სისხლი ჩვენ სხეულის ნაწილების საკვებათ. სისხლი, რაც სხეულისათჳს გამოსადეგი მასალებია, იმას აბარებს და უმარგისს თითონ იღებს. ამათბით დარჩის და მერმე თმიან მარღვებისაგან მომსხო მარღვებში გადადის, რომელთაც მიაქჳთ უკანვე გულთან, რომლებიც მიდის უფრო და უფრო მარღვები დიდდებიან და გასივრდებიან, და ბოლოს გადადის იმ ორ დიდ მარღვში, რომელნიც სისხლს მარჯუჳენა გულის ნაკვარში ასხამს მარღვებში, რომელნიც გულიდგან ტანის ნაწილებთან მიდიან, დარჩის სუფთა სისხლი და ფილტვებში გაწმენდილი, და მარღვებში, რომელნიც სხვა და სხვა ტანის ნაწილებიდგან გულთან მიდიან. დარჩის უწმინდური, რომელიც ფილტვებში უნდა გაიწმინდოს. პირველ სისხლსა ჰქჳან მფვეთქლი სისხლი, და მარღვებს, რომლებშიაც ეს სისხლი დარბის, მფვეთქლი მარღვები, მეორესა ჰქჳან მოსაქცევი სისხლი და მარღვებს სისხლის მოსაქცევი მარღვები მფვეთქლი მარღვისაგან სისხლის მოსაქცევ მარღვის გარდასავალზედ. შეაერთებენ თმიანი მარღვები. სისხლის მომქცევი მარღვები ტანის პირთან გან ქვეშ ისე ახლო

ჭრეტი, საიდგანაც კიდევ იწყობა ერთი დიდი ძარღვი, რომელიც ფილტვებში მიდის. გული, რომ გაგანიერდება სისხლის მასწყვათ ორის დიდის ძარღვისაგან—მარჯვენა გულის ნახევარი მიწრაფულად შეიკუმშება, რომ სისხლი გარეკოს იმ ძარღვში, რომელიც ფილტვებში მიდის, და ამაობით სისხლი, რომელიც მარცხენა გულის მხარეს სულ არა ხვდება, ჯერ ფილტვებში იყოფება, სადაც დიდი ძარღვი, რომლითაც სისხლი ფილტვებში მოვიდა, იყოფება პატარა პატარა ნაწილებათ, და როგორც ბადე ისრე იფანტებიან მთელ ფილტვებში. ეს ძარღვები ფილტვებში კიდევ ერთდებიან დიდ ძარღვებათ, რომელნიც ასხამენ ზეით გულის მარცხენა მხარეს სისხლსა, რომელსაც, როგორც მარჯვენასა ჰქონდა, ისე იმასა აქვს რამდენიმე ნახვრეტი ზეით ბოლოს და ერთიც შუაში. მარცხენა გულის ნახევარიც განიერდება, როგორც მარჯვენა ნახევარი, რომ ფილტვებიდგან სისხლი შეიწოვოს, და იკუმშება, რომ სისხლი იმ ნახვრეტში გარეკოს, რომელიც შუაშია (*). ამ ნახვრეტიდგან იწყობა კიდევ დიდი ძარღვი. ეს ძარღვი, გულის პარკიდგან, რომ გამოდის, იქვე ორ ძარღვებათ იყოფება: ერთს მიაქვს სისხლი ზეით ტანის ნაწილებთან, და მეორე, ჩადის მუცელში, მუცლის ფარს

---

(*) ყველა ადგილს, სადაც გულიდგან ძარღვები იწყებენ, იმათ შუა კანის ფარდები არიან, ეს ფარდები მაშინ ჩამოეფარებიან, როდესაც სისხლი გულიდგან ძარღვებში მიდის და უკან აღარ უშვებენ.

შუა, და მთელ ქვეით ტანის ნაწილებს სისხლს აწოდებს. ეს ორი ზეითი და ქვეით ძარღვი, რომლებსაც გულს მოერდება, იმდენი უფრო და უფრო, როგორც ხეზე ტოტები, იმ რიგათ ნაწილდება, და ბოლოს ისეთ წვრილ ძარღვებათ საწილდება, რომ თუ არ დიდად მაჩვენებელ მანაში, ისრე უბრალო თვალით არა სჩანან ამ პატარა ძარღვებს ჰქვიანთ იმოვანი ძარღვები, მაგრამ ყველა თმაზე უფრო წვრილები არიან და ამ ძარღვებიდგან გადის სისხლი ჩვენ სხეულის ნაწილების საკვებათ. სისხლი, რაც სხეულისათვის გამოსადეგი მასალებია, იმას აბარებს და უვარგისს თითონ იღებს. ამათბით დარჩის და მერმე თმიან ძარღვებისაგან მომსხო ძარღვებში გადადის, რომელთაც მაინქმი უკანვე გულთან, რომლებიც მიდის უფრო და უფრო ძარღვები დიდდებიან და გასივრდებიან, და ბოლოს გადადის იმ ორ დიდ ძარღვში, რომელნიც სისხლს მარჯვენა გულის ნაკვარში ასხამს ძარღვებში, რომელნიც გულიდგან ტანის ნაწილებთან მიდიან, დარჩის სუფთა სისხლი და ფილტვებში გაწმენდილი, და ძარღვებში, რომელნიც სხვა და სხვა ტანის ნაწილებიდგან გულთან მიდიან, დარჩის უწმინდური, რომელიც ფილტვებში უნდა გაიწმინდოს. პირველ სისხლსა ჰქვან მფეთქელი სისხლი, და ძარღვებს, რომლებშიაც ეს სისხლი დარჩის, მფეთქელი ძარღვები, მეორესა ჰქვან მოსაქცევი სისხლი და ძარღვებს სისხლის მოსაქცევი ძარღვები მფეთქელი ძარღვისაგან სისხლის მოსაქცევ ძარღვის გარდასავალზედ. შდენარებენ თმიანი ძარღვები. სისხლის მომქცევი ძარღვები ტანის პირთან კან ქვეშ ისე ახლო

მდებარებენ, რომ თვალით შეიძლება კაცმა დაინახოს, მაგალითად კედში. ლურჯის ზოლისებრნი. მფეთქელი ძარღვები კი მდებარებენ ღრმათ კუნთებში ძვლების ახლო. მფეთქელი ძარღვი თვალით არა სჩანს, მაგრამ ხელით შეიძლება გაისინჯოს, ამიტომ რომ იგინი როგორათაც გული ისრე ფეთქენ. ამისათვის ექიმები მაჯას უსინჯვენ, ე. ი. სთვლიან მინუტში მფეთქელი ძარღვი, აგრეთვე გულიც, რამდენჯერ გაგანიერდება და შეიკუმშება. შუა ჯასიან კაცს გული ერთ მინუტში 75 ჯერ უფეთქს უმაწვილებს უფრო მომეტ ბუღს და ბებრებისკი ნაკლებათ. გული ფეთქის კაცს დიდის მუშაობით დაუწყებს, მაშინ ერეკება მთელს სხეულში სისხლს, რომელიც უმაწვლეში დიდის მოცლილობის ერთის ძარღვით მიდის და უკანვე ორის ძარღვით ბრუნდება, ამ სამ ძარღვს, რომელნიც ერთმანერთზედ არიან დახვეულნი, როგორათაც ზოლანი ჰქვიან ჭიპი, როდესაც უმაწვილი დაიბადება. ჭიპი გაშრება, მოვარდება, და სისხლს თვითონ ბავშვი სამშობლოისაგან იღებს, გული იმ გზაზედ ერეკება. რომელიც მე ეხლა მოგახსენეთ და არამც საჭმელ-ლამდის ფერს, არამედ საჭმელის შემდეგ რამდენსამე მინუტს, ასე რომ კაცი საუზმობით რომ მოჭმდება, შეიძლება ლემა, რომ გასჭრან. მესიმეონ ნელი გულის ნძრევა; ბუნებს და სხვა რამდენსამე მხეცს ეს გულის ნძრევა, საჭმელის შემდეგ რამდენსამე საათს აქვს ხოლმე

გულის სნეულება მრავალი; მაშინ შეიტყობა იმასი სნეულება, როდესაც გულის გვერდზედ ტკივილი გაუჩნდება, თრთოლას დაუწყებს, დარტყმისაგან ანუ მთელი სხე-

ულის სისუსტობისაგან მიიმკვდარდება. ყველა ამ ტვი-
ნილების უ ჭეჭილთ ქმობა უნდა; მაგრამ კაცს შეცრათ
მსწრაფად გულის ცემა დაემართება. გიჩვენოთ, რომ პი-
რველ შემთხვევაში ცივ წყალში დასველებული პირსახოცი
დაიდოთ, ანუ პირკით ყინული ამისგან გაცივების ნუ
იმაშკო. კარგია კიდევ სამღოგვე დაიგრათ, ნაკუთებზედ
ანუ წინა მხარზედ და აგრეთვე ცივის წყლის დალევა,
ძმარი და წყალი ერთად არეული, ლიმონიანი წყალი.
ვისაც ჩქარი გულის ფეთქვა აქვს, უნდა მართალი და
მშვიდობიანი ცხოვრება უყვარდეს, მეტი დაიმინოს, ღვინო
და არაყი სულ არ დალიოს. ცოტა იმუშაოს, არას დროს
არ ირბინოს ანუ დაღალვამდის არ იაროს.

მოვეთქვეთ ძარღვზედ მარტო ერთ სნეულების მოგახ-
სენებთ. რომელსაცა ხალხში იმაზე ბევრს ლაპარაკობენ.
ეს სნეულება მოუჩენელი და სასიკვდილოა. ამას ჰქვან
ძარღვის დაფარვება სისხლის შედგომისაგან. აქ გაცები.
რომელნიმეთგანიც ძარღვი შედგენილია, რომლის მე ადრე
გიღე სისხლის მიწოლისაგან გაწოიწყვიან, გაიბერებიან
და ამით პარკიეთ გახდება (*). ეს პარკი ყოველ სხე-
ხეულის ტოტის დროს ე. ი. ყოველ გულის ცემაზედ,
განიერდება, დიდდება, განა უწვრილდება, და რასაგერვე-
ვეხია ყოველ მისუტს მკერდისან გასვდის, და რადესაც
გასკდება, მაშინ სისხლი კაცს გულში ჩაექცევა, კაცი სი-

(*) ყოველი სისხლის ძარღვი, როგორათაც წელი, არ-
ის მილი, რომელიც შედგენილია სამის კანიდგან: გარე-
განი, შეაგული და შიგნითი.

სხლისაგან დასუსტდება. და მოკუდება. კიდევ გიმეორებთ, რომ ამ სნეულების მორჩენა არ შეიძლება, და რომ ავათ მყოფი რამდენსამე წელიწას ისრე შეიმაგრონ, რამდენიმე საშკურნალო ღონის ძიებით შეიძლება. სისხლის მომქცევ ძარღვებისაც, რომელთაც სისხლი გულში მიაქუთ აქვთ სნეულება, რომელიც მიყეთქელ ძარღვის დაჭირვებასა გავს. ეს ძარღვები განიერდებიან, იბერებიან, კან ქვეშ. როგორათაც ლურჯი ნასკვები. ეს სნეულება სავსეთრივ სოლდათებს ფეხებზედ გაუჩნდებათ, დიდიხნის ომის შემდეგ. ეს სნეულება თუმცა საშიში არ არის, მაგრამ ძნელათ რჩება. თუ ვაცმა ხშირათ იარა, იმას ველარა უშველის. სისხლის მომქცევი ძარღვები უკან განსავალთან რომ გაგანიერდებიან ჰქჳან ზოგო, ზოგო დაემართებს მუდამ შინ ჯდომისაგან, ცხენზე ჯდომისაგან და ლჳძლის სნეულებისაგან. ზოგო იქნება ღია და დახურული. ზოგოს დროს, ე. ი. როდესაც ძარღვები გასავალთან გაგანიერდება, მაგრამ იმათში სისხლი არს სჩანს, ვაცს ამ ადგილას ქავილს დაუწყებს, წელის ტკივილსა, სიყაზბზეს და ძნელად აიქმებს ძალიან მაგარ ხროვასა. მაშინ მარგებელნი არიან დიდხანს სიარული, ღიმნასტიკის ვეოება, დილით შრატის დალევა, და საჭმელათ უნდა სხჳა და სხჳა მწვანილი, ხილი, ფურძენი, ბოსტნეული; ხორცი ცოტა უნდა ჭამოს; ღჳნო და არაყი, ხომ სრულიად არ უნდა დალიოს. მაგრამ ღია ზოგოზე. რომელსაც სისხლი ძარღვებიდგან ჟონას დაიწყებს. ვაცი მსუბუქათ შეიქნება და ეს სისხლის წვეთა უნდა შეწყჳტოთ; და თუ ძლიერ გაძლიერდა

უნდა ცივის წყლის წასასმელებით შეწყვეტონ, სალბის შენელებულით, მუხის ქერქის ნახარშის შაბით. მომეტებული სისხლის წვეთას, რომელიც კაცს აუძლურებს ექიმობა უნდა.

ვინც თხელის წყლიანის სისხლით ავათ არის, სხვა ტანის ნაწილებიდგანაც ხშირათ სისხლი სდის, ამაზედ თავის დროზე მოგელაპარაკებით, და ეხლა, მხოლოდ მოგახსენებთ რამდენსამე სიტყვას სისხლის გამოშვებაზედ. რომლისგამო სნეულებას ჩვენი უბრალო ხალხი და სოლდათები. ან ზურგი ასტკივდებათ, ან წელი ეტკინებათ, ან თავი დაუმძიმდებათ, უბრალოთ კაცს ჰგონია, რომ ეს სისხლის ბრალია და მაშინვე დალაქთან გაიქცევა, რომ ერთი სტაქანი სისხლი გამოუშვას, და არცა ჰკითხამს სისხლი უნდა და სასარგებლოა, რომ გამოიშვას თუ არა სანანურია, რომ ესრე ჩადიან და ამას ძნელათ გადაეჩვევიან; მაგრამ აქ როგორათაც სჩვევიან, უნდა კაცი დაფიქრდეს, როგორ არის საქმე ან სისხლის გამოშვებაში რასა ჰკარგავს; — და მაშინ გაიგებს რა რიგათ მავნებელია. თქვენ ხომ იცით სისხლი რა არის, იცით რომ ყველა სხეული ჰპოულობს იმაში საჭმელს. მაშ ყოველი ამ სითხულის წვეთი ჩვენთვის ძვირფასია, სისხლის დაცვა იმ რიგათ უნდა, როგორათაც ჯანისა, ამისტომ რომ იმისგან ჯანიცა გვაქვს და სიცოცხლეცა. სისხლი რომ დაკარგოს კაცმა ძნელათღა იპოვნის და რამდენსაც ხშირათ გამოიშვებს სისხლსა, იმდენი სისხლი გაწყალდება და ვინც ხშირათ იშვებს მომეტებული ნაწილი წყალ მანკით კვდება. ცხენის ჩვეულება ზოგი-ერთ

გაცეს სჯარს, რომ სისხლი ერთხელ ანუ რამდენჯერმე უნდა გამოიშვას წელიწადშიაო,— ეს ჩვეულება უნდა ყვე-ლასთან განვიცხოთ, ვისაც ცოტაოდნათ ესმის რა არის სისხლი და ტანში რისთვის მდინარებს. საერთოდ სისხ-ლის გამოშვება ჩვენს კავკასიაში არ გარგა, სადაც ცხელე-ბის ტკივილები ხშირათ ატყდებიან. კაცის ჭკუისა ვით-ომ თავში ანუ გულში სისხლის ავარდნა არისთ ციების შეტოვა ექიმის საქმეა, მაგრამ გირჩევთ, რომ სისხლის გამოშვებას უფრთხილდეთ და ტუმბალათ ექიმის დაუკით-ხავათ არ გაიღოთ,— ამ გვარ ჰაერვილ შემთხვევაში კო-ტოში მოიგიდეთ, ანუ სამდოგვე დასვერით ანუ უბრა-ლო საზუბათ გოჭობი, რომელიც ჩვენს გოტოში ეგვასებ.

(განგრძელება შემდგომ ნომერში იქნება.)

## პოლიტიკური ეკონომიის ნაწილი.

ყოველივე მოიპოვება შრომითა.

(პოლემარისა)

1

### მადელენა და მისი მამა.

ფრანციაში იყო ოდესმე მაზრა, რომელსაც ეწოდებოდა პერიგორი. ამ მაზრის რომელიმე სოფელში რავდენიმე წლის წინათ, იდგა უბრალო სახლი, დახურული ფიცრით. ერთის მხრით სახლისა იყო ბაღჩა, მეორეს მხრით ბოსტანი. უკან ხოდაბუნი, დათესილი პურით. ბაღჩაში ნებივრათ სძოვდა თხა, ერთი წყვილიც ტრედები ღუღუნებდნენ სახლის ბანზე.

ერთს ამ სახლის ოთახში, რომელიც იყო მორთული უბრალო სკამებითა, სტოლით და დივანითა, ყმაწჳლი ქალი ქსოვდა კრუჟოვასა. მადელენა (ასე იწოდებოდა ქალი), თუმცა თავ ჩაკიდებული დასცქეროდა საქმესა; მაგრამ აშკარათკი ეტყობოდა, გართული იყო სხჳა ფიქრებში: ხში-

რათ გახედავდა ფანჯარაში და ვერ იყო გულ მოსვენებული.

ის იყო მოღამდა. ამ დროს ქალს მოესმა ქუჩაში მძიმე და უსწორ მოსწორო ფეხის ხმაურობა. მადელენმა აისედა მაღლა ცაში და გულმხურვალეთ რაღაცა სთხოვა ღმერთსა. ოთახში შევიდა ვაჟკაცი, უდროოთ დაბერებული, ამიტომ რომ ჯერ არ იყო ხნიერი, მოუჯდა გვერდით ქალსა და შემდეგ რამდენიმე ხნის მდუმარებისა, ეუბნებოდა: «განა აგრე უნდა მიეგებოს ქალი მამასა?»

—თქვენ ხომ იცით, რომ მე საშური საქმე მაქვს.

—დიახ, ნოტარიუსის (*) ცოლს ძლიერ ეჭირება კრუჟოვა, რომლითაც ჰსურს მორთული მივიდეს კვრის წირვაზედ: ასეთი გამოჩენილი გვამი ეკლესიაში როგორ მივა, თუ არ კრუჟოვებით მოკმაზული და შენკი, რასაკვირველია, თვალები უნდა წაიწყალო ამისთანა გვამისათვის.

—თუ იმისი ქმარი შოულობს იმდენს ფულსა, რომ შეუძლიან უყიდოს ცოლსა კრუჟოვა, მიამ

(*) ნოტარიუსი არის ჩინოვნიკი, რომელიც დაამტკიცებს ყოველ ნაირ შეკრულებათა, ვექსილებსა, ანდერძსა და სხ.

ქალმაც არ უნდა გაიკეთოს კრუქოვა.

--დიაღ, უნდა ვსთქვა, ოფლითა მოულობს ნოტარიუსი ფულებსა!

--რას მიბმანებ, მამაჯან, ნოტარიუსი მოულობს ფულსა პატიოსნებით და შრომით.

--ორიოდე სიტყვას მოსჩხაბნის, საკვრველი შრომა არ არის!.. მაშ შენის აზრით ჩვენი მსაჯულიც დამამშვდებელი მოდავეთა პატიოსნებით და შრომით მოულობს ფულსა?

--რასაკვრველია.

--როგორ თუ რასაკვრველია? მაშ მარკიზიც (*) ამ მამულის მფლობელი მაგავე სახით მოულობს ფულსა?

--მამილო!

--ჰო! ესლა კი მეეურება. შენ გინდა მითხრა: მე მფლობელი უნდა ვიყო მებატონისა, რომ მაქირავა ეს ორიოდე დღის მიწა და სახლი. ვინ არ იცის, უვალი მარკიზი თავის კეთილსულობით საკვრველი კეთილის მყოფელია გლეხ კაცებისათვს! «საყვარელო, მითხრა მე იმან, არ ვი-

(*) მარკიზი თავადისშვილია.

ციო რა უნდა უყოვო ამ მიწასა და სახლსა, შენ დაიქირავეთ. მე ბევრს არ გამოგართმევთ: მხოლოთ კჳრაში ორი დღე ჩემთჳს იმუშავეთ.» დიახ მადლობელი გახლავარ, ჩემო ბატონო, რომ ავეთი ასირებული კეთილის გულისა ხართ. წელიწადში ას ოთხი დღე მუშაობა აბა რა სათქმელია, რა უნდა ღირდეს! თუ რომ გამოვრიცხავთ **52** კჳრასა, მე კიდევ დამრჩება **210** დღე; ეს დროც უნდა შუაზე გავყოთ: ერთი ნახევარი ჩემ სამუშაოთ და მეორე ნახევარი მოუნდება ავდრიანობასა, ავათმყოფობასა უქმეებსა და სხ. ვსთქჳათ მე დამრჩა **100** დღე სამუშაო, თჳთო სამუშაო დღეც დავაფასოთ შჳდ შაურათ, შედგება წელიწადში სამთუმან ნახევარი. ამითი უნდა ვიცხოვროთ, ქალო!... რა სულგრძელი ბძანდება ჩუენი უფალი ბატონი. ეს როგორღა არის; რომ ის უმამულო და შეუძლებელ კაცს აძლევს იმოდენ ღონისძიებასა, რომ ეს კაცი ძლივს მოიპოვებს დღეში ერთს შაურსა, თჳთანკი დღეში ხარჯავს თუმან ნახევარზე მეტსა! რახაკჳრველია, მე ძლიერ მადლობელი უნდა ვიყო მებატონისა. როდესაც აქ მოველი, უფულო, მე მეტი ღონე არა მქონდა, იმისი მამული უნდა

მექირავნა იმ ფასათ, რომელსაც შემომიკვეთდა მე ისი; იმას შეეძლო მოეთხოვა ჩემგან **200** დღე, არათუ **100** იმას აქჳს უფლება, მე, როგორათაც ღარიბი და უბინაო, გამაგდოს თავის მამულიდამ. დიახ, მე გულით შემუსვრილით შევიგნებ საკჳრველს იმისს ჩემდა კეთილ მოქმედებასა; მე ვარ იმისი მონა! ხომ არ უნდა წავიდე და იმის ფანჯრების წინ უმღერო მადლობა, ანუ არა სჯობსა ჯოხით ვცემდე ღამე წყალსა, რომ ბაყაყებმა არ იყიყინონ?

--რას ანბობთ, მამაჯან! შეჰყჳრა მადელენმა.

--რა მოხდა, მითამ? აგერ ვიღაც მოდის ქუჩაში, თჳთან მარკიზი ხომ არ არის? მე რა მენაღვლებ̃ განა ვსთქჳ რამე ტყუილი?

დიახ, ქორჯ, თქჳენ უსამართლოთ ამბობთ, უპასუხა ვიღამაც მშჳდობიანად და მასთანავე სასტიკათ.

--ოჰ, უფალო შარლე, დაღონებით უთხრა მადელენმა შარლეს, რომელსაც ჩამოართო ჴელი.

შარლე იყო კაცი ორმოცდა ათის წლისა, სასიამოვნო სანახაობისა. იმას ეცო ძლიერ მარტივად და იმისი მესახედაობა გამოაშკარებდა გუ-

ლის სიმშჳდესა.

--იქნება ყურს გვიგდებდით? ჰკითხა ჟორჟმა.

--არა, ყურსკი არ გიგდებდით, მხოლოთ გავიგონე თქუენი ლაპარაკი: მგონია ხმა მაღლა ლაპარაკობდით!

--და თქუენ ხედავთ, რომ მე უსამართლოთ ვლაპარაკობდი?

--სრულიად უსამართლოთ.

--მაგალითად, როგორ?

--თქუენ სთქჳთ, რომ ხართ მონა ამ მამულის მფლობელისა და რომ იმისთჳსვე მუშაობთ.

--ეგ მართალია.

--აგერ ერთი წელიწადია, რაც მე აქ დავსახლდი, და კარგა გიცანი, რომ განჳითარებით თქუენ მაღლა სდგეხართ იმ მდგომარეობაზე, რომელიც გიჭირავთ საზოგადოებაში (გლეხკაცობისა).

--განა უმამულო კაცსა აქვს რაიმე მდგომარეობა საზოგადოებაში?

--მაგაზედ მოვილაპარაკოთ სხუა დროს; ეხლა მე მსურდა მეთქუა, რომ თქუენთან შემიძლება სჯა საგანზე, თუკი მოინდომებთ და იფიქრებთ.

--მაშ კარგი, ვსაჯოთ.

--ერთი მითხარით, რა არის, თქჳენის აზრით შრომა?

--მოხმარება ღონესი მოსაპოებლად საჭირო-ებისა.

--კაცი როგორ მოიხმარებს ამ ღონესა, ანუ შემძლებელობასა.

--სულიერისა და ფიზიკურის (ხორციელის, ანუ ნივთიერის) მოქმედებითა.

--როგორ მოიხმარებს კაცი ამ მოქმედებასა?

--რა გნებავსთ, უფალო მართლე! ხომ მხედავთ ფხიზელი არა ვარ, გეტყობათ, უნდა გადამრიოთ; მაგრამ ნათლად მაქჳს აზრები და პასუხს მოგ-ცემთ: შრომა კაცისა გამოჩნდება ორის ღონისძი-ებით: 1) მითვისებით ნივთისა და 2) გაკეთებით ამ ნივთისა.

--მე სრულიად ვეთანხმები თქჳენს აზრსა და, როგორც მხედავთ, ფიქრში არა მაქჳს გადაგრიოთ.

რახან ეგრეა და თქუენ ეთანხმებით ჩემს გან-მარტებასა შრომაზე, თქჳენ უნდა დამეთანხმეთ მაზედაც, რომ რადგან შრომა კაცისა მიქცეულია ნივთზე, მაშ ამ ნივთსა ესე იგი, დედამიწას ყო-ვლის თავისს საუნჯითა, სხჳა არარა ფასი არა

სმევს, გარდა მისა, რომელსაც მისცემს მას შრომა

--მაგითი რა გინდა სთქჳათ?

--ისი, რომ ხილი, ოდოში, თევზი და სხ. არ მოსცემდნენ კაცს არარა სარგებლობასა, თუ რომ კაცი შრომას არ მიიღებს და არ მოჰკრებს ხილ-სა, არ დასთესს პურსა, არ დაიჭერს თევზსა და სხ.

--მე მაგაზე სრულიად თანახმა ვარ.

--და ესრეთ, თუ ნივთსა აქჳს მხოლოდ ის სარგებლობა, რომელსაც მისცემს მას შრომა, რა-საკჳრველია, ყოვლის სიმართლით უნდა ვსთქჳათ რომ თჳთ ნივთიც უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინცა სდებს მას ფასსა.

--სრულიად მართალია.

--მაშ ეს სახლი და ეს მიწა; რომელთაც უჩემ-შრომოთ ფასი არ ექნებოდათ, რატომ მე არ უნდა მეკუთვნოდნენ. და არა მარკიზსა?

--განა ეგ სახლი თქჳენ ააშენეთ?

--არა მე არ ამიშენებია, მაგრამ არც ამის მფლობელს აუშენებია?

--ეს ხოდაბუნი ვისგან არის გამარგლილი და გასუქებული.

- ჩემგან არ არის,მაგრამ არც პატრონისაგან არის.

-იცით, ძმაო! თუ რომ ეს სახლი თქჳენგან იყოს აშენებული და ეს ხოდაბუნი მოვლილი, მაშინ თქჳენ იქნებოდით სჯულიერი მფლობელი ერთისაცა, მეორისაცა.

-რასაკჳრველია.

-და გექნებოდათ უფლება მათის გაცემისა, გაყიდვით ანუ ჩუქებით.

-დიაღ.

-და ესრეთ ისიც, ვისაც თქჳენ აჩუქებდით ანუ მიჰყიდდით, სწორეთ ისეთივე სჯულიერი მფლობელი შეიქნებოდა მამულისა; როგორიც თქჳენ იყავით.

-უეჭჳელია.

-მაგრამ. ესეცკი ვიცით, რომ ახალმა მფლობელმა თჳთან არ მისცა მიწას ფასი თავისის შრომით.

-მისცა ფასი ჩემმა შრომამა, ამიტომაც ახალი მფლობელი მიითჳსებს ჩემს შრომას; ისი ჩადგება მამულში ჩემ მაგიერ.

-მაშ უნდა დამეთანხმეთ, რომ რასაც თქჳენ მოახდენთ ვისიმე სასარგებლოთ, მაგალითად, თქჳენის ქალისა, იმასვე მოახდენს სხჳა სასარგებ-

ლოდ ამ მამულის პატრონისა.

-ეხლა მემკჳდრეობაზე დამიწყეთ ბაასი!

-არა, მე მინდა მხოლოდ დაგათანხმოთ მაზე, რომ აწინდელ მფლობელს აქჳს ამ მამულზედ სწორეთ ისეთივე უფლება, რომელიც ჰქონდა პირველს მფლობელსა, რომლის შრომა მან მიითჳსა და ჩადვა იმის მაგიერ მამულში.

-თანახმა ვარ მაგრამ ნახევრათ.

-ამ საგანზე კვლავ მოვილაპარაკოთ. ეხლაკი ჩვენ ორნივ თანახმანი ვართ მაზე, რომ შრომას მოვისმარებთ საჭიროების მოსაპოებლად, და მაშასადამე, კაცი შრომობს მისთჳს, რომ ჰქონდეს ღონისძიება ცხოვრებისათჳს. ინდოელების რელიგიის კანონია, ვინც არ იშრომებს, იმას არა აქჳს უფლება სჭამოს პური: თანახმა ხართ თქჳენ ამაზედა? ჰკითხა შარლემ.

-ვსთქჳათ, რომ თანახმა ვარ, მაგრამ მაგითი არ დამტკიცდება ვითამ მე არა ვმუშაობდე ამ მამულის მფლობელისათჳს.

-ისი ხომ დამტკიცდდება მაინცა, რომ თქჳენ ხედავთ შრომის საჭიროებასა, და რადგან აქ არის მოსამკალი, რომელზედაც მხოლოთ თქჳენა გაქჳთ

უფლება, ამიტომაც ვიტყჳ, რომ თქჳენ გიმუშავიათ არა მარტო მფლობელისათჳს, არამედ თქჳენის საჭიროებისათჳს უფრო?

-როგორც გნებავსთ ბძანეთ, მაგრამ მე ვმუშაობდი მამულის პატრონისათჳსაცა.

-იქნება.

-როგორ თუ იქნება! მაშ 104 დღე რომ ვიმუშავე იმისთჳს, არაფრად არა ღირს? შეჰყჳრა ჟორჟმა და წამოსდგა.

-ოჰ, მამაჯან, თქჳა მადლენმა და დასო მამა: აქამდინ გონიერად ლაპარაკობდით, ეხლადა, რა გაბრკოლებსთ განაგრძოთ ლაპარაკი იმავე კილოზე?

-მე სამაგელო, ალერსით უთხრა ჯორჯმა ქალსა და აკოცა: მხოლოთ შენა გაქჳს უფლება დამარიგო, და ყოველთჳს, როდესაცკი ვბაასობ ვისთანმე, შენ ჩემი წინააღმდეგი უთუოთ გახდები.

-მამაჯან, მე ხომ ჯერ არა მითქომსრა.

-მე გავაგრძელებ ბაასსა, თქჳა ჟორჟმა, მხოლოდ იმ პირობით, თუ უფალი მარლე, რომელიც არის პატრონი საფეიქრო ქარხანისა, ჩემს სიღარიბეს არ მიხედავს და მეწვევა მცირე ვახშამზე.

-თქჳჱნ ასეთ გულითა მთხოვთ, რომ არ შე-მიძლიან არ დავშთე ვახშმათ.

-მაშ, მადელენა, წადი სამზარეულოში. შემდეგ ვახშმისა გავაგრძელებთ ჩუჱნს ლაპარაკსა.

## II

როგორ დაუმტკიცა შარლემ ჟორჟსა, რომ ისი არა მუშაობს მამულის პატრონისათჳს:

-კარგი ქალი მყავს, თქჳა ჟორჟმა, როდესაც მადელენა გავიდა.

-კეთილშობილი ქალია; ამისი სიყჳარული უნდა გამხნევებდესთ ყოველს გაჭირებაში.

-ოო. უმაგისოთ... მხოლოთ მაგისთჳს ვცოცხალვარ, მხოლოთ მადელენა მათმინებინებს ამოდენ მწუხარებასა, რომლითაც მტანჯავს საზოგადოება. მაგრამ, ჩემ საუბედუროთ, გავლენა მადელენისა ჩემზე ყოველთჳს ძლიერ ვერ მოქმედებს და მაშინ....

-გულის ვნებები გძლევენ.

-გულის ვნება, დიაღ; მაგრამ ამას ჰბადავს, აძლიერებს საზოგადოება, არა კაცი არ არის და-

ბადებული მისთჳს, რომ იცხოვროს მეზავსთან.

-რისთჳს არის კაცი გაჩენილი?

-მხოლოთ მისთჳს, რომ დააკმაყოფილოს ნივ-თიერი თავისი საჭიროება.

-ეგრეთვე ზნეობითაცა (სულიერი),-მე ასე მგონია.

-ეს ჯერ დამტკიცებული არ არის.

-ვსთქჳათ, ეგრეა; მაგრამ შეგიძლიანთ თქჳენა, რომ დაუდვათ ზღუდე ნივთიერ საჭიროებათა?

-არა. ერთს საჭიროებას რომ მოიპოებ, მაშ-ინვე მეორე დაიბადება.

-მაშასადამე, რავდენ მომატებული ექნება კაცსა შემძლებელობა დასაკმაყოფილებლად თავისს საჭი-როებათა, იმოდენ ის ბედნიერია.

-ნამდვილად.

-მაშასადამე, რომ კაცი გაბედნიერდეს, უნდა ბევრი იმუშაოს.

-მართალია.

-ნიშნავს, რომ კაცი იქნება უმეტეს ბედნიერი, რავდენ მომატებულს ნივთიერ საგნებს შეიძენს შრომითა? მაგრამ კაცის გონებასა და ძალსა, რა-გინა ძლიერნი იყვნენ, აქჳსთ თავისი ზღუდე. გარდა ამისა, ყოველ კაცს აქჳს მეხსიერება, და

შეიყვარებს ისი მომატებულათ ერთს რომელიმე საქმესა; მაგრამ მოსაზოებლად თავისს საჭიროებათა დაუტევებს საყუარელ საქმესა, და გამოუდგება სხჳასა. მაგალითად, კაცი მშვიდობიანის სასიათისა აირჩევს ვენახის შემუშავებასა, ხვნა თესვასა, სხჳა კი--უფრო ფიცხის აგებულობისა--ამჯობინებს ნადირობასა.

-ეგ ცხადია.

-და გამოვა აქედამ?--ისი,რომ მეთევზეს, მხვნელ-მთესველს, სიტყჳთ ყველას ექნება იმოდენი ნაწარმოები თავისს შრომისა, რომ არ ეცოდინება მომატებულს რა უყოს.

-მაშინ მომატებული მუშაობა აღარავის მოუნდება ამიტომ, რომ ყველანი მიიღებენ განცხრომილ ცხოვრებასა.

მითამ ეგრეა? არა მგონია. მე კი ვფიქრობ, რომ ვისაც ერთი საგანი აქჳს მომატებული და ხედავს მეზობელსა, რომელიც ამ საგანზე ხუსტათ არის და მდიდრათ სხჳა საგანზე, რომელიც იმას არ აქჳს და ეჭირება, რასაკჳრველია ისი ეცდება გაუცჳალოს მეზობელს თავისს საგანი იმისს საგანზე.

-ეგ ხომ უეჭჳელია.

-მაშ, ნამდჳლია, რომ ამ გვარ გამოცვლით კაცი არათუ გაავრცელებს თავისს კეთილმდგომარეობასა, არამედ უფრო და უფრო მიეცემა სიყჳარულით თავისს არჩეულს საქმესა. და ესრეთ გაცვლა არის პირველი ღონისძიება მოსაპოებლად კეთილმდგომარეობისა, და მამასადამე ბედნიერებისაცა.

-მე ვხედავ, რომ თქჳენ გნებავსთ განმიმარტოთ შემდეგი: ყოველი კაცი მიელტვის, რომ მოიპოვოს რაცკი შეიძლება მომატებული განცხრომა სიცოცხლეში და ამ მილტოლვამ დააფუძნა საზოგადოებები კაცთა.

-განა მე ეგ დავამტკიცე?

-დიახ, დაამტკიცეთ.

-მაგის გარდა მე კიდევ დავამტკიცე საჭიროება ნაწარმოებათ გაცვლისა, ამიტომ რომ, როგორც თქჳენვე თქვით, ნივთსა დაედება ფასი მხოლოდ შრომითა; მამასადამე ჩჳენ გაცვლით ერთმანეთზე შრომასა.

-ნაწარმოები არის წარმომადგინებელი შრომისა.

-სწორეთ. მონადირე გაუცვლის მეთევზეს ტყა-

ვებსა თევზზე, და ამით მოიპოვებს გემრიელ საჭმელსა; მხვნელ-მთესველს გაუცვლის პურზე. ვსთქვათ, რომ მხვნელ-მთესველი შეიქმნა კარგი დურგალი, მაშინ მონადირე და მეთევზე იძულებულ იქნებიან სისხოვონ მას აუშენოს იმათ სახლი მიწაზე, რომელიც მათ მიითვისეს.

-რასაკვრველია, ეგ შესაძლებელია.

-ამ შემთხვევაში ისინი გასცვლიან შრომას ნაწარმოებზე და ნაწარმოებს შრომაზე და არა ნაწარმოებს ნაწარმოებზე.

-როგორც მე ვფიქრობ, მაგით ხასიათი შრომისა არ გამოიცვლება, ნაწარმოები არის წარმომადგინებელი შრომისა. მხნელ-მთესველი, დურგალი მიიღებს ყოველ სამუშაო დღისთვს, რომელსაც მოახმარებს მონადირეს და მეთევზეს სასარგებლოთ, ნაწარმოებასა, რომელიც ეთანასწორება იმათ სამუშაო დღესა. ესეც გაცვლაა შრომისა.

-რასაკვრველია, ჩვენ ვლაპარაკობთ სასარგებლო შრომაზე, უსარგებლო შრომა ამ ანგარიშში არ შემოდის. თქვენ ხომ თანახმანი ხართ, რომ მხნელ-მთესველი, როდესაც მუშაობს მონადირესთვს და მეთევზესთვს, გასცვლის თავის შრომას

იმ ნაწარმოებზე, რომელთაც საჭიროებს თავისს კეთილმდგომარეობისათვს; მაშასადამე მუშაობს თავისს საკუთარ სარგებლობისათვს.

-უეჭველია.

-ეხლა ვსთქვათ, მაგალითად: მეთევზეს დარჩა რავდენიმე თავისუფალი დრო და იმან ეს დრო მოიხმარა გასაკეთებლად დედამიწის რაოდენიმე სივრცისა, მერმე დაუთესს მხვნელ მთესველსა ეს გაკეთებული მიწა და სთხოვს, მაგიერ მისა იმდენ დღეს უმუშაოს იმას, რავდენიც თჳთან მოუნდა მიწის გაკეთებასა,--რას იტყჳთ: გამოიცვლება თუ არა მაშინ ამ კაცების მდგომარეობა?

--არა.

-ვინიცობაა მეთევზემ დაინახა, რომ მხვნელმთესველის სამაგიერო მუშაობით არ აუდგება ის შრომა, რომელიც იმან მოიხმარა მიწის გასაკეთებლათ, ხომ შეუძლიან, მაგიერ დღიურ მუშაობისა მისცეს მხვნელმთესველსა მიწა სასარგებლოდ რავდენიმე ხანს?

-რასაკჳრველია, შეუძლიან.

-და ამ გაცვლით, როგორც სახლის აშენებით, მხვნელმთესველი გასცვლის თავისს შრომასა იმ-

ოდენ სხჳს შრომაზე, რომ ეთანასწორებოდეს იმისს შრომასა; მაშასადამე ისი მუშაობს თავისს საკუთარ სარგებლობისათჳს და არა მეთევზის სარგებლობისათჳს.

-დიაღ. იქაც აქნება გაცვლა შრომისა.

-ამ გაცვლაში სომ არავინ იზარალებს?

-არა.

-ეხლა როგორ ფიქრობ, მხვნელმთესველი უნდა უწოდებდეს თავისს თავს მუშათ მეთევზისა?

-მოითმინეთ, ჩემო მეგობარო,--უთხრა ჟორჟმა შარლეს: ეხლა ვსედავ რისთჳსაც მელაპარაკებით ამ საგანზე; მაგრამ ეს სულ სხჳა საქმეა. თქჳენ რომ მაგალითი მოიყჳანეთ, იმაში შრომა გაიცვლება თანასწორ შრომაზე, მაგრამ **104** დღე, რომელიც მე უნდა უმუშაო მებატონეს, სამაგიეროთ ამ მცირედის მიწისა, რომელიც იმან მე მაქირავა, უფრო მჳრათა ღირს.

-საიდამ გამოიყვანეთ ეგ? ვითამ სწორეთ გათვალეთ? მე კი ვფიქრობ, რომ ამ საქმეშა თქჳენ უფრო გრჩებათ სარგებლობა, ვიდრე მამულის პატრონსა--მაგრამ ამ ლაპარაკს რომ მივყვეთ, შორს წაგვიყვანს, აკი თქჳენ დამეთანხმენით მაზე, რომ

თფლსა ღვრით ამ მიწაზე, თქუენ შრომობთ თქუენთჳს და არა მებატონისათჳს და რომ 104 დღე თქუენის შრომისა არ იკარგება უბრალოთ; მამასადამე ჩუენ ვეთანხმებით ერთმანეთსა ზნეობითად, მხოლოთ ვერ ვეთანხმებით ერთმანერთსა დაფასებაში, მაინც კიდევ ჩუენის ლაპარაკიდამ გამოდის შემდეგი:

1) კაცმა უნდა იშრომოს.

2) შრომით კაცი მოიპოვებს ნივთსა, რომლის საშუალობით დააკმაყოფილებს თავის საჭიროებათა.

3) გაცვლა შრომისა გაავრცელებს კაცის კეთილმდგომარეობასა და დაამშვენებს საზოგადოებასა.

4) ამ გაცვლაში ყოველი კაცი არის თავისუფალი, ესე იგი, არ არის დამონებული სხჳსგან, და მასთანავეკი ერთი მხარეცა, მეორეცა არიან მტკიცეთ შეკავშირებულნი.

—თქუენ, უფალო მარლე, ასე კარგა ლაპარაკობთ, რომ-მე უნდა დავჩუმდე; მაგრამკი დარწმუნებული არა ვარ.

—თუ ღმერთი გწამს, ჟორჟ, სწორეთ მითხარით: არა ხარ მითამ დარწმუნებული? მე და თქუენ მივსწვდით ჭეშმარიტებასა, მხოლოთ ესეცკი უნდა

ვსთქჳა, რომ მართლის თქმა არვის იამება; მაგრამ მე ვიცი თქჳენი გაქჳთ კეთილი გული, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ თქჳენ აღარ ეჭუოფთ ამ ჭეშმარიტებასა.

-ოჰ! მაგაზე უნდა დარწმუნებული ბძანდებოდეთ, უთხრა ჟორჟმა მეგობარს და გადაეხჳა ყელზედ.

-მართალი ბძანეთ, რომ მამა ჩემი კეთილის გულისა არის, უთხრა შარლეს მადელენმა, რომელიც ის იყო შავიდა ოთახში.

-ვახშამი რა უყავი, მჯლო?

-ვახშამი მზათ გახლავს.

მაშ წავიდეთ, და ჟორჟმა მოიწმინდა ჩუმათ ცრემლები, როდესაც გავიდა მეორე ოთახში, სადაც იყო დადგმული სტოლი.

მადელენმა შახედა შარლეს ასეთის თჳალით, რომელიც გამოსთქჳამდა გულმხურვალე მადლობასა; შარლემ უპასუხა ღიმილით.

ლ. არდაზიანი.

(განგრძობება შემდგომ ნომერში იქნება).

## მოგონება.

სიმნი მკვესარნი სამარის ხმითა
ზედ დასტირიან რაღაც საგანსა
და უცნაურის თანა გრძნობითა
ეს ჩემი გულიც ეტყჳს მათ ბანსა.
ღმერთო! რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა!...
—მეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა!—
მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა
გულს გადამფერამს მოდებულს ჟანგსა.
ეს არის ჩემი თანამგრძნობელი,
ეს ისმენს მხოლოდ ჩემს აღსარებას.
მეალერსება ვით მშობელი
და ცრემლით აღნობს ჩემს მწუხარებას.
აი, ეხლაცა ჩემი გონება
სიმთ გააცოცხლეს აამღელვარეს,
მომცეს წარსულთა დროთა მოგონება
და გარდმიტანეს სამშობლო მხარეს.
ჰა! წამომიდგა მე თვალ წინა....
გაშორებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა,
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი
უფროსების წინ თავს არა ჰხრიდა.
პირმოთნეობით, ის დაჩაგრული
არავის სთხოვდა თჳს წარმატებას
და სიმართლისთჳს თავ გაწირული
აღიარებდა ჭეშმარიტებას.
უშლიდა მოძმებთ სულის მდაბლობას,

ჰგმობდა მათ შორის ის უმართობას.
მაგრამ ეტყოდენ რაგვარ მადლობას?
«ემუქრებოდენ ტყავის გაძრობას!»
გამოახილეთ, ანბობდა, თვალი,
შეიტყვეთ გლეხიც თქვენი ძმა არი!
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
«ჩუ, თორემ ციხეში წაგიქდება ძმარიო»
დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,
დიდკაცებს ჰგმობდა შიურმთისკველად,
მისთვის მას ყველა ემტერებოდა
და უწოდებდნენ საზიზღარ გველად!
მაგრამ მაინც თავს არ იხრიდა.
უფროსების წინ იმათი მტერი,
თუმც ჩუმათ ხშირათ ცრემლებსკი ჰღვრიდა
გაუკითხავი ყველგნით მშიერი.
შიმშილისაგან გახდა ის ავად;
მისი დაცემა ყველამ იხარა,
მოკვდა საბრალო გაუკითხავად
და საუკუნოდ მიწამ დაფარა.
ოჰ, უგუნურება; ოჰ, საძაგლობა!
ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი;
მას მოიგონებს შთამომავლობა
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი.

ვინც მოუწყრავა საწყალს სიკვდილი
იმასკი გრძნობით არვინ აკურთხებს;
მას შეაჩვენებს მისივე შვილი
და მის საფლავსა გადააფურთხებს.

კურთხეულმც იყოს ამგვარი შვილი!
და ამას ანბობს ეს ჩემი ქნარი:

ვინც სამშობლოსა უყო კეთილი
ზეცის მამაცა მხოლოდ ის არი!—

თ. აკ. წერეთელი.

---

## ავათმყოფი.

(ჰლეშჩეევისა)

მარტო ოთახში, სენით ჰყრობილი,
ეგდო და სიცხით სული ხდებოდა;
ქარი ზუოდა და ღამე ბნელი
შავათ ფანჯრებში იხედებოდა.
ის ჯერ ჭაბუკი იყო . . დუმავდა
საწოროებს თჳს სამაგლობით. . . .
და სახეს ტანჯვის დაღიც დაესვა
მეტის ჯაფითა და უძილობით.
ეგდო უძრავათ ის, ფერ მიხდილი,
თვალში სინათლეც კი უქრებოდა;
სიკვდილს ხედავდა—და დაღრეჯილი,
მწუხარე, ტანჯვით ევედრებოდა:
«საფლავში ნუ მდებ! მაცა სიკვდილო!
გამაწევინე მე ღამე ბნელი!
მსურს, ნათელი დღე კიდევ ვიხილო,
ვიხარო; «მშჳდობით» ვსთქვა უკანასკნელი.
მოჩვენებანი მეტათ საშიშარს
ვხედავ, ჩემთ თვალთ წინ ჰირევიან.

მათი სამთავრო ბნელია.... მძინარს
ისინი სოფელს თავს დახარიან....
იმათი სახე არს საზიზღარი!
ზედ აზის დაღი მათ გარყვნილების!
მაგრამ ხალისი მათი ამ გვარი,
მგონებ, ცისკრის დროს კი გათავდების,
გაფანტავს იმათ დილის ნათელი
და ხალხი ნახავს დილას სანატროს,
მაცა სიკვდილო, მინდა სოფელი,
რომ კიდევ ვნახო მეცა ცისკრის დროს,
ნატრობდა; მაგრამ სიცოცხლის ალი
თან და თან სნეულს გულში ჰქრებოდა.—
მოადგა ფანჯრებს იქ ღამე ბნელი!
ქარიც გატეხას უმუქრებოდა.

24 იანვარს.

თ, აკ. წერეთელი.

## ორიოდე სიტყვა შესახებ თერგ-დალეულის სტატიისა.

(საქართველოს მოამბე № 4. აპრილი).

ვიცი მკითხველს გაუკვირდება, რომ მეც, ჩემის კალმით, გამოველ საწერლო ასპარეზზედ ესეც ვიცი, რომ იქნება გამოჩნდეს ვინმე, მაგალითად ვიღაცა თერგ დალეულია, და ჩემა მარტივი სიტყვა მრუდეთ დაინახოს და მაგიერ მისა, რომ დამიმტკიცოს ჩემი შეცთომა, უმათ ისარგებლოს, რიტორიკის უთავბოლოთი, უგზო უკვლოთ გამოურიოს საქმესა. მაგრამ ამ შემოხვეწგამა არ შემაშინებიან ხმა არ ამოვიღო: დიდი მიზეზი მაქვს. მართალია, ჩემი კალამი არ არის გამოჭრილი მსწავლეულის კალმისაგან, მაგრამ ამ საცოდაობით გამოჭრილის კალმით მსურს გამოვთქო ჭეშმარიტება, რომლითაც შევარცხვენ ცილის მწამებლისა მე მაქვს დავა, როგორც სჩანს, მძლიერთან, რომელსაც ძლიერ კარგა უნდა ჰქონდეს გამოჭრილი კალამი; მამასადამე ბრძოლა არ იქნება თანასწორი. ვიცი მსწავლეული ჩემი მოპირდაპირე ახლოთ კალმის წვერით დამიწყებს ომსა, მაგრამ მე მაქვს სიმართლის ტყვია-წამალი.

რა მინდა ვთქვა?

თ. ილია ჭავჭავაძის სტატიების დასარღვევად შარშანდელ ფებერვლის «ცისკარში» წამოიკნავლა უფ. ექვთიმე წერეთელმა. ეს კნავილი ტფილისში არავის გაუგონია, გარწმუნებთ; მაგრამ პეტერბურღში სამმა «თერგდალეულმა» მაღალ ხმათ გაიგონეს და ქვით დაკრიბეს წერეთელი. ჩემის მხრით სრულიად ვემოწმები თერგდალეულებსა, რომ მათ სამართლიანად დასაჯეს უ. წერეთელი, მაგრამ განა საკმაო არ იყო, რომ სამმა ქვით დაკრიბეს ერთი და ხმა აღარ ამოაღებინეს! მაგრამ არა. ერთი ამათგანი ჭირივით ჩამოეკიდა უ. წერეთელსა და შემდეგ «ცისკრის» ნომრებშიც დააყოლა და დააყოლა კიდევ ქვაბელი ექვთიმე წერეთლისა, რომ ამ მესამე თერგდალეულმა მიიგდო ხელში ბიძია თომიკე. თორე წერეთლის სიკუდილამდინ არ მოეხსნებოდა. ეხლა დარწმუნებული ვარ, რომ უ თერგდალეული აღარ ჩამოეხსნება თომიკესა და მანამდინ სდევნის ქვითა და კეტით, სანამ სხვა გამოუჩნდება საცემარი.

იმედი მქონდა უ. ბიძია თომიკე არ დაიდუმებდა ცილისწამებასა და პასუხს მისცემდა უ თერგდალეულს, მაგრამ, როგორც შევიტყე უ. თომიკემ მხოლოთ გაიცინა უ თერგდალეულის სტატიაზედ და თავი დაანება — ღირსად არ დაინახა პასუხი მიეცა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ თერგდალეულის სტატიაზედ არავინ ყურადღებას არ მიაქცევს; მაგრამ, რომ უ თერგდალეულს თუალი აუხილო, მე საჭ. რით ვსცანი გამოვსთქო ჩემი აზრი.

იმედი მაქვს მკითხველი და თჳთ თერგდალეულიც უ-

თჳალებოდ განსაჯვენ ჩემს შეხედულობასა წინამდებარე საგანზედ.

და ესრეთ ყმაწვილებო! ვის გინახავთ ხორციელის თჳალებით ძლიერ ბეცი კაცი? ოჰ, რა საცოდაობაა, როდესაც სუფრაზე დაჯდება ამგვარი ბეცი! ისი კარგა ვერა ხედავს წინამდებარე ნივთებსა, მხოლოთ შეხებით იცნობს თეფშსა, კოვზსა და სხ. საჭმელს კი გემოთი იცნობს, მაგრამ ხორციელის თჳალებით ბეცი შეხებით და გემოთი მაინც იცნობს ნივთსა. უბედურობაა ის ყოფილა, თუ კაცი ყოფილა გონების თჳალებით ბეცი: იმას, როგორც ეხლა დავრწმუნდი, ვერც შეხებით, ვერც დაღეჭით ვერ შეუძლებია გაარჩიოს საგანი. საკვირველია, რომ უ. თერგდალეულს ექჳსი თჳალი უნდა ჰქონებოდეს: ორი ხორციელი, ორი სულიერი—გონება და განსჯა, ორიც თეორეტიკული და პრაკტიკული სწავლა ექჳსის თჳალით, ღმერთო შემიწყალე, რა საგანი იქნება, რომ ვერ დაინახო! მაგრამ, როგორც სჩანს, ჩუენი თერგდალეული ექჳსისავე თჳალით საშინელი ბეცი ყოფილა. მამისმინეთ.

უ. თერგდალეული სრულიად ვერ მიხვედრილა ბიძია თონიკეს აზრსა, რომელიც იმან გამოხატა თავისს მოგზაურობაში ტფილისის ტროტუარზე; ამიტომაც შეუგნებლად და შეუსაბამოთ იხსენიებს ავტორსა.

უ. ბიძია თონიკე მოგზაურობის შესავალში ერთ ადგილს ალაპარაკებს ორ ქალსა, რომელთაგანი ერთი დრიტვნავს ყმაწვილკაცებზედ, რომ არ გამოსცემენ გაზეთსა. აქ-კი არ არცხვენს ყმაწვილკაცებსა, კი არ ამდაბლებს, მხოლოთ

გამოხატავს საზოგადო დრტვინვასა, რომ ამ ყმაწვილკაცებს შეუძლიანთო — «ვინ უგუნური იქნება იფიქროსო, რომ ისინი მეცნიერნი არ იყვნენო» და არა კისრულობენ გაზეთის გამოცემასაო. რაში ხედავს უ. თერგდალეული ყმაწვილკაცების დამდაბლებასა? იქნება იმაში, რომ «ამიტომაც ამბობენო უნაყოფო ხეები არიანო» მაინც გადეკ დრტვინვა გამოდის აქა და არა დამდაბლება. დამდაბლება რომ სდომებოდა, არ იტყოდა; «უნაყოფონი არიანო»; ამიტომ რომ უნაყოფობა მიწაგლეჯ კაცისა მიეწერება მხოლოდ იმისს დაუდევნელობასა. ნუ თუ დაუდევნელი მიწაკლული არ იქნება!? იქნება უ. თერგდალეულმა მიპასუხოს, რომ სიტყვაში: «მეცნიერები» ირონია არისო. ძალიან კარგი, მაგრამ მეორე ქალი რაღათ ესარჩლება ყმაწვილკაცებსა და ამბობს: «ღონისძიება არა აქვსთო». თუ ერთის ქალის პირით ბიძია თითონვე ამდაბლებს ყმაწვილკაცებსა, მაშ მეორე ქალს იმისს წინააღმდეგათ რაღათ ალაპარაკებს? ერთი დრტვინავს ყმაწვილკაცებზე. მეორე ამართლებს იმათ. გარდა ამისა რას ნიშნავს, რომ ბიძია თითონვე მეორე ქალის პირით მოიწვევს საზოგადოებასა, შეეწიოს უუ. ჭავჭავაძესა და კერესელიძესა, რომ ლიტერატურა გაცოცხლდეს? რათ, აქ ჭავჭავაძეს დასცინის, თუ სურს, რომ ხელი მოუმართოს და საყოფი გამოჰქცეს? აშკარაა, უ. თერგდალეული ფიქრობს, როგორც სჩანს იმისს სიტყვებიდგან, ვითამ ბიძია თითონვე დასცინოდეს უ. ჭავჭავაძესა. ასე შეიძლება იფიქროს მხოლოდ თერგდალეულმა. მიზეზი რომ არა ჰქონდა, საიდამ დაბადა ეს უმსგავსი აზრი, მიგვრს

ჭეშმარიტად! არა. ნუ იფიქრებთ, უ. თერგდალეულო, რომ უ. ბიძია თომიკე უ ჭ. ჭავჭავაძეს არ იცნობდეს თქვენზედ უკეთესად. თქვენცა ცილს სწამებთ და სხვა აზრით მიგიღიათ ბიძია თომიკეს სიტყვები: «არ შექტევებათ უგაზეთობა ჩვენს ყმაწვილკაცებსა. მაშ რისთვის გავზარდეთ უმაღლესს სასწავლებელში; რათ მოვითმინეთ მრავალი მწუხარება იმათის მოშორებით! უნაყოფო ხეები არიან! ლაპარაკი დიდ-დიდი აქვსთ, საქმითკი ჩხირის გადაბრუნებაც არ შეუძლიანთ! ვინ უგუნური იტყვს, რომ ისინი არ იყვნენ მეცნიერნი, მაგრამ რაღგან უნაყოფოა იმათი მეცნიერება, ამიტომაც ხალხი ამბობს ფრანტობის მეტი არა უსწავლიათრაო.»

დიაღ, უ. თერგდალეული ვერა ხედავს ამ ბიძია თომიკეს სიტყვებში საზოგადოების დრტვნვასა; ვერა ხედავს, რომ ერთის მხრით ბიძია თომიკე ძალიან ატანს, სარცხვლში აგდებს ყმაწვილკაცებსა, რომ გაცვახარონ სწავლის ნაყოფით, მეორეს მხრით — მეორე ქალის პირით ებრძვს საზოგადოებას, მოსდევს მან ყმაწვილკაცებს, ნამეტნავათ უ ჭ. ჭავჭავაძეს, შეეწყობა. ნათქვამია: მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. მგონია უ. ბიძია თომიკეს ბნელათ და ერთი არა უთქომსრა. რატომ პირდაპირის აზრით არ გაიგონეთ და რათ ცდილობენ მრუდათ გაიგონონ; ეხლაკი ნებას ვითხოვ, დავამტკიცო თქვენი, საკუთრად თქვენი განათლება უ. თერგდალეულო.

უ. თერგდალეული განაგრძობს:

«ეხლანდელი ყმაწვილკაცები (ვითომ ბიძია თომიკე ამბობს თავისით) მიდიან პეტერბურგს, მაიხედვენ, მოი-

ხედვენ, წუფრს გამოუშვებენ და წამოვლენ. ეგ ის არის სასწავლებელი დაასრულეს, ყველა ისწავლეს, გოგრა სიბრძნით აივსეს, ჩამოვლენ, დადიან ტროტუარზედ და ჭეშმარიტების ნატეხებს ეძებენო, თუ რომ იმათ რამე იცოდნენ მცირედი მაინცა უთუოთ დასწერდნენ (!) ჯერ არა დაუწერიათრა, მაშასადამე არა იციანრა (რიტორიკა)!...»

ეხლაკი დავრწმუნდი, რომ უ. თერგდალეული სრული ბეცი ყოფილა და ვერ ხედავს ჭეშმარიტების ნამდვილად. ხსენებული სიტყვები (გარდა ამ სიტყვებისა: «ჩამოვლენ, დადიან ტროტუარზედ და ჭეშმარიტების ნატეხებს ეძებენო» — საიდამ დაბადა ეს სიტყვები უ. თერგდალეულმა, არ ვიცით!) ბიძია თონიკეს მოგზაურობაში არის ნათქვამი. მაგრამ უ. თერგდალეული ვერ მიხვედრილა, თუ უ. ბიძია თონიკე ვის აიძულებს ამ სიტყვებსა და როგორ გათავდება ბასი. უ. თერგდალეულო! თუ თქვენ არ გეყურებათ, მე გაგიმარტებით.

ქალაქში არიან რამდენიმე პირნი, რომელნიც მართლად უსინდისოთ და შეუსაბამოთ ახსენებენ ყმაწვილკაცების მრავალს ადგილს. ტროტუარზედაცა (მე ჩემის ყურით გამიგონია), კარგ სახლებშიაცა ბიძია თონიკე, რომელსაც კარგა ეყურება, ყმაწვილკაცები, წამოესარჩლა ამათ და გაამართლა, ბოროტმოქმედებიკი საქმენოთ შეარცხვნა. აი როგორ. კარგა ყური მამიგდეთ და თქვენ ნებურათ არ გადააკეთოთ.

უ. ბიძია თონიკემ დააყენა ტროტუარზე ერთი მეჯლორებთაგანი, სახელათ უწოდა «ურცხვაძე». მგონია უნდა

ბეყურებოდესთ, რომ ეს სახელი განგებ არის დარქმეუ-ლი და გამოსთქომს უსჳნიდისობას, ურცხობას, მკვეხა-რობას, შურსა, ერთის სიტყჳთ, სულსა ურცხვაძისას, რომელიც იქებს თავისს თავსა და ურცხვად ამდაბლებს ყმაწჳლკაცებსა, მაგრამ ამ კაცს დაუყენა მოპირდაპირე «დარბაისლოვი» რომელმაც დაურღჳა უსაფუძვლო ლაპა-რაკი ურცხვაძესა, შეარცხჳნა და ყმაწჳლკაცები სრულიად გაამართლა; უკანასკნელ ქალაქის ბიჭმაცკი შეარცხჳნა. როგორ გიკადრებათ უ თერგდალეულო, რომ თქჳენ წინდაუხედავათ შესწამებთ უ ბიძია თონიკეს ცილსა! ნუ თუ იმოდენა არ გაგეგებათ, რომ გაარჩიოთ ბასსი ურ-ცხვაძისა და დარბაისლოვისა! ნუ თუ ქალაქის ბიჭი არ არცხვენის ურცხვაძესა! მე გკითხავ თქჳენ: ურცხვაძეს— მომრყვნელს რათ უწოდა უ. ბიძია თონიკემ ეს უგლიმო სახელი და ამ ყოვლით უცუდესს კაცს რათ დაუყენა მო-პირდაპირეთ დარბაისლოვი.კაცი,რომელიც უ იჭალღებოთ ხედავს ყმაწჳლ კაცებში სწავლასაცა. ჭკუასაცა? ვინ მოგ-ცათ უფლება ამ სიტყვების თქჳენით ჩამატებისა: «ჩა-მოვლენ. დადიან ტროტუარზე და ჭეშმარიტების ნატეხებს ეძებესია? რატომ ვერა ხედავთ, რომ ურცხვაძეს ლაპარაკს მისცა ლოგიკის (და არა რიტორების, როგო-რც თქჳენა ირმანეთ) გამონებების წინააღმდეგი დაბო-ლოებს განგებ, რომ შეარცხვინოს იმისი უსაფუძვლო-სჯა, იმისი მკვეხარობა, იმისი სილოგიზმი! როგორ ვერა ხედავთ. რომ უ. ბიძია თონიკე თქჳენკენ არის და თქჳენკ. ეშმაკებისკენ?.. არ არის კარგი. გეტყობათ, საჭირო ყოფილა თქჳენთჳს კომენტარიები.

დასასრულ უ. თერგდალეული შესწამებს უ. ბიძის თო-ნიკეს ამ სიტყვებს, რომლებიც თვითან კი დაუხატავს არა-რაისაგან: «თუმცა ილია ჭავჭავაძე ერთი უმ წვალოთაგანი ავტორებს ჟურნალის გამოცემას, მაგრამ განა არ ნაყოფს მოაცვ·ტანს მისი ჟურნალი და რაგდენს კეთის მომწერს იმოსვნის თავის ქართულის სიგარგითა თუ რამე იციან ეხლა გამოჩნდებათ, სწავლა საქმით უნდა დამტკიცდეთ (ეს ჭეშმარიტების ნიშანი სად უპოვია უ. ბიძას? (*) «ასე უიმედოა ჩვენს ბიძას თონიკე, რომ ამბობს:» ვაი ამისთანა მკვდრების პატრონს საქართველოოსო!» და დადებს: «ჩონჩხის ვალის დასცემია, ეხლა აშენდა ჩონჩხითი.»

ეხლა გკითხავ მკითხველო, სრულიად ბეცი არ ყოფილა უ. თერგ დალეული? როდის და სად იქმ' ეს უ ბიძას თონიკემ? მე ვსწავლი თქვენსთან ცილისწამებისათვის. . . . თუ თვითან უნდოდა უ. ჭავჭავაძის დამდაბლება (აშკარაა!) ბიძია თონიკეს რადა უნდოდა! ასე გამისწავეთ უ. თერგ-დალეულს. ვერ გაუგია ისიც. თუ რომელ საგანზე და ვიზედ არის თქმული. ჩონჩხის ვალისაგან ამოგდებს.

ჭეშმარიტათ ვისხი, რომ ბავშვი ავიდე. აბა, თქვენი ჭირიმე, რას გავაწყობდით იმ კაცთან, რომელიც თვალებ-დახუჭული კითხულობს. თვითან არა დასცინოდა გორისელ წერილებს, რომ ეს უგანასკნელი ვერ მიუხვდა უ. ჭავჭავაძესა, და თავისთავს ბაბი იმავე მ ხელში. ნუ დასცინი სხვისა, გადაგხდება თავსა. ამიტომაც დარსად

(*) გიპასუხებთ: უკანასკნელ ნკამზე.

აღარა გვცან გამერკვია დანაშთენი მოთქმა უ. თერგდალეულისა. ეხლა მივხვდი, თუ რა მიზეზითაც უ. ბიძია თონიკომ ერთის მხრით ჩაც ნებით მისცა პასუხი თერგდალეულსა, რომელიც იქნება თავს ეხლანდელ უმაწვილოკაცობით და რომელსაც ეხლანდელ უმაწვილოკაცობისა არა აცხადა.

უ. ბიძია თონიკე! როგორ ვერ მიხვდით, რომ თქვენნის სტატიის წამკითხველთაგანი იქნებოდა ვინმე ბეცი! რატომ განმარტებას, ანუ დარიგებას არ დაუმატეთ თქვენ სტატიასა, რომ ისე გაეგო, როგორც თქვენ ფიქრობთ, და არა ისე, როგორც ბეცი დაინახავდა! მაგრამ ისიც კი მართალია, რომ ბეცებისთვის არას სწერენ ვინ იცის, უ თერგდალეულმა თქვენი სიტყვები: «ცრუგანათლებულები, ცრუმსწავლულები, ტაკიმასხარები» უმაწვილკაცებზე გადიტანა! ვინ იცის, ისიც არ წაიკითხა, ანუ წაიკითხა და ვერ გაიგო, რომ იქვე თქვენ ამბობთ: «ტროტუარზე ვნახამთ ნამდვილ განათლებულებსაცა!» რადა კითხვა უნდა, სწორედ ასე დაინახავდა ნიბეცით უ. თერგდალეული — უ. თერგდალეულო! რომელსაც გიყვარებიათ სხვის აზრების გადაბრუნება, გთხოვ გამიმარტოთ: რა საზოგადო აზრი აქვს ბიძია თონიკეს? ვინ არის ის ნასწავლი ივრანტი, რომელიც არიგებს ქალაქის ბიჭს? რათ არიგებს, რა უნდა ამითი თქვას! ჭეშმარიტების ნატეხების მაძერები და ტაკიმასხარები ვინა ჰგონია ბიძია თონიკეს? მე რომ თუალები ავიხილე, ვინიგრეტად კი აღარ დაინახო «ტროტუარზე მოგზაურობა», როგორც უთქომს ვიღასაც, ეგრეთუწ ბეცსა. ამასთან გთხოვ

ყმაწვილკაცობით ნუღარ მოგაქვსთ თავი! სოციალურის აზრების მქონეს როგორ შეესაბამება უბრალო ფიქრები!.... ესვი სჯობია ვიცნობდეთ ერთმანეთისა, გვიბძანოთ თქვენი ვინაობა, როგორათაც მე არა ვმალავ.

ალ[illegible]ქსი ელბაკიძე.

# სხჳა და სხჳა ამბავი.

მე ბევრჯელ შემხვედრია ლაპარაკი და სჯა შესახებ გაცოფიანებულის მორჩენისა და ყველგან ერთი და იგივე მესმოდა, რომ ამის მორჩენა შეუძლებელიაო. მაგრამ ერთგან ერთმა სარწმუნო ჩემმა მახლობელთაგანმაკი მითხრა, რომ ვითომც სამეგრელოში იმყოფებოდეს ერთი გვარი, რომელშიაც ყველა მამაკაცმა იცოდეს იმ გვარი უებარი წამალი, რომ ოღონდაცკი კიდევ სულთ მობრძავს მიუსწრონ და არ გადურჩებათ მოურჩენელი, მხოლოდ თუ მგლისაგან თავპირში არ არის დაგლეჯილი: ამის მორჩენა არ შეუძლიანთო. ამ წამალს, ეს გჳარი არამთუ სხჳას ვისმე და თავის ქალებსა და ცოლებსაც არ ასწავლიან და სხჳა გვარშიაც არ გადავიდეს ამის ცოდნაო, ამ გვარი სიჯიუტე ძალიან ხშირია საქართველოში: ერთი თავადის შვილის გვარია ქართლში თაქთაქიშვილები, რომელთაც ყველამ თურმე იცის იმგვარი გველის ნაკბენის შელოცვა, რომ არას დროს არ გადურჩებათ ავათმყოფი გველის ნაკბენისაგან მოურჩენელათ. ამათი წამლობა კი როგორ გამიგონია, თუ სადამდის სარწმუნოა და დასაჯერია. ამისას არც «არასა» და არც «ქჳოსა»

ჩუენ მკითხველს დარწმუნებით ვერ ვეტყვით, რადგან ვიცით მხოლოთ სხვის სიტყვით და როგორც ისინი ამტკიცებენ ნახვითაც და არა ჩუენის ნახვით: როდესაც ვისმე უკბენს გველი, მაშინვე უნდა ვინმე ქვეშმო ჯოხით გაქანდეს რომელსამე თაქთაქისშჯლთან და რაკი მოვა ახლოს, გრინწ გაუძვრელათ და ხმა ამოუღებლივ უნდა წინ დაუგდოს ჯოხი და თაქთაქის შჯლი მაშინვე მიხვდება აქ რაც ამბავია; ის შეუდგაცავს ჯოხსა და ჭვათმუოთა თუნდ ერთი გჯრის სავალს იყვეს რჩება. ჩუენის მხრივ კიდევ ამას ვიტყვით, რომ ამას ნანდვილ ფაქტათ არ ვეუბნები მკითხველსა, მხოლოდ ამასვე ვიტყუ. რომ ეს თავადისშჯლები ჩუენი მახლობელი მეზობლები არიან და ყველა გარემემო მათ მცხოვრები ერთ რიგათ ამას ამტკიცებს და ამბობს. აგრეთვე არიან ბევრი სხუა გვარები და პირები, რომელნიც თავის გარდა თავის ცოდნილს წამლობას არავის ასწავლის. ვის არ გაუგონია ჩუენში თურმამაძის წამლობა დაჭრილობისა და ესენიც თავის გვარს გარდა არავის ასწავლიან თავის მეცნიერებას. აგრეთვე არის აქ ერთი გურული ბ. რომელმაც თურმე იცის უებარი წამალი გზილის ტკივილისა. ამ გურულს ერთმა გამოჩენილმა (თუმცა ბოროტმა) ექიმმა აძლია ორი ათასი თუმანი და ნახევარი მოგება, რაც ამ წამლიდამ ექნებოდა, მაგრამ მაინც არავის ასწავლა. ჩუენ ეს იმაზედ მოვიყვანეთ, რომ რამდენი რიგი ხალხია, რომელიც თავის უმეცრებით ქუეყანას არ აძლევს და აკლებს იმ სარგებლობასა, რომლითაც მოტანით შეეძლო თავის სარგებლობა, ცოდნის სხუაზედ გადაცემით მაგალი-

თათ, რამდენი ხანია მეცნიერება დაეძებს გაცოცხლებულს მოსარჩენს წამალსა და აქამდის ყოველი შრომა და ცდა რჩება ამაოთ. რა კითხვა უნდა, დიდი კეთილი იქნებოდა ქუე-ყნისათჳს, რომ თუ მართლა არის იმისთანა ხალხი სა-მეფოებში, რომ არჩენენ ცოფიანებს, რომ ეს წამალი ესწავლებინათ ქუეყნისათჳს. ჩუენ თუ არა ვსცდებით მგონია დიდ მალი ფულის საჩუქრით დანიშნული ვინც ამის წამალს მოიპოვის, მაგრამ მოდი და ახლა შენ ჩააგონე ამათ, რომ სხუსგანაც ამისი სწავლა დიად სასარგებლო იყვეს.

ჩუენ ერთმა ჩუენმა მახლობელთაგანმა გვიამბო ერთი გასაოცარი ამბავი, როგორც თჳთონ გვარწმუნებდა, თავის თვალით ნახული. ჩუენ კიდევ ვერ გავბედავდით ამის დარწმუნებასა თუ სხუათაც ბევრთ, რომელთაც აგ-რეთვე უთვალავენ ამის მოწამე, არ დავვარწმუნებინეთ სრულებით ამაზედ.

სოფელს ხ. ქ გორის მახლობლათ ერთი გლეხკაცი დაეგლიჯა ცოფიანს მაღლს და ამ გლეხკაცს არ ეწამლა დროით (მე მიკვირს, რომ აქამდის რუსის ექიმები არ შეიტყობენ თავის საექიმო მეცნიერებაში ამ უბარს. ცო-ფიანის ნაკბენის წამალს, რომელსაც ჩუენი ქართველები ხმარობენ.) და ორმოცი დღის შემდგომ მოსწყდა ცო-ფი ავათმყოფს თვითონვე ერქუა, რომ სახლობა გარი-დებოდა ამასა სახლობას რასაკჳრველია უთვალისწუნი გაკესეს დარბაზიდამ და ავათმყოფი გამოემწყვდიათ შიგა. როდესაც ამ ავათმყოფს მორეოდა ცოფი, დაეწყო რბენა და აქეთ იქით ცემა მთელს სახლში, რომ ვედრა

ეპოვნა რა დასანტვრევი და საგლეჯი, სცემოდა თახჩასა, სადაც ეპოვა ერთი კონა თამბაქოს წვევო, რომელიც სი-მწარისაგან მაშინვე პირში გაექანებინა და შეეჭამა მთა-ლათა. ამის შეჭმა და იმის გულ ზიდება ერთი ყოფილ-იყო; იმდენი ეზიდებინა გულსა, რომ მოქანცული და საშინლათ მოწყვეტილი უგონოთ სადაც მოხვდა მიგდე-ბულიყო და დაეძინა. სალამომდის ამ ყოფაში გაეტარე-ბინა და სალამოზედ გამოღვიძებოდა სრულიად სალსა, და საშინელს შიმშილს თურმე ჭგრძნობდა, ამას დაეწ-ყო ყვირილი და, როდესაც ხალხი მისულიყო, ძლივს დაერწმუნებინა, რომ თითონ აღარა უჭირდარა და სთ-ხოვდა პურის ლუკმასა. ამგვარ სრულებით განთავის-უფლებულიყო.

დიდი სამადლო საქმე იქნება, იმისთანა გამოჩნდეს ვინმე, რომ ეს ცოფის წამალი, როგორმე დასტყუოს იმ მეგრელებსა, რომლებისასაც ამობენ იციანო ეს წამალი.

ანტ. ფურცელაძე.

---

## Къ свѣдѣнію и руководству.

### საქართველოს მოამბის რედაქციიდამ ახა-ლი ცნობაები:

**1.)** ქალაქში მოუყვანიათ საფრანგეთიდამ ის მიმინო, რომელიც დავით ყიფიანმა ასწერა თავის სხჳა და სხჳა ამბავში. რაკი აპრილის წიგნის სხჳა და სხჳა ამბავი კაცებმა ვერ გაიგეს, ეგება ჩიტებმა მაინც გაიგონო. ამ მიმინოს მრჩევლებათ მოუყვანიათ მწყრები: თუ მიმინომაც ვერ გაიგო მწყრები მაინც გაიგებენო. როდესაც ამ ყოვლად საზროვან სხჳა და სხჳა ამბავს ახსნიან მწყრები და გაიგებენ, მაშინ დავით ყიფიანი ასწერს «მოამბისათვის» იმათ ცხოვრებას (ბიოგრაფიას) და ჭკჳის ძლიერებას.

**2.)** დავით ყიფიანს დაუფიცნია ტრედიაკოვსკის უნდა გაუსწორდეო (დიახ ძნელი საქმე უტვირთნია: ჭავჭავაძეს ძრიელ ეწყინება; მაგრამ ჭავჭავაძე სუმაროკოვას თავს თურმე არ ანებებს!)

**3.)** «მოამბეს» კრიტიკის ნაწილი დიაკვნებისათჳს მიუნდვია, რომელნიც კრიტიკის მაგიერათ სადღესასწაულოს სწერენ და უკვირთ, რომ სხჳებიც დიაკვნები არ არიან.

**4.)** «მოამბეს» საშინლათ სწყინს, რომ «ცისკარი» იმისავით უშვერის პირით, უსაფუძვლოთ და ყოვლად უნიჭოთ არ ილანძღება.

5) «მოამბეს» ჰგონებია რომ «ცისკარი» კაკანებდეს და, იმას ვაჯობოთ, ურ. . . დაუწყვია.

6) «მოამბე» მეტის მეტი სიკაპასით გოგონასავით დარჩენილა და ჭულქით წავარდა. ამბობენ ვითომც უდღეური ეს წვილი იყვეს.

7) «მოამბეს» სიზმარში უნახავს, რომ «ცისკარზედ» ველს არავინ აწერს და ცხადლივ ვგონებ თითონ აწერს.

თავხედი.